

ვალდებულებითი სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

**1. ვალდებულების ჯეროვნად შესრულება
სადაზღვევო მომსახურებასთან დაკავშირებული
სასაქონლო შესყიდვების სააგენტოს აქტის
კანონიერების შემოწმება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-667-642(კ-13)

21 ივლისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
ბათილად ცნობა; ქმედების განხორციელება.

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: სს „...“;

მოპასუხეები: სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შეს-
ყიდვების სააგენტო; საქართველოს კონტროლის პალატა;

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-
ცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

სარჩელის საგანი:

სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენ-
ტოს 2012 წლის 2 მარტის №75 განკარგულების ბათილად ცნო-
ბა;

სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენ-
ტოს 2012 წლის 29 მარტის №2/3-1040 წერილის ბათილად ცნო-
ბა;

სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენ-
ტოს დავალდებულება სს „...“ შავი სიიდან ამოღების თაობაზე.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: საქართველოს კონტროლის პალატის მიერ
2011 წლის 23 დეკემბერს გამოცხადდა ტენდერი (CPV 66512200)
სადაზღვევო მომსახურების გამარტივებული ელექტრონული
შესყიდვების შესახებ.

საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის

2012 წლის 4 იანვრის №4 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვის ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა სს „...“, ამავე ოქმის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიას დაევალა საბანკო გარანტიის წარმოდგენა.

საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის 2012 წლის 9 იანვრის №5 ოქმის თანახმად, სს „...“ დისკვალიფიცირებულ იქნა, თუმცა მოსარჩელის განმარტებით, სადაზღვევო კომპანიას მოთხოვნილი გარანტია უკვე აღებული ჰქონდა და იგი საქართველოს კონტროლის პალატას ჩაბარდა 2012 წლის 10 იანვარს.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 2 მარტის განკარგულებით სს „...“ დარეგისტრირდა შავ სიაში.

სამართლებრივი: მოსარჩელის განმარტებით, გადაწყვეტილება სს „...“ შავ სიაში დარეგისტრირების თაობაზე არამართებულია, ვინაიდან, კონტროლის პალატის სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ეხებოდა სადაზღვევო მომსახურების შესყიდვას, მითითებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კერძოდ, ხელშეკრულების 2.6.1 მუხლის თანახმად: „ტენდერში გამოყენებული იქნება“ ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით, დანართი 3-ის შესაბამისად. მოსარჩელის მტკიცებით, საკვალიფიკაციო მონაცემებში მითითებული არ არის საბანკო გარანტიის წარდგენის ვადები, რაც შეეხება დანართი 3-ს, იგი წარმოადგენს საბანკო გარანტიის ფორმას და მასში მითითებული უნდა იყოს ხელშეკრულება, რომლის უზრუნველყოფაც უნდა მოხდეს გარანტიით, ანუ ჯერ უნდა დაიდოს ხელშეკრულება და შემდეგ მის უზრუნველსაყოფად გაიცეს გარანტია.

2014 წლის 4 იანვრის სატენდერო კომისიის №4 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიას დაევალა საბანკო გარანტიის წარმოდგენა, მაგრამ არც ამ ოქმში მიეთითა საბანკო გარანტიის წარდგენის ვადა.

საქართველოს კონტროლის პალატის 2012 წლის 4 იანვრის სატენდერო კომისიის №4 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის შესაბამისად, არა უგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში

უნდა გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება. ამავე მუხლის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ – სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მას შემდეგ, რაც სატენდერო კომისიის შესაბამისი სხდომის ოქმი, რომლითაც დასტურდება ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ ამ წესის მოთხოვნათა დაცვით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების შესაბამისობა სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში ასახულ მოთხოვნებთან და მიმწოდებლის მიერ ამ წესის მოთხოვნათა დაცვით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები იტვირთება სისტემაში. აღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის ტენდერისათვის მინიჭება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში არც ერთმა მიმწოდებელმა არ მიიღო მონაწილეობა და ტენდერს დადგენილი წესით არ მინიჭებია ამ პუნქტის „კ“-„ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ყველა სტატუსი ამავე პუნქტში მოცემული თანმიმდევრობით“. შესაბამისად, ტენდერისათვის აღნიშნული სტატუსის მინიჭება (რასაც ადასტურებს საქართველოს კონტროლის პალატის 2012 წლის 4 იანვრის სატენდერო კომისიის №4 სხდომის ოქმი) ვერ მოხდებოდა, თუ არ იქნებოდა წარმოდგენილი ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი, კანონმდებლობით ან კომისიის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრულ ვადებში.

მოსარჩელის განმარტებით, დისკვალიფიკაცია განხორციელდა იმ საფუძვლით, რომ არ იყო წარდგენილი შესრულების გარანტია. აღნიშნულ საკითხს არეგულირებს 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №9 ბრძანების მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად: „მიმწოდებელი ან/და პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას თუ ის არის ამ წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამარჯვებული პრეტენდენტი და უარს აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას“. ამავე ბრძანების მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად: „პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ გამარჯვებულ პრეტენდენტსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის იდება ხელშეკრულება, ამ საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენიდან არა უგვიანეს ხუთი სამუშაო

დღისა. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია არა უმეტეს ხუთი სამუშაო დღით, მხოლოდ სატენდერო კომისიის დასაბუთებული ოქმის საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება ობიექტური მიზეზები, რომელთა გამოც ვერ მოხერხდა ხელშეკრულების დადება დადგენილ ვადაში“. ინსტრუქციის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „ხელშეკრულების შესრულების გარანტია ან დაზღვევა, შესაბამისი მოთხოვნის არსებობისას, შესაძლებელია წარედგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში ხელშეკრულების დადების შემდგომ, ხოლო ტენდერის საშუალებით შესყიდვის შემთხვევაში – ხელშეკრულების დადებაამდე“. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის განმარტებით, 1. ხელშეკრულება უნდა დადებულიყო სტატუსის „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ მინიჭებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში; 2. გარანტია წარედგინილი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

მოსარჩელის მტკიცებით, 2012 წლის 4 იანვარი იყო ოთხშაბათი, შესაბამისად, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ხელშეკრულებაზე ხელმოწერისათვის დადგენილი ვადის ბოლო ვადა იყო 2012 წლის 11 იანვარი, მოთხოვნილი გარანტია კი, კონტროლის პალატას ჩაბარდა 2012 წლის 10 იანვარს. შესაბამისად, 2012 წლის 9 იანვრის აქტი (ელექტრონული სისტემის ქრონოლოგიის გრაფაში უარყოფითი შედეგის თარიღად მითითებულია 2012 წლის 10 იანვარი) ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. ქმედება, რომლის საფუძველზეც განხორციელდა სს „...“ 2012 წლის 2 მარტს შავ სიაში შეყვანა, არის უკანონო, როგორც მისი საფუძველი, 2012 წლის 9 იანვრის აქტი დისკვალიფიკაციის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 10 აპრილის დროებითი განჩინებით სს „...“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაევალა სს „...“ დავის განხილვის პერიოდით „შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრიდან (შავი სია) ამოღება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 აპრილის განჩინებით სს „...“ შუამდგომლობა საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის 2012 წლის 9 იანვრის №5 სხდომის ოქმის მოქმედების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

მოპასუხე – საქართველოს კონტროლის პალატამ შესაგებლად საჩივრი არ ცნო და მიუთითა, რომ სასარჩელო მოთხოვნა

საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის 2012 წლის 9 იანვრის სხდომის №5 ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან, გასულია ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების კანონმდებლობით დადგენილი 1-თვიანი ვადა. მოსარჩელეს საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის 2012 წლის 9 იანვრის სხდომის №5 ოქმის შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით ეცნობა 2012 წლის 9 იანვარს, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საჩივრით მიმართა 2012 წლის 27 მარტს.

რაც შეეხება გასაჩივრებული ოქმის სამართლებრივ საფუძვლებს, საქართველოს კონტროლის პალატას ამ ნაწილშიც მიაჩნია, რომ არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები, ვინაიდან მისი მიღებისას არ დარღვეულა კანონმდებლობის არც ერთი ნორმა. მოსარჩელის მოსაზრება, რომ მის მიერ საბანკო გარანტიის წარდგენის ვადა არ დარღვეულა და მისი დისკვალიფიკაცია იყო უსამართლო, არამართებული, ვინაიდან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად: „პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენიდან არა უგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სატენდერო დოკუმენტაცია არ შეიცავდა პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის მოთხოვნას – შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სატენდერო წინადადების სატენდერო განცხადებასთან და სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენიდან არა უგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა, გამარჯვებულ პრეტენდენტსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის იდება ხელშეკრულება. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია არა უმეტეს ხუთი სამუშაო დღით, მხოლოდ სატენდერო კომისიის დასაბუთებული ოქმის საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება ობიექტური მიზეზები, რომელთა გამოც ვერ მოხერხდა ხელშეკრულების დადება დადგენილ ვადაში“, აღნიშნული მუხლის მოთხოვნების დაცვით საქართველოს კონტროლის პალატამ, როგორც შემსყიდველმა ორგანიზაციამ, ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს განუსაზღვრა არა უგვიანეს ერთი სამუშაო დღე ხელშეკრულების გაფორმებისა და საბანკო გარანტიის წარმოსადგენად. სადავოა ის, რომ სს „...“ საბანკო გარანტია წარმოადგინა 2012 წლის 10 იანვარს, ნაცვლად 4 იანვრის წერილით მიცე-

მული ერთი სამუშაო დღის ვადისა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელი ან/და პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ ის არის გამარჯვებული პრეტენდენტი და არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას. ამდენად, გამარჯვებული პრეტენდენტის საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობა კონტროლის პალატის მიერ დადგენილ ვადაში, მიიჩნევა საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობად, რის გამოც მოსარჩელეს კანონმდებლობის შესაბამისად სწორად მიეცა დისკვალიფიკაცია. ზემოაღნიშნული ბრძანების 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებლის ან/და პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია აღნიშნული წესის 13.2 მუხლის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში მოყვანილი მიზეზების გამო ან/და იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულის შესრულება, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, სააგენტოს დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს ეს გადაწყვეტილება და დამდგარი გარემოებები, შესაბამისი მიზეზების მითითებით“ ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „სააგენტო წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე ახდენს ამ შეტყობინებაში აღნიშნული პირის დარეგისტრირებას შავ სიაში“.

მოპასუხე – სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაგებელი:

ფაქტობრივი: საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის 2012 წლის 4 იანვრის №4 ოქმის შესაბამისად, სს „...“ გაეგზავნა 2012 წლის 4 იანვრის 5/06 შეტყობინება(თანდართული დანართი №1), რომლითაც ეთხოვა არა უგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში ხელშეკრულების გასაფორმებლად გამოცხადება და ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა. ამ შეტყობინებით პრეტენდენტს განესაზღვრა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის ვადა. მოსარჩელის მითითებით, საბანკო გარანტია კონტროლის პალატას ჩაბარდა 2012 წლის 10 იანვარს, რომელიც მოპასუხის მითითებით, სცილდება იმ ვადას, რაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ განუსაზღვრა ამისათვის. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით განისაზღვრა 1 დღე, შესაბამისად, 10 იანვარს მოთხოვნილი დოკუმენტის წარმოდგენა განხორციელდა

დაგვიანებით და ვადის დარღვევით.

სამართლებრივი: მოპასუხის მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ არასწორად არის გაგებული ტენდერის მსვლელობა და შესაბამისი პროცედურები. კერძოდ, სტატუსი „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ ტენდერს ენიჭება, როცა კანონმდებლობით გათვალისწინებული თანმიმდევრობის დაცვით პრეტენდენტი წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს და ამ დოკუმენტებს შემსყიდველი მიიჩნევს სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამის დოკუმენტებად. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვების, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს წარმოადგენს მხოლოდ „ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტები“ და მათში არ იგულისხმება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილი იყო ტენდერისათვის მიენიჭებინა სტატუსი „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ სატენდერო კომისიის 2012 წლის 4 იანვრის №4 ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვისასთვის – 2012 წლის 4 იანვარს. მოსარჩელეს ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიაჩნია, რომ ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია წარდგენილი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

მოპასუხის მითითებით, მოსარჩელე ასევე უთითებს ბრძანების მე-15 მუხლზე, რომლის შესაბამისად ხელშეკრულება იდება საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა და ამის საფუძველზე მიიჩნევს, რომ 2012 წლის 10 იანვარს სადავო გარანტია დაგვიანებით არ ყოფილა წარდგენილი, სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო არ იზიარებს, მოსარჩელის ამგვარ განმარტებას და აღნიშნავს, რომ ნორმა იძლევა საშუალებას ხელშეკრულება დადოს 5 სამუშაო დღის ვადაში და კრძალავს ამ ვადის მხოლოდ გაზრდას და არა შემცირებას. მოსარჩელეს კი 2012 წლის 4 იანვარს გაგზავნილი აქვს ხელშეკრულება, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია სთხოვს ხელშეკრულების გაფორმებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარდგენას 1 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადა არანაირად არ მოიცავს 2012 წლის 10 იანვარს

და არ იძლევა იმის ინტერპრეტაციის საშუალებას, რომ გარანტია შესაძლებელია წარდგენილ იყო 5 სამუშაო დღის ვადაში. შესაბამისად, მოპასუხე სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიაჩნია, რომ მოსარჩელე კანონმდებლობის სრული დაცვით იქნა შეყვანილი შავ სიაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 21 სექტემბრის განჩინებით საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 დეკემბრის განჩინებით სს „...“ სასარჩელო მოთხოვნაზე დისკვალიფიკაციისა და სს „...“ შავ სიაში რეგისტრაციის შესახებ საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის 2012 წლის 9 იანვრის №5 სხდომის ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე, შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის მოტივით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები:

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ 2011 წლის 23 დეკემბერს გამოცხადდა ტენდერი (CPV 66512200) სადაზღვევო მომსახურების გამარტივებული ელექტრონული შესყიდვების შესახებ.

საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის 2012 წლის 4 იანვრის №4 სხდომის ოქმის თანახმად, საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვის, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა სს „...“. ასევე დადგინდა არა უგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება, ხოლო მოსარჩელეს დაევალა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარდგენა.

საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის თავმჯდომარის 2012 წლის 4 იანვრის №5/06 წერილით სს „...“ ეთხოვა არა უგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში გამოცხადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად და წარმოედგინა ხელშეკრულების უზრუნველ-

ყოფის საბანკო გარანტია.

საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის 2012 წლის 9 იანვრის №5 სხდომის ოქმის თანხმად, საქართველოს კონტროლის პალატის მიერ, გამოცხადებული საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვის, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში სს „...“ დისკვალიფიცირებული იქნა.

ამასთან, აღნიშნული ტენდერი გამოცხადდა უარყოფითი შედეგით დასრულებულად და მიენიჭა სტატუსი „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“.

საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ 2012 წლის 9 იანვარს №12/06 წერილით მიმართა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და მიუთითა, რომ საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის (CPV 66512200) მომსახურების შესყიდვის გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში, (განცხადების №SPA10032505) სს „...“ საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის 2012 წლის 9 იანვრის №5 ოქმის საფუძველზე დისკვალიფიცირებულ იქნა.

„...“ საბანკო გარანტია საქართველოს კონტროლის პალატაში წარადგინა 2012 წლის 10 იანვარს.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 2 მარტის №75 განკარგულებით სს „...“ საქართველოს კონტროლის პალატის 2012 წლის 9 იანვრის №12/06 წერილის საფუძველზე 2012 წლის 2 მარტს დარეგისტრირდა შავ სიაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარუდგენლობის გამო.

სს „...“ 2012 წლის 27 მარტს საჩივრით მიმართა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და მოითხოვა სს „...“ შავი სიიდან ამოღება.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება.

სასამართლოს დასკვნები – საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „...“ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცდა „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, რომლის 24-ე მუხლით განისაზღვრა

შავი სიის წარმოების წესი და პირობები. მითითებული მუხლის (სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი რედაქცია) პირველი პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის ან/და პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში მოყვანილი მიზეზების გამო ან/და იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულება, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, სააგენტოს დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს ეს გადაწყვეტილება და დამდგარი გარემოებები, შესაბამისი მიზეზების მითითებით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას და დანართებს: ა) შესყიდვის განხორციელების საშუალების დასახელება; ბ) გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში – შესყიდვის განხორციელების დაწყების და დასრულების დრო, ტენდერის განხორციელების შემთხვევაში – სატენდერო განცხადების ნომერი; გ) შესყიდვის ობიექტის დასახელება; დ) იმ პირის რეკვიზიტები, რომელიც დისკვალიფიცირებულია ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში მოყვანილი მიზეზების გამო ან/და რომელმაც ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულება; ე) ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების შესაბამისად პირის დისკვალიფიკაციის ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი. ხოლო მე-3 პუნქტის საფუძველზე განისაზღვრა, რომ სააგენტო წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე ახდენს ამ შეტყობინებაში აღნიშნული პირის დარეგისტრირებას შავ სიაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება პირის შავ სიაში რეგისტრაციის თაობაზე, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიწოდებული ინფორმაცია და დოკუმენტები აკმაყოფილებდა მითითებული ნორმის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რასაც საქალაქო სასამართლოს გამარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია და არც მხარეებს გაუხდიათ სადავოდ, რომ მოსარჩელის დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიამ მიიღო 2011 წლის 7 აპრილის სა-

ხელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში მოყვანილი მიზეზების გამო, ანუ გამარჯვებულმა პრეტენდენტმა არ წარადგინა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. ასევე დადგენილია, რომ სატენდერო კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელეს კანონით დადგენილი წესით სადავოდ არ გაუხდია, იგი ძალაშია და კანონის მოთხოვნათა დაცვით ბათილად, არარად ან ძალადაკარგულად არ ყოფილა ცნობილი. ამდენად, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას შეეფასებინა მოსარჩელის დისკვალიფიკაციის კანონიერების საკითხი.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ მოპასუხე კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გზით უნდა გამოეკვლია მოსარჩელის დისკვალიფიკაციის კანონიერების საკითხი და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიეღო გადაწყვეტილება მისი შავ სიაში რეგისტრაციის შესახებ. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, პირის შავ სიაში რეგისტრაციამდე საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევა სააგენტოს ვალდებულებას წარმოადგენდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შეტყობინება შეეხებოდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შეუსრულებლობის ფაქტს, რადგან დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობის დადგენის განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი განსაზღვრული და ხორციელდება მხოლოდ პრეტენდენტის საჩივრის საფუძველზე, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოსთვის მიმართვის გზით. კანონქვემდებარე აქტში 2012 წლის აგვისტოში შესული ცვლილებების საფუძველზე, სააგენტოს მიენიჭა უფლებამოსილება კონკრეტულ შემთხვევებში გამოიკვლიოს საქმის გარემოებები და მიიღოს პირის შავ სიაში რეგისტრაციის გადაწყვეტილება, ისიც დისკრეტული უფლებამოსილების ფარგლებში, რაც აღნიშნულის თანახმად, სს „...“ შავ სიაში რეგისტრაციის დროს მოქმედი რედაქციით არ იყო განსაზღვრული.

საქალაქო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოსაზრება, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვების, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩა-

ტარების წესის“ 24-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები, გაგებულ უნდა იქნეს, როგორც კუმულაციური პირობა და ერთობლიობაში უნდა იქნეს განხილული და განმარტა, რომ მართალია, ზემოაღნიშნული წესის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით განისაზღვრა შემსყიდველი ორგანიზაციის ვალდებულება სააგენტოს დაუყოვნებლივ შეატყობინოს გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია მიმწოდებლის ან/და პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესახებ ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში მოყვანილი მიზეზების გამო, თუმცა სახეზე არ არის კუმულაციური პირობა, ვინაიდან პრაქტიკაში შეუძლებელია ორივე პუნქტის ერთობლიობაში მოქმედება. ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით დისკვალიფიკაციის საფუძველია გამარჯვებული პრეტენდენტის უფლება, უარი განაცხადოს ხელშეკრულების დადებაზე ან იმ შემთხვევაში, თუ არ წარადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით დისკვალიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვება არაკეთილსინდისიერი ქმედებით. ის გარემოება, რომ კანონმდებლის მიზანს არ წარმოადგენდა შავ სიაში პირის რეგისტრაცია მხოლოდ კუმულაციურად, ორივე პუნქტით გათვალისწინებული პირობის ერთდროულად არსებობისას, დასტურდება იმ გარემოებითაც, რომ შავი სია წარმოადგენს შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრს, შესაბამისად, წარმოდგენილია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩამდენი პირი არ მოხვდეს ამ სიაში, მხოლოდ იმის გამო, რომ მისი დისკვალიფიკაცია ასევე არ მომხდარა წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზეზების გამო. ამდენად, ნათელია კანონმდებლის ნება მასზე, რომ მითითებული მუხლის „ვ“ ან „ზ“ ქვეპუნქტებში მოყვანილი მიზეზით პირის დისკვალიფიკაცია, საკმარისი გარემოებაა შავ სიაში პირის რეგისტრაციისათვის.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხეს დაევალოს მისი შავი სიიდან ამოღება, ვინაიდან გასულია კანონით დადგენილი ერთწლიანი ვადა, სასამართლომ ვერ გაიზიარა, რადგან კანონმდებლის მიზანს წარმოადგენს 1 წლის განმავლობაში შავ სიაში მყოფმა პირმა მონაწილეობა არ მიიღოს სახელმწიფო შესყიდვებში და არ დადოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, დროებითი განჩინების მიღებით, და-

ვის განხილვის პერიოდით, სს „...“ ამოღებულ იქნა დროებით შავი სიიდან, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე, დროებითი განჩინება დაკარგავს ძალას და მოსარჩელის მიმართ გაგრძელდება დროებითი განჩინების მიღებამდე არსებული სამართლებრივი რეჟიმი.

აპელანტი: სს „...“;

მონინალმდგე მხარეები: სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო;

მესამე პირი: სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის მიერ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებული არ არის.

სამართლებრივი: აპელანტის განმარტებით, შესყიდვების სააგენტომ ისე გამოსცა სადავო ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, რომ არ ჩაუტარებია ადმინისტრაციული წარმოება და არ გამოუკვლევია არც ერთი საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ: კონტროლის პალატის სატენდერო დოკუმენტაციამში, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო შესყიდვას, მითითებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კერძოდ, 2.6.1 მუხლის თანახმად: „ტენდერში გამოყენებული იქნება“ ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით, დანართი 3-ის შესაბამისად. საყურადღებოა, რომ საკვალიფიკაციო მონაცემებში მითითებული არ არის საბანკო გარანტიის წარმოდგენის ვადების შესახებ, რაც შეეხება დანართ 3-ს, იგი წარმოადგენდა საბანკო გარანტიის ფორმას და მასში მითითებული უნდა იყოს ხელშეკრულება, რომლის უზრუნველყოფაც უნდა მოხდეს გარანტიით ანუ ჯერ უნდა დაიდოს ხელშეკრულება და შემდეგ მის უზრუნველსაყოფად გაიცეს გარანტია.

2012 წლის 4 იანვრის სატენდერო კომისიის №4 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილის შესაბამისად სადაზღვევო კომპანიას დაევალა საბანკო გარანტიის წარმოდგენა. არც აღნიშნულ ოქმში იქნა მითითებული საბანკო გარანტიის წარმოდგენის ვადა.

საქართველოს კონტროლის პალატის 2012 წლის 4 იანვრის სატენდერო კომისიის №4 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილის თანახმად: „2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენ-

ტოს თავმჯდომარის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამართივებული შესყიდვის, გამართივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის შესაბამისად, არა უგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

ამავე მუხლის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება – სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მას შემდეგ, რაც სატენდერო კომისიის შესაბამისი სხდომის ოქმი, რომლითაც დასტურდება ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ ამ წესის მოთხოვნათა დაცვით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების შესაბამისობა სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში ასახულ მოთხოვნებთან და მიმწოდებლის მიერ ამ წესის მოთხოვნათა დაცვით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები აიტვირთება სისტემაში. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის ტენდერში არც ერთმა მიმწოდებელმა არ მიიღო მონაწილეობა და ტენდერს დადგენილი წესით არ მინიჭებია ამ პუნქტის „კ“-„ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ყველა სტატუსი ამავე პუნქტში მოცემული თანმიმდევრობით“, შესაბამისად, აღნიშნული სტატუსის მინიჭება ტენდერისათვის ვერ მოხდებოდა თუ არ იქნებოდა წარმოდგენილი ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი, კანონმდებლობით ან კომისიის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრულ ვადებში.

აქელანტის განმარტებით, დისკვალიფიკაცია განხორციელდა იმ საფუძვლით, რომ წარდგენილი არ იყო შესრულების გარანტია. აღნიშნული საკითხი რეგულირდება 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №9 ბრძანების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით, რომლის თანახმადაც: „მიმწოდებელი ან/და პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას თუ ის არის ამ წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამარჯვებული პრეტენდენტი და არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას; მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ გამარჯვებულ პრეტენდენტსა და შემ-

სყიდველ ორგანიზაციას შორის იდება ხელშეკრულება, ამ საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენიდან არა უგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია არა უმეტეს ხუთი დღით, მხოლოდ სატენდერო კომისიის დასაბუთებული ოქმის საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება ობიექტური მიზეზები, რომელთა გამოც ვერ მოხერხდა ხელშეკრულების დადება დადგენილ ვადაში“.

მითითებული წესის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „ხელშეკრულების შესრულების გარანტია ან დაზღვევა, შესაბამისი მოთხოვნის არსებობისას, შესაძლებელია წარედგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში ხელშეკრულების დადების შემდგომ, ხოლო ტენდერის საშუალებით შესყიდვის შემთხვევაში – ხელშეკრულების დადებაზე. შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულება უნდა დადებულიყო სტატუსის – „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ მინიჭებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. გარანტია წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. 2012 წლის 4 იანვარი იყო ოთხშაბათი, შესაბამისად, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთვის დადგენილი ვადის ზედა ზღვარი გადიოდა 2012 წლის 11 იანვარს. მოთხოვნილი გარანტია კი კონტროლის პალატას ჩაბარდა 2012 წლის 10 იანვარს. შესაბამისად, აპელანტის მოსაზრებით 2012 წლის 9 იანვრის №5 სხდომის ოქმი (ელექტრონული სისტემის ქრონოლოგიის გრაფაში უარყოფითი შედეგის თარიღად მითითებულია 2012 წლის 10 იანვარი) ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას.

აპელანტის მითითებით, გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის მე-9 ბრძანების 24-ე მუხლის თანახმად: „იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის/მიმწოდებლის დისკვალიფიკაციის შესახებ განწყვეტილება მიღებულია ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში მოყვანილი მიზეზების გამო ან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დადების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის შესახებ ცნობილი გახდა ხელშეკრულების დადების შემდეგ, ანდა მიმწოდებელმა ვერ შეასრულა/არასრულად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, სააგენტოს დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს აღნიშნუ-

ლი გარემოებებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, შესაბამისი მიზეზების მითითებით“.

აპელანტი აღნიშნავს, რომ დასახელებული ნორმით დადგენილი პირობა, კერძოდ, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების კუმულიაციურად არსებობა სახეზე არ ყოფილა, რაც კიდევ ერთი საფუძველი იყო გასაჩივრებული აქტების გასაუქმებლად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების /სარეზოლუციო/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით სს „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არ გაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელაციის მოტივები, პალატამ მიიჩნია, რომ მასში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველებს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით, სს „...“ სარჩელის მოთხოვნაზე – ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის 2012 წლის 9 იანვრის №5 სხდომის ოქმი, სარჩელის დაუშვებლობის საფუძველით, შეწყდა საქმის წარმობა. ზემოთ მითითებული 2012 წლის 9 იანვრის №5 სხდომის ოქმის თანახმად, საქართველოს კონტროლის პალატის მიერ გამოცხადებულ საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერიდან დისკვალიფიცირებული იქნა სს „...“ და აღნიშნული ტენდერი გამოცხადდა უარყოფითი შედეგით დასრულებულად.

მოცემული დავის საგანს წარმოადგენს სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 2 მარტის №75 განკარგულება, რომლის საფუძველზეც „...“, საქართველოს კონტროლის პალატის მომართვის შესაბამისად, და-

რეგისტრირდა შავ სიაში და სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 29 მარტის №2/3-1040 წერილი, რომლითაც სს „...“, 2012 წლის 27 მარტის საჩივარზე განემარტა, რომ 2012 წლის 9 იანვრის №12/06 წერილი და სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოძიებული ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებდა პირის შავ სიაში რეგისტრაციისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

სააპელაციო სასამართლო იზიარებს, საქალაქო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას, რომ განსახილველ შემთხვევაში საქართველოს კონტროლის პალატის მიერ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებდა 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამ ვითარებაში, სააგენტო ვალდებული იყო, შეტყობინების მიღებისთანავე მოეხდინა მასში აღნიშნული პირის შავ სიაში რეგისტრაცია.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტაცია, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას წერილობითი შეტყობინების გაგზავნის, ხოლო სააგენტოს წერილობითი შეტყობინების საფუძველზე პირის შავ სიაში დარეგისტრირების ვალდებულება წარმოიშობა, მხოლოდ დებულების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების კუმულაციურად არსებობის შემთხვევაში და მიუთითა, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ, ნორმის განმარტებისას, გათვალისწინებულ იქნა კანონმდებლის ნება და მიზანი, კონკრეტული ნორმა განიმარტა ობიექტურობისა და ერთიანობის პრინციპების დაცვით და სრულად გაიზიარა „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 24-ე მუხლის განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის წარუდგენლობის გამო, ელექტრონული ტენდერიდან „...“ დისკვალიფიკაციის პირობებში, სახეზე იყო საქართველოს კონტროლის პალატის მიერ წერილობითი შეტყობინების გაგზავნისა და შავ სიაში პირის რეგისტრაციისათვის კანონქვემდებარე აქტით განსაზღვრული წინაპირობების არსებობა.

რაც შეეხება აპელანტის მითითებას პირის შავ სიაში რეგის-

ტრანციამდე საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის შესახებ სააგენტოს ვალდებულებაზე, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ“ წესის (სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი) შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნულის აუცილებლობა წარმოიშობოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შეტყობინება შეეხებოდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შეუსრულებლობის ფაქტს. სააპელაციო სასამართლო, აპელანტის ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებაზე, რომ კანონქვემდებარე აქტში 2012 წლის აგვისტოში შესული ცვლილებების საფუძველზე მიენიჭა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლებამოსილება, კონკრეტულ შემთხვევებში გამოიკვლიოს საქმის გარემოებები და მიიღოს პირის შავ სიაში რეგისტრაციის გადანიშნულება, ისიც დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, რაც სს „...“ შავ სიაში რეგისტრაციის დროს მოქმედი რედაქციით არ იყო განსაზღვრული.

ხოლო, მოსარჩელის მოთხოვნა – დაევალოს მოპასუხეს მისი შავი სიიდან ამოღება, სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილშიც სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასება, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, დროებითი განჩინების მიღებით, დავის განხილვის პერიოდით, სს „...“ ამოღებულ იქნა დროებით შავი სიიდან, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში, გადანიშნულების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე, დროებითი განჩინება დაკარგავს ძალას და მოსარჩელის მიმართ გაგრძელება დროებითი განჩინების მიღებამდე არსებული სამართლებრივი რეჟიმი.

კასატორი: სს „...“;

მონინალმდევ მხარეები: სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო;

მესამე პირი: სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადანიშნულებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები:

მატერიალური: კასატორის განმარტებით, სსიპ შესყიდვების სააგენტომ ისე გამოსცა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომ არ ჩაუტარებია ადმინისტრაციული წარ-

მოება და არ გამოუკვლევია არც ერთი საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ: კონტროლის პალატის სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო შესყიდვას, მითითებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კერძოდ, 2.6.1 მუხლის თანახმად: „ტენდერში გამოყენებული იქნება“ ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით, დანართი 3-ის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ საკვალიფიკაციო მონაცემებში მითითებული არ არის საბანკო გარანტიის წარმოდგენის ვადების შესახებ, რაც შეეხება დანართ 3-ს, იგი წარმოადგენს საბანკო გარანტიის ფორმას და მასში მითითებული უნდა იყოს ხელშეკრულება, რომლის უზრუნველყოფაც უნდა მოხდეს გარანტიით ანუ ჯერ უნდა დაიდოს ხელშეკრულება და შემდეგ მის უზრუნველსაყოფად გაიცეს გარანტია.

2012 წლის 4 იანვრის სატენდერო კომისიის №4 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიას დაევალა საბანკო გარანტიის წარმოდგენა. არც აღნიშნულ ოქმში იქნა მითითებული საბანკო გარანტიის წარმოდგენის ვადა.

„2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამართივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის შესაბამისად, არა უგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში უნდა გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

ამავე მუხლის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ – სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მას შემდეგ, რაც სატენდერო კომისიის შესაბამისი სხდომის ოქმი, რომლითაც დასტურდება ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ ამ წესის მოთხოვნათა დაცვით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების შესაბამისობა სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში ასახულ მოთხოვნებთან და მიმწოდებლის მიერ ამ წესის მოთხოვნათა დაცვით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები აიტვირთება სისტემაში. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის ტენდერისათვის მინიჭება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში არც ერთმა მიმწოდებელმა არ მიიღო მონაწილეობა და ტენდერს დადგენილი წესით არ მინიჭებია ამ პუნქტის „კ“-„ო“

ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ყველა სტატუსი ამავე პუნქტში მოცემული თანმიმდევრობით“, შესაბამისად, აღნიშნული სტატუსის მინიჭება ტენდერისათვის ვერ მოხდებოდა, თუ არ იქნებოდა წარმოდგენილი ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი, კანონმდებლობით ან კომისიის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრულ ვადებში.

კასატორის განმარტებით, დისკვალიფიკაცია განხორციელდა იმ საფუძველით, რომ წარდგენილი არ იყო შესრულების გარანტია. აღნიშნული საკითხი რეგულირდება 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №9 ბრძანების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით, რომლის თანახმადაც: „მიმწოდებელი ან/და პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას თუ ის არის ამ წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამარჯვებული პრეტენდენტი და არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას; მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმადაც: „პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ გამარჯვებულ პრეტენდენტსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის იდება ხელშეკრულება, ამ საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენიდან არა უგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია არა უმეტეს ხუთი დღით, მხოლოდ სატენდერო კომისიის დასაბუთებული ოქმის საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება ობიექტური მიზეზები, რომელთა გამოც ვერ მოხერხდა ხელშეკრულების დადება დადგენილ ვადაში“.

მითითებული წესის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმადაც: „ხელშეკრულების შესრულების გარანტია ან დაზღვევა, შესაბამისი მოთხოვნის არსებობისას შესაძლებელია, წარედგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში ხელშეკრულების დადების შემდგომ, ხოლო ტენდერის საშუალებით შესყიდვის შემთხვევაში – ხელშეკრულების დადებაამდე.“ შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულება უნდა დადებულიყო სტატუსის – „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ მინიჭებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. გარანტია წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. 2012 წლის 4 იანვარი იყო ოთხშაბათი, შესაბამისად, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთვის დადგენილი ვადის ზედა ზღვარი გადიოდა 2012 წლის 11 იანვარს. მოთხოვნილი გარანტია კი კონტროლის პალატას ჩაბარდა 2012 წლის

10 იანვარს. შესაბამისად, კასატორის მტკიცებით, 2012 წლის 9 იანვრის №5 სხდომის ოქმი (ელექტრონული სისტემის ქრონოლოგიის გრაფაში უარყოფითი შედეგის თარიღად მითითებულია 2012 წლის 10 იანვარი) ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას.

კასატორის მითითებით, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების 24-ე მუხლის თანახმად: „იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის/მიმწოდებლის დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში მოყვანილი მიზეზების გამო ან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დადების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის შესახებ ცნობილი გახდა ხელშეკრულების დადების შემდეგ, ან/და მიმწოდებელმა ვერ შეასრულა/არასრულად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, სააგენტოს დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს აღნიშნული გარემოებებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, შესაბამისი მიზეზების მითითებით.“ საყურადღებოა, რომ აღნიშნული ნორმით დადგენილი პირობა, კერძოდ, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების კუმულაციურად არსებობა არ ყოფილა, რაც გასაჩივრებული აქტების გაუქმების კიდეც ერთი საფუძველია.

კასატორის განმარტებით, საქმის განხილვის დროს მოხდა შავ სიაში პირთა რეგისტრაციის წესის ლიბერალიზაცია, კერძოდ, ცვლილება შევიდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებაში, რომლის 22¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად: „სააგენტო წერილობითი შეტყობინების მიღების შემდეგ გონივრულ ვადაში იხილავს ასეთ შეტყობინებაში აღნიშნული პირის შავ სიაში დარეგისტრირების საკითხს. სააგენტო პირის შავ სიაში დარეგისტრირებისას ითვალისწინებს ბაზარზე კონკურენციის დაცვისა და თანაზომიერების პრინციპებს, სააგენტო უფლებამოსილია, შემსყიდველ ორგანიზაციას მოსთხოვოს წერილობით შეტყობინებაში არსებული ინფორმაციის დაზუსტება, ასევე მიიღოს სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც აუცილებელია პირის შავ სიაში დარეგისტრირების საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას. საჭიროების შემთხვევაში, პირის შავ სიაში დარეგისტრირების საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში სააგენტო ასე-

ვე უფლებამოსილია, სააგენტოში მოინვიოს დაინტერესებული მხარეები“.

კასატორის განმარტებით, ვინაიდან, ზემოაღნიშნული ცვლილება ნორმატიულ აქტში შევიდა საქმის განხილვის დროს, სასამართლოს უნდა გაეგრძელებინა აღნიშნული შეღავათი სს „...“ და ამ ცვლილების გათვალისწინებით ემსჯელა და გადაეწყვიტა სადავო საკითხი.

საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მოსაზრებით, სს „...“ მოითხოვა საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლოს მიერ შეფასდეს პოზიცია, რომელიც ეხება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების 24-ე მუხლს, რომლის შესაბამისად: „იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის ან/და მიმწოდებლის დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში მოყვანილი მიზეზების გამო ან/და მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დადების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის შესახებ ცნობილი გახდა ხელშეკრულების დადების შემდეგ ანდა მიმწოდებელმა ვერ შეასრულა/არასრულა შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, სააგენტოს დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს აღნიშნული გარემოებებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, შესაბამისი მიზეზების მითითებით.“ მოსაზრების ავტორის განმარტებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ჩათვალეს, რომ აღნიშნულ მუხლში „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების კავშირი არის ორთოგრაფიული შეცდომა და არ არსებობს ორივე ქვეპუნქტის კუმულაციურად ამოქმედების საფუძველი, რაც არასწორია.

ამასთან, მოსაზრების ავტორის განმარტებით, ცვლილება შევიდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებაში, რომლის 22'-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „სააგენტო წერილობითი შეტყობინების მიღების შემდეგ გონივრულ ვადაში იხილავს ასეთ შეტყობინებაში აღნიშნული პირის შავ სიაში დარეგისტრირების საკითხს. სააგენტო პირის შავ სიაში დარეგისტრირებისას ითვალისწინებს ბაზარზე კონკურენციის დაცვასა და თანაზომიერების პრინციპებს, სააგენტო უფლებამოსილია, შემსყიდველ ორგანიზაციას მოსთხოვს წერილობით შეტყობინებაში არსებუ-

ლი ინფორმაციის დაზუსტება, ასევე მიიღოს სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც აუცილებელია პირის შავ სიაში დარეგისტრირების საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას. საჭიროების შემთხვევაში, პირის შავ სიაში დარეგისტრირების საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში სააგენტო ასევე უფლებამოსილია, სააგენტოში მოიწვიოს დაინტერესებული მხარეები“. აღნიშნული ცვლილებით დადგინდა აქტის გამოცემის ახალი წესი და ახალი ცვლილების შინაარსით პირდაპირ არის დადგენილი, რომ უნდა მომხდარიყო ახალი რეგულაციის გამოყენება სასამართლოს მიერ და სააგენტოსათვის აქტის გამოცემის დავალება.

მოსაზრების ავტორის განმარტებით, ასევე არასწორია ქვედა ინსტანციების სასამართლოების მოსაზრება, იმასთან დაკავშირებით, რომ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 2 მარტის №75 განკარგულება და 2012 წლის 29 მარტის №2/3-1040 გადაწყვეტილება არ წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და მის გამომცემ ორგანოს არ ჰქონდა ვალდებულება, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით ერკვია არსებითი გარემოებები, ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, რომელიც განმარტავს: ა) ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის რაობას და ნიშნებს; ასევე ბ) არსებითი გარემოებების კვლევის აუცილებლობას.

მოსაზრების ავტორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლი, მოცემულ სადავო შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო გასცდა მისთვის კანონით დადგენილ უფლებამოსილებას, არ გამოიყენა რა ნორმატიული აქტი იმ შინაარსით რა შინაარსითაც იგი იყო მიღებული და განსაზღვრა, რომ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების 24-ე მუხლში კუმულაციური პირობა არ არსებობს, როცა ნორმაში ორ ქვეპუნქტს შორის პირდაპირ არის მითითებული და კავშირი, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ორივე პირობის არსებობის სავალდებულოობას.

საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებით სსიპ კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ მოითხოვა საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა და განმარტა, რომ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდე-

რის ჩატარების წესის“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების (სადავო აქტის გამოცემის მომენტისათვის მოქმედი რედაქციით) 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად: „სააგენტო წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე ახდენს ამ შეტყობინებაში აღნიშნული პირის დარეგისტრირებას შავ სიაში“, ამავე მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულია იმ მონაცემების ჩამონათვალი, რომელსაც აუცილებლად უნდა შეიცავდეს შეტყობინება, რომელსაც აგზავნის შემსყიდველი ორგანიზაცია. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ვალდებულებას და ვადასაც კი იმისათვის, რომ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ განახორციელოს ის მოქმედებები, რომელზედაც მიუთითებს კასატორი. სს „...“ შავ სიაში დარეგისტრირების მიზეზი არის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარუდგენლობა და აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი არის სისტემაში, ასევე საყურადღებოა, რომ კასატორი არ ხდის სადავოდ იმ ფაქტს, რომ 2012 წლის 9 იანვრამდე ე.ი. მის დისკვალიფიკაციამდე არ მოუხდენია გარანტიის წარდგენა, არამედ მხოლოდ შემდეგ. შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის საფუძველი.

მოსაზრების ავტორის განმარტებით, არასწორია კასატორის მოსაზრება, რომ ხელშეკრულება უნდა დადებულიყო სტატუსის „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ მინიჭებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში და გარანტია წარდგენილი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ვინაიდან, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს წარმოადგენს მხოლოდ „ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტები“ და მათში არავითარ შემთხვევაში არ იგულისხმება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. აქედან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილი იყო ტენდერისათვის მიენიჭებინა სტატუსი – „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“. კასატორი ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია წარდგენილი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ზემოაღნიშნული წესის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად (რომელსაც კასატორიც იშვე-

ლიებს, თუმცა გაუგებარია რითი აბათილებს ამ ნორმის მოთხოვნას), „ხელშეკრულების შესრულების გარანტია ან დაზღვევა, მათი მოთხოვნისას, გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში შესაძლებელია წარედგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულების დადების შემდგომ, ხოლო ტენდერის საშუალებით შესყიდვის შემთხვევაში წარედგინოს უნდა იქნეს ხელშეკრულების დადებამდე“, რამდენადაც ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად და ხელშეკრულების გარანტია შემსყიდველ ორგანიზაციას წარედგინება ხელშეკრულების დადებამდე. ასევე არასწორია კასატორის მითითება ზემოაღნიშნული წესის მე-15 მუხლზე, რომლის შესაბამისად, ხელშეკრულება იდება საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა და ამის საფუძველზე მიიჩნევა, რომ 2012 წლის 10 იანვრის სადავო გარანტია დაგვიანებით არ ყოფილა წარდგენილი. მონინააღმდეგე მხარე არ იზიარებს, კასატორის მოსაზრებას, რომ ნორმა იძლევა საშუალებას ხელშეკრულება დაიდოს 5 სამუშაო დღის ვადაში და კრძალავს ამ ვადის მხოლოდ გაზრდას და არა შემცირებას (გამონაკლისი გარემოებების გარდა, რასაც ადგილი არ აქვს ამ შემთხვევაში). ამავე ნორმის ფარგლებში, შემსყიდველ ორგანიზაციას ვაგზავნილი აქვს პრეტენდენტისთვის 2012 წლის 4 იანვრის №5/06 შეტყობინება, რომლითაც სთხოვს ხელშეკრულების გაფორმებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარდგენას 1 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადა არანაირად არ მოიცავს 2012 წლის 10 იანვარს და არ იძლევა იმის ინტერპრეტაციის საშუალებას, რომ გარანტია შესაძლებელია, წარმოდგენილიყო 5 სამუშაო დღის ვადაში ან ხელშეკრულების დადების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ გარანტია, რომელიც დაგვიანებით იქნა წარდგენილი კასატორის მიერ შემსყიდველ ორგანიზაციაში, გაცემულია 2012 წლის 3 იანვარს, რაც ხაზს უსვამს კასატორი კომპანიის განზრახვას, რომ არ იყო ორიენტირებული გარანტიის ხელშეკრულების დადების შემდეგ წარდგენაზე.

რაც შეეხება საკანონმდებლო ცვლილებას, რომელმაც შეცვალა შავ სიაში პირის რეგისტრაციის პროცესი, აღნიშნული ცვლილებები განხორციელდა კასატორის შავ სიაში რეგისტრაციის შემდეგ, აქედან გამომდინარე, გაურკვეველია აქტის ბათილობის საფუძველად როგორ შეიძლება იქნეს გათვალისწინებული აქტის გამოცემის შემდეგ ამოქმედებული ნორმა, რამეთუ აღნიშნული ნორმა არ გამოიყენებოდა კასატორის შავ სიაში

რეგისტრაციის თაობაზე აქტის მიღებისას.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის და-საშვებობის პროცესუალური წანამძღვრები:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ად-მინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნ-ქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, რო-გორც აბსოლუტური კასაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკა-საციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების, მხ-რეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმის სასამართლო განხილ-ვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სს „...“ საკასაციო სა-ჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელა-ციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ოქტომბრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მი-ერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი დაკმა-ყოფილდეს, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ კონკურენცი-ისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 2 მარ-ტის №75 განკარგულება; 2012 წლის 29 მარტის №2/3-1040 წე-რილი და სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაევალოს სს „...“ შავი სიიდან ამოღება; წინამდებ-არე გადაწყვეტილების მიღებით ასევე ძალადაკარგულია თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 20 აპრილის დროე-ბითი განჩინება პრევენციული დაცვის გამოყენების თაობაზე;

კასაციის დაშვების წანამძღვრის განმარტება კონკრეტულ საქმეზე: განსახილველი საკასაციო საჩივრის მოტივი, სადავო სამართალურთიერთობაში გამოსაყენებელი ნორმების შინაარ-სის განმარტების თაობაზე საგულისხმო და განსაკუთრებულია, რამაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით შექმნა აბსოლუ-ტური კასაციის წანამძღვრები, შესაბამისად, მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამარ-თლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი, კერძოდ, მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამარ-თლოს სამართლებრივი შეფასებები მნიშვნელოვანია რამდენი-მე თვალსაზრისით:

1. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურაში თანასწორობი-სა და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, როგორც კონსტიტუციური პრინციპის – თავისუფალი სამეწარმეო საქ-

მიანობის ხელშეწყობისა და კონკურენციის განვითარების გა-
რანტია;

2. სახელმწიფო შესყიდვების, როგორც საჯარო სამართლებ-
რივი პროცედურების კანონიერების როლი და გავლენა საჯარო
მმართველობის სამართლებრივ ჩარჩოში განხორციელების უზ-
რუნველყოფაზე;

3. სახელმწიფო შესყიდვების კანონიერებაზე ზედამხედვე-
ლობისა და შესყიდვების პროცედურების რეგულირების პოლი-
ტიკის განმსაზღვრელი ორგანოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვე-
ბის სააგენტოს როლი და ფუნქციები;

4. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისი-
ერ პირთა რეესტრის, როგორც მონაცემთა ბაზის არსი, მნიშ-
ვნელობა და მისი კანონიერების ფუნქცია შესყიდვებში მონა-
წილე ან ასეთით დაინტერესებულ პირთა სამართლებრივ მდგო-
მარეობასა და საქმიან რეპუტაციაზე;

5. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, როგორც ად-
მინისტრაციული ორგანო და მისი გადაწყვეტილებების, რო-
გორც ადმინისტრაციული აქტის კანონიერების განმსაზღვრე-
ლი გარემოებების დადგენა-შეფასება, ასევე, კანონით დადგე-
ნილ სამართლებრივი კონტროლის მექანიზმებისა და წესების
სპეციფიკური ხასიათის ანალიზი.

განსახილველი დავა წარმოშობილია ადმინისტრაციულ-სა-
მართლებრივი ურთიერთობიდან, სახელმწიფო შესყიდვების
პროცედურის ერთ-ერთი ინსტიტუტის – არაკეთილსინდისიერ
პირთა რეესტრის გამოყენების კანონიერებასთან დაკავშირე-
ბით საწარმოსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე
საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დას-
კვნები ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვების არსის გააზ-
რებას, პროცედურის კანონიერებისათვის განმსაზღვრელი ფაქ-
ტორების გამოკვეთას, შესყიდვების პროცედურების მონაწი-
ლე პირთა სამართლებრივი სტატუსის, მათი უფლება-მოვალე-
ობების დაზუსტებას, მოცემულ პროცედურაში გადაწყვეტილე-
ბათა მიღების ფორმების დაკონკრეტებას, გაანალიზებასა და
საჯარო მმართველობის კანონიერების სტანდარტთან შესაბა-
მისობის დადგენას.

სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო
პრაქტიკის დამკვიდრებისათვის არსებითია სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების სააგენტოს ფუნქციების განმსაზღვრელი კანო-
ნის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ დებულებათა ზოგადი
ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებსა და ნორმებთან შე-

საბამისობის ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს ეროვნულ სასამართლოებს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის კანონიერების თაობაზე წამოჭრილი სასამართლო კონფლიქტების კანონიერ და სამართლიან განხილვა-გადანყვეტაში. ამავდროულად, წინამდებარე გადანყვეტილება სასარგებლო იქნება ყველა ადმინისტრაციული ორგანოს (როგორც სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი) მოხელეთათვის, ამ პროცედურის კანონიერი პრაქტიკის დასამკვიდრებლად, ასევე უზენაესი სასამართლოს სახელმძღვანელო განმარტებები დაეხმარება ქვეყნის ბიზნეს – სექტორს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურაში მათი უფლება-მოვალეობების გასააზრებლად და შექმნის დამატებით სამართლებრივ გარანტიას თავისუფალი სამენარმეო საქმიანობისა და კონკურენციის განვითარებისათვის.

საკასაციო სასამართლო სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით საჯაროსამართლებრივ დავებზე მოცულობითი პრაქტიკის შესწავლა-გაანალიზების შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემული დავის კანონიერად გადანყვეტისა და განმაზოგადებელი სასამართლო დასკვნის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია სამართლებრივად შეფასდეს სახელმწიფო შესყიდვების მომწესრიგებელი ნორმების, პროცედურებისა და ინსტიტუტების გამოყენების კვალიფიციურობა, აგრეთვე სამართალურთიერთობისათვის დამახასიათებელი რიგი ტენდენციები, რაც უფლებათა დარღვევის მიზეზი ხდება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახელმწიფო შესყიდვები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საჯარო მმართველობით ფუნქციას წარმოადგენს, რომლის სამართლებრივი შედეგები აისახება როგორც მმართველობის კანონიერებაზე, სახელმწიფო სახსრების რაციონალურ განაწილებასა და ხარჯვაზე, სახელმწიფოს, როგორც კეთილსინდისიერი სახელშეკრულებო ურთიერთობის პარტნიორის იმიჯის ჩამოყალიბებაზე, ასევე, თავად სამენარმეო სუბიექტებისთვის ჯანსაღი კონკურენციის პირობების შექმნის, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარების, კანონიერი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველყოფაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით, სახელმძღვანელოდ რეკომენდირებული სასამართლო შეფასებები და დასკვნები დღემდე სასამართლო აქტებში არ ასახულა, რის გამოც იგი ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, ასევე სასარგებლო იქნება საქართველოს ადმინისტრირების სისტემის მომავალი პრაქტიკისათვის და მენარმეთა უფლებების განმტკიცებისათვის.

საქმის მასალებით დადგენილია:

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ 2011 წლის 23 დეკემბერს გამოცხადდა ტენდერი (CPV 66512200) სადაზღვევო მომსახურების გამარტივებული ელექტრონული შესყიდვების შესახებ.

საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის 2012 წლის 4 იანვრის №4 სხდომის ოქმის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს კონტროლის პალატის მიერ გამოცხადებულ საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის (CPV 66512200) მომსახურების შესყიდვის, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში სს „...“ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები აკმაყოფილებდა სატენდერო განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ამავე ოქმის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვის, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა სს „...“, მე-3 პუნქტის შესაბამისად, დადგინდა არა უგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება, მე-4 პუნქტის თანახმად, სს „...“ ასევე ეცნობა წარედგინა ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის თავმჯდომარის 2012 წლის 4 იანვრის №5/06 წერილით სს „...“ ეთხოვა არა უგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში გამოცხადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად და წარმოედგინა ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის 2012 წლის 9 იანვრის №5 სხდომის ოქმის თანახმად, სს „...“ მიეცა ვადა – 1 სამუშაო დღე, ხელშეკრულების გასაფორმებლად და საბანკო გარანტიის წარმოსადგენად, რაც დადგენილ დროში სს „...“ არ წარადგინა და შესაბამისად ვერ გაფორმდა ხელშეკრულებაც, რის გამოც საქართველოს კონტროლის პალატის მიერ, გამოცხადებული საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვის, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში სს „...“ დისკვალიფიცირებული იქნა. ამასთან, აღნიშნული ტენდერი გამოცხადდა უარყოფითი შედეგით დასრულებულად და მიენიჭა სტატუსი „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“.

საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ 2012 წლის 9 იანვარს №12/06 წერილით მიმართა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და მიუთითა, რომ საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის (CPV 66512200) მომსახურების შესყიდვის გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში, (განცხადების №SPA10032505) სს „...“ საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის 2012 წლის 9 იანვრის №5 ოქმის საფუძველზე დისკვალიფიცირებულ იქნა.

სს „...“ საბანკო გარანტია საქართველოს კონტროლის პალატაში წარადგინა 2012 წლის 10 იანვარს.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 2 მარტის №75 განკარგულებით სს „...“ საქართველოს კონტროლის პალატის 2012 წლის 9 იანვრის №12/06 წერილის საფუძველზე 2012 წლის 2 მარტს დარეგისტრირდა შავ სიაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარუდგენლობის გამო.

სს „...“ 2012 წლის 27 მარტს საჩივრით მიმართა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და მოითხოვა სს „...“ შავი სიიდან ამოღება.

ზემოაღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით სს „...“ სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 29 მარტის №2/3-1040 წერილით, ეცნობა, რომ საქართველოს კონტროლის პალატის 2012 წლის 9 იანვრის №12/06 წერილი სს „...“ შავ სიაში რეგისტრაციის თაობაზე და მასზე დართული და სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოძიებული ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებდა პირის შავ სიაში რეგისტრაციისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

1. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სახელმწიფო შესყიდვების, როგორც მმართველობითი ფუნქციის კანონიერი განხორციელება გარკვეული ასპექტით პასუხობს საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციურ ვალდებულებას, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 30.2 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აღნიშნული ვალდებულება მოიცავს, როგორც კერძო, ისე საჯარო სფეროში, როგორც ნორმატიულ (საკანონმდებლო), ნორმატიულ-ადმინისტრაციულ (კანონქვემდებარე და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, პროცედურები, ადმინისტრაციული ხელშეკრულებები), სამართლიან და თანასწორობაზე დაფუძ-

ნებულ მაღალი სტანდარტების დადგენას, ასევე, დადგენილი ნორმების პრაქტიკულ ვითარებაში სამართლიან და კანონშესაბამისი აღსრულების დამკვიდრებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოთ მითითებული კონსტიტუციური დათქმის შესრულება ემსახურება ასევე კონსტიტუციური რანგის პრინციპების – კანონიერებისა და თანასწორობის პრინციპების, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების (საქართველოს კონსტიტუციის II თავი), რომლებიც მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე (საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლი), სრულფასოვან რეალიზაციას.

სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულების ჯეროვანი შესრულება განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში, რამდენადაც სახელმწიფო მისი ადმინისტრაციული ორგანოების სახით სამართალურთიერთობის უშუალო მონაწილე, სამართლებრივი პროცესის შემოქმედი, შესაბამისად, მის კანონიერებაზე და პირის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი სუბიექტია.

სახელმწიფო შესყიდვების კანონიერება თავისი სამართლებრივი შედეგებით გავლენას ახდენს, როგორც მმართველობის საჯაროობის, მიუკერძოებლობისა და კანონიერების ხარისხზე, სახელმწიფო ფულადი სახსრების ხარჯვის რაციონალურ ხასიათზე, მის მიმართ ნდობისა და ავტორიტეტის ჩამოყალიბების ტემპებზე, საზოგადოების განწყობის ფორმირებაზე, ასევე, პრაქტიკაში დამკვიდრებული კლანური ეკონომიკის, გავლენიანი ჯგუფების ბიზნეს-ინტერესების, კორუფციული გარიგებების სქემების გატარების ნაცვლად ქვეყანაში ჯანსაღი ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე, კონკურენტული გარემოსა და კანონიერი სამეწარმეო ურთიერთობების ტენდენციის შექმნაზე.

საკასაციო სასამართლო 2005 წლის 20 აპრილის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ ნორმატიული აქტის მიზნის განსაზღვრისას კანონმდებელი კონსტიტუციური პრინციპის რეალიზაციის მისაღწევად უთითებს: სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომისა და საჯაროობის უზრუნველყოფას /„გ“ და „დ“ პუნქტები/, ხოლო, კანონით დადგენილი პროცედურა სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება, შესაბამისად, მათი ზედმინვნით დაცვა და კანონშესაბამისი აღსრულება შემსყიდველი ადმინისტრაციული ორგანოების საჯარო ვალდებულებას

წარმოადგენს.

ამდენად, აღნიშნული საჯარო სამართლებრივი პროცედურის კანონიერების მაღალი სტანდარტით განხორციელება, როგორც სამართლებრივი, ისე ეკონომიკური შედეგების გათვალისწინებით წარმოადგენს ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანას, ხოლო პროცედურის კანონიერებაზე სრულფასოვანი, კვალიფიციური და სამართლიანი სასამართლო კონტროლის განხორციელება – ეროვნული სასამართლოების კონსტიტუციური ფუნქციისა და მისიის ჯეროვან აღსრულებას.

2. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახელმწიფო შესყიდვების კანონიერების როლი და გავლენა განმსაზღვრელია საჯარო მმართველობის სამართლებრივი იმიჯისათვის, რამდენადაც სახელმწიფოს ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო ამოცანების შესასრულებლად მინიჭებული აქვს უფლებამოსილება განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესაძენად, რამდენადაც მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანი შესრულება სხვადასხვა მატერიალური სახის საჭიროებაზე დამოკიდებული, ასე მაგ.: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხი განპირობებულია სამხედრო დანიშნულების ნაგებობების, იარაღისა და აღჭურვილობის, არმიის კვების პროდუქტების, მართლწესრიგის განმტკიცება – შესაბამისი სატრანსპორტო სპეცტექნიკისა და სპეცსაშუალებების, განათლების სისტემის ჯეროვანი ხარისხი – სკოლამდელი და საშუალო განათლების შესაფერისი ნაგებობების, საგანმანათლებლო ლიტერატურის, პროგრამების შექენით და ა.შ.. სახელმწიფო შესყიდვები ხელისუფლების კონკრეტული დონის (სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის, თვითმმართველობის, სსიპ პირების) შესაბამისი საბიუჯეტო სახსრებით ხორციელდება, რომელიც საქართველოს მოსახლეობის შენატანებით ივსება საჯარო ინტერესების დასაკმაყოფილებლად. საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა კი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს, რის უზრუნველსაყოფად კანონით მკაცრად რეგლამენტირებული წესები, პრინციპები და სტადიებია დადგენილი, რომლის განხორციელებას უზრუნველყოფს მინიმუმამდე დაჰყავს პროცედურის და მისი შედეგების გაუმტკირვალობა, ინტერესთა კონფლიქტის, კორუფციული სქემების დაშვების შესაძლებლობა.

ამავდროულად, მოცემულ პროცედურაში პრაქტიკულად რეალიზდება მმართველობითი სამართლის უმნიშვნელოვანესი,

ფუნდამენტალური პრინციპები, როგორცაა: კანონიერების, საჯაროობის, მიუკერძოებლობის, თანასწორობის, კანონიერი ნდობის უფლების, კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპები, ამდენად, მათი იგნორირება, უგულებელყოფა ან დარღვევა პირდაპირ ზემოქმედებს საჯარო მმართველობის ტიპის კლასიფიკაციისას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფო შესყიდვები, როგორც მმართველობითი საქმიანობა ორ საფეხურიანი პროცესით ხორციელდება:

1. მიმნოდებლის შერჩევის/გამოვლენის მიზნით შესყიდვის პროცედურის ჩატარება;

2. შერჩეულ /გამარჯვებულ/ მიმნოდებელთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადება.

ამდენად, აღნიშნული პროცედურა ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამივე /ძირითადი/ სამართლებრივი ფორმის: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ადმინისტრაციული რეალაქტის, ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა და აგრეთვე, კერძო სამართლებრივი ფორმის – სამოქალაქო ხელშეკრულების გამოყენებას. საქმიანობის ყველა აღნიშნული სამართლებრივი ფორმა კანონით მკაცრად დეტალიზებულ მონესრიგებას არის დაქვემდებარებული, თანმიმდევრული ხასიათით გამოირჩევა და რომელიმე სტადიაზე უკანონობის დაშვება მთელი პროცედურისა და სამართლებრივი ფორმების კანონიერებაზე აისახება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების, როგორც საჯარო მმართველობის პროცედურების კანონიერება მასშტაბურ ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ კონკრეტული შემსყიდველი ადმინისტრაციული ორგანოს, არამედ მთლიანად საჯარო მმართველობის სისტემის სამართლებრივ ჩარჩოში ფუნქციონირებასა და კანონიერი ადმინისტრირების სტანდარტის უზრუნველყოფაზე.

3. მოცემული სამართალურთიერთობის არსის გასარკვევად აუცილებელია გაანალიზდეს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების რეგულირების პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს როლი და ფუნქციები.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანოდ დადგინდა ამავე კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სსიპ, რომლის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებე-

ბი და შეთანხმებები, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი და მათ შესაბამისად შემუშავებული სააგენტოს დებულება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ კანონის 4.3 მუხლი სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლად არ უთითებს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, რაც მხოლოდ დასაწინააღმდეგებელი ხარვეზად შეიძლება დაკვალიფიცირდეს, იგი უსათუოდ წარმოადგენს მისი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად სამართლებრივ საფუძველს, როგორც საკანონმდებლო აქტი, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს ცნებას, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საქმიანობის სამართლებრივი ფორმების, მომზადების, გამოცემის, დადგენისა და შესრულების წესებს.

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე განეკუთვნება ამ კოდექსით დეფინირებულ ადმინისტრაციულ ორგანოს, ახორციელებს საერთო ადმინისტრირებას სახელმწიფო შესყიდვების პროცედურაზე, განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების რეგულირების სახელმწიფო პოლიტიკას და ზედამხედველობს მის განხორციელებას.

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კანონით დადგენილი ფუნქციების ხასიათის შესწავლა-განხილვა განაპირობებს სააგენტოს როლს სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მნიშვნელობის თვალსაზრისით, როგორც საჯარო მმართველობის კანონიერების, ისე ზოგადად კეთილსინდისიერი ადმინისტრირების სტანდარტის მისაღწევად, ასე მაგ.: სააგენტო შეიმუშავებს და გამოსცემს კანონის მოქმედებისათვის აუცილებელ ნორმატიულ აქტებსა და სტანდარტულ სატენდერო დოკუმენტაციას; უზრუნველყოფს მათ საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაციას; სააგენტოს სისტემა დეტალურად სწავლობს, აანალიზებს და საქართველოს მთავრობას წარუდგენს წინადადებებს შემსყიდველი ორგანიზაციებიდან მიღებული ანგარიშგების საფუძველზე ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას შესყიდვების სფეროში. სააგენტოს დაკისრებული აქვს სპეციალური სამართლებრივი და ტექნიკურ-ორგანიზაციული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება, როგორც ადმინისტრაციული ორგანოებისათვის, ისე მასმედიის და სხვა დაინტერესებულ პირთათვის, შესყიდვების საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფი ტექნოლოგიების დანერგვა და საინფორ-

მაცხოვრებლის ბაზის შექმნა, შესყიდვების კანონიერებაზე ზედამხედველობა; სახელმწიფო შესყიდვების ხელოვნურად დაყოფის ფაქტების გამოვლენა და რეაგირება; დავების განხილვა; კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრების წარმოება.

(დავების განხილვის სტრუქტურასა და სპეციფიკურ ხასიათზე საკასაციო სასამართლო იმსჯელებს ქვემოთ).

საკასაციო სასამართლო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 4.6 მუხლის (სააგენტოს ძირითადი ფუნქციები) საფუძველზე განმარტავს, რომ სააგენტოსათვის ამგვარი ფართო პროფილის კომპეტენციის გადაცემით კანონმდებელი ხაზს უსვამს შესყიდვების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვის, ორგანიზების, ინტენსიური ანალიზისა და მისი შესრულების ზედამხედველობის მნიშვნელობას, რაც თავის მხრივ, სააგენტოს ავალდებულებს ამ უმნიშვნელოვანესი ფუნქციების ზედმინევენით სამართლებრივ ჩარჩოში განხორციელებას, რათა აცილებულ იქნეს მოცემულ პროცედურაში კანონშეუსაბამო და არაჯანსაღი ტენდენციების დამკვიდრება.

4. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ფუნქციებში, როგორც განსახილველი სამართალური თიერობის, ასევე, ზოგადად, შესყიდვების სფეროში კანონიერი პრაქტიკის დასამკვიდრებლად, პრინციპული მნიშვნელობით გამორჩეულია შესყიდვების მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრის წარმოების კომპეტენცია. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 3.1 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი, როგორც კანონში გამოყენებული ტერმინი დეფინირებულია შემდეგი შინაარსით: შავი სია, რომელსაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ელექტრონულად აწარმოებს და განათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. შავ სიაში აისახება სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე იმ არაკეთილსინდისიერ პირთა, პრეტენდენტთა და მიმწოდებელთა მონაცემები, რომლებსაც შავ სიაში შეტანიდან 1 წლის განმავლობაში არა აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში და დადონ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. შავი სია ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის. შავი სიის წარმოების წესი და პირობები განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

საკასაციო სასამართლოსთვის მოცემულ საკითხზე საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გაცნობის შედეგად ცხა-

დი გახდა, რომ ამ ინსტიტუტის შემოღებით საქართველოს სახელმწიფო უდავოდ ნოვატორია, რამდენადაც მოძიებული მასალების მიხედვით, ევროპის სამართლებრივ სახელმწიფოებში არც ერთგან არ ხორციელდება ამგვარი რეესტრის წარმოება, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში ხდება არაკეთილსინდისიერ შემსყიდველთა სიის შედგენა, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდებზე, შესაბამისად, ხელმისაწვდომია, მაგრამ აქვს ინფორმაციული ხასიათი და უშუალო სამართლებრივ შედეგს არ იწვევს, რამდენადაც არ გამხდარა საკანონმდებლო მონესრიგების საგანი. ამდენად, იურიდიული ძალა მხოლოდ საქართველოში მიენიჭა. საკასაციო სასამართლო ქართული ბიზნეს-სექტორის დაბალი სამართლებრივი კულტურისა და გამეფებული უპასუხისმგებლობის გათვალისწინებით ამგვარ ნოვაციას არ აფასებს ნეგატიურად, მეტიც, ამ ინსტიტუტმა შესაძლოა, ხელი შეუწყოს კეთილსინდისიერი პარტნიორული კულტურის ტრადიციის ჩამოყალიბებას, მათი ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას, თუმცა მიაჩნია, რომ სახელმწიფოს აქვს პასუხისმგებლობა, სამართლიანად, დეტალურად და უაღრესად კვალიფიციურად განეროს სამართალურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი, რეესტრის ფორმირების, გადანყვეტილებათა მიღების საფუძვლები, წესები და პროცედურები, რათა თავიდან იქნეს აცილებული საქართველოს კონსტიტუციითა და მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებული, როგორც მატერიალური, ასევე პროცედურული უფლებების შელახვა. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული სტანდარტი მიღწეული არ არის (შეფასების სამართლებრივ დასაბუთებაზე სასამართლო იმსჯელებს ქვემოთ), რის გამოც დაუყოვნებლივ საჭიროებს, როგორც საკანონმდებლო, ასევე, კანონქვემდებარე აქტების ქვეყნის სხვა სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე სასამართლოს დავალების საფუძველზე სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლის ს. ბ-ის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2013 წელს რეესტრში დარეგისტრირდა 116 კომპანია (იხ. სხდომის ოქმი). საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში შავ სიაში შეყვანილი კომპანიების რიცხვი საკმაოდ სოლიდურია, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ზემომითიებული რეკომენდაციის დროულ შესრულების აუცილებლობას.

საკასაციო სასამართლო კანონში მოცემული დეფინიციის სა-

ფუძველზე განმარტავს, რომ აღნიშნული რეესტრი პრაქტიკულად წარმოადგენს მონაცემთა ბაზას არაკეთილსაიმედო პარტნიორთა შესახებ. აღნიშნული ფაქტის დადგენით კანონმდებელს ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობაში შემოაქვს სამოქალაქო სამართალურთიერთობის განმსაზღვრელი კეთილსინდისიერების პრინციპის ანალოგი, როგორც დამახასიათებელი პრინციპი ორმხრივ, პირთა ნებელობაზე წარმოშობილი სამართალურთიერთობისათვის.

სახელმწიფო შესყიდვები, მიუხედავად იმისა, რომ თავისი არსით სუბორდინაციულ სამართალურთიერთობაში ხორციელდება, რომლის ერთ-ერთ მონაწილეს, შემსყიდველის სახით ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, არ გააჩნია მავალელები ან ამკრძალავი ხასიათი, როგორც ეს ლოგიკურია სხვა სახის ადმინისტრაციულ – სამართლებრივი ურთიერთობებისათვის, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე ყალიბდება. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში შემსყიდველი იწვევს დაინტერესებულ პირებს, რათა გახდნენ მოცემული სამართალურთიერთობის მონაწილენი საკუთარი სურვილის, ნებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

ამდენად, ნების ავტონომიის პრინციპით მოქმედი მიმნოდებლები არა მხოლოდ აღჭურვილნი არიან უფლებით, გახდნენ სახელმწიფოს პარტნიორები, არამედ ამავედროულად შებოჭილნი არიან კეთილსინდისიერების პრინციპით. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებანი და მოვალეობანი (სამოქალაქო კოდექსის 8.3. მუხლი); ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (სამოქალაქო კოდექსის 361.2. მუხლი).

არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრის წარმოების მიზანი არის ერთგვარი ინფორმაციის მიწოდება სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისათვის, ამასთან, განსაზღვროს ვალდებულების ჯეროვანი შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შემსყიდველთათვის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა წარმოადგენს მათი სამოქალაქო უფლების რეალიზაციას, რომლის სამართლებრივი სტანდარტი დადგენილია სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის – უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა, დანაწესით, კერძოდ: სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

აღსანიშნავია, რომ პროცედურის მნიშვნელობის და მისი შედეგების გათვალისწინებით კანონმდებელი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ადგენს სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეთა მიმართ, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 195¹-ე მუხლის მიხედვით სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის წესის დარღვევად კვალიფიცირდება: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პროცედურებში მონაწილეობისას შესყიდვებში მონაწილე სუბიექტების მიერ წინასწარი შეთანხმება ან სხვა გარიგება თავისთვის ან სხვისთვის მატერიალური გამოჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა შეიძლება გამოეწვიოს, ასევე პასუხისმგებლობა ვრცელდება იურიდიული პირის მიმართ. „შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით“ (16.07.2010 წლის რედაქცია №3446).

საკაცაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრის ინსტიტუტთან დაკავშირებით გამოყოს სამი საგულისხმო ასპექტი:

1. რეესტრში შეყვანის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები;

2. რეესტრში შეყვანის ფორმალურ-სამართლებრივი წესი;

3. რეესტრში შეყვანის სამართლებრივი შედეგები.

1. კანონის მიხედვით, რეესტრის ანუ შავი სიის წარმოების წესის და პირობების განსაზღვრა დელეგირებულ იქნა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეზე, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღებით. სსიპ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-13 მუხლით დადგინდა მიმწოდებლის ან/და პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძვლები.

აღნიშნული ბრძანების 13.2 მუხლის ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი საფუძვლები მოიცავს, როგორც პროცედურულ, ისე მატერიალურ-სამართლებრივი თემატიკის საფუძვლებს, ასე, მაგ.:

ა) მიმწოდებლის ან/და პრეტენდენტის მხრიდან ხარვეზიანი ან შეუსაბამო ტექნიკური დოკუმენტაციის ან საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა /„ა“, „გ“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტები/.

ადმინისტრაციულ ორგანოში საჭირო დოკუმენტაციის სრულყოფილი წარდგენა არის დაინტერესებული პირის პროცედურული უფლების რეალიზაცია, რაც სზაკ-ის მიხედვით განეკუთვნება პირის უფლებას, რომლის გამოყენების ხარისხზეც არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებები და დასკვნები, თუმცა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურაში ამ უფლების არასათანადო რეალიზაცია იწვევს მონაწილის სანქცირებას-დისკვალიფიკაციას. დისკვალიფიკაციის ფორმალური საფუძვლების გაანალიზების შედეგად საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ პირის პროცედურული უფლება – წარადგინოს მტკიცებულებები კანონით დადგენილი სახით და ვადაში, მოცემულ პროცედურაში ტრანსფორმირდება საპროცესო მოვალეობად, ვინაიდან აღნიშნული ბრძანების მე-12 მუხლით განსაზღვრულია, რომ სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტები შეფასდება წინადადების ფასის, მათ მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაციისა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააგენტოს თავმჯდომარის მიერ პრეტენდენტის მხრიდან პროცედურულ უფლებათა არაკვალიფიციური რეალიზაციის მისი დისკვალიფიკაციის და აქედან გამომდინარე, შავ სიაში შეყვანის საფუძვლად კვალიფიკაციის განსაზღვრა უნდა აიხსნას სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვისა და საჭიროებათა ოპერატიული ხასიათით, რაც შემსყიდველ ორგანიზაციას რთულ მდგომარეობაში აყენებს, თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, ნორმა არ შეიცავს თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად, ბალანსის დაცვის მექანიზმს, არ არის რა დადგენილი პროცედურული უფლების რეალიზაციის დამაბრკოლებელი ან საპატიო მიზეზების შეფასების არეალი.

რაც შეეხება დისკვალიფიკაციის მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსის საფუძვლებს:

ბ) პრეტენდენტის მიერ თავის სატენდერო წინადადებაზე უარის თქმა /„ბ“ ქვეპუნქტი/, გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის გაცხადება ან ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარუდგენლობა /„ვ“ ქვეპუნქტი/, საკასაციო სასამართლო ამ შემთხვევაშიც აღნიშნავს, რომ ნორმატიულ დანაწესში გათვალისწინებული არ არის კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი, რამდენადაც შეფასებას არ ექვემდებარება ქმედების/უმოქმედობის გამომწვევი მიზეზების საპატიოობა,

ბრალეულობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობა.

ამგვარი შინაარსის დათქმას მხოლოდ ერთი საფუძველი – ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა/„ზ“ ქვეპუნქტი/, შეიცავს, რაც სავსებით არასაკმარისია სადავო სამართალურთიერთობის სამართლიანი მოწესრიგების სტანდარტის მიღწევისთვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული კანონ-ქვემდებარე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შინაარსი ვერ განსაზღვრავს და მეტიც, ვერ შეცვლის ამავე წესის მე-13 მუხლით დადგენილი დისკვალიფიკაციის საფუძვლებს, შესაბამისად, ამ ნაწილში ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას მიმნოდებლის ან/და პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძვლად მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების კუმულაციურად არსებობის პირობის თაობაზე, ვინაიდან: 1. მე-13 მუხლი განსაზღვრავს დისკვალიფიკაციის საფუძვლებს და ყველა მათგანს განიხილავს დისკვალიფიკაციის დამოუკიდებელ საფუძვლად;

2. კანონის 24.1. მუხლი განსაზღვრავს მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის ვალდებულებას ამ საფუძვლებით დისკვალიფიცირებული პირების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების სააგენტოსათვის შეტყობინების თაობაზე. მითითებულ ნორმას ვერ ექნება დისკვალიფიკაციის საფუძვლების, მით უფრო, მათი კუმულაციურად გამოყენების დამდგენი ფუნქცია.

2. არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში შეყვანის ფორმალურ-სამართლებრივი წესი – კომპეტენცია და პროცედურა ამგვარად არის დადგენილი:

მითითებული ბრძანების 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საფუძვლებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიღებულია დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება ან/და იმ შემთხვევაში, თუ მიმნოდებელმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულება, შემსყიდველი ორგანიზაციის ვალდებულებას წარმოადგენს წერილობით შეატყობინოს სააგენტოს ეს გადაწყვეტილება და დამდგარი გარემოებები, შესაბამისი მიზეზების მითითებით.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით სააგენტო შეტყობინების მიღებისთანავე ახდენს ამ შეტყობინებაში აღნიშნული პირის დარეგისტრირებას შავ სიაში.

საინტერესოა, რომ საკასაციო სასამართლოს სხდომაზე სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლის, ს. ბის განმარტება ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ კანონის მი-

ხედვით სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ავტომატურად არეგისტრირებს შავ სიაში, შემსყიდველი ორგანიზაციიდან მიღებულ შეტყობინებას – კომპანიის დისკვალიფიკაციის თაობაზე, სააგენტოს არ ჰქონდა უფლებამოსილება – ემსჯელა კომპანიის საპატიო მიზეზების თაობაზე, რაც გარკვეულ უსამართლობას იწვევს.

3. საკასაციო სასამართლო არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრის დეფინიციის შინაარსის ანალიზისას ასკვნის, რომ მონაცემთა ამ ბაზაში შემსყიდველის რეგისტრირება იწვევს მძიმე სამართლებრივ შედეგს, კერძოდ, 1 წლის განმავლობაში მათ ეკრძალებათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში და დადონ ხელშეკრულება. გარდა აღნიშნულისა, შავ სიაში მოხვედრა უდავოდ ახდენს ზემოქმედებას საწარმოს საქმიან რეპუტაციაზე, რამდენადაც რეესტრი მმართველობის საჯაროობის პრინციპის საფუძველზე ფუნქციონირებს და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისი ფორმირება, მიუკერძოებლობისა და კანონიერების, თანაზომიერების პრინციპების მკაცრი დაცვით უნდა მოხდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრის, როგორც მონაცემთა ბაზის კანონიერების ფუნქცია განმსაზღვრელი მნიშვნელობისაა შესყიდვებში მონაწილე ან ასეთით დაინტერესებულ პირთა სამართლებრივ მდგომარეობასა და საქმიან რეპუტაციაზე, რის გამოც სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის ყველა სტადია კანონის დანაწესების ზედმიწევნით სწორი განმარტებისა და გამოყენების საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

5. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აუცილებელია, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ პირის დისკვალიფიკაციის, ასევე მისი შედეგის – სსიპ სააგენტოს მიერ შავ სიაში დარეგისტრირების, დაკვალიფიცირება, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის რომელ სამართლებრივ ფორმას განეკუთვნება ის, ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, თუ ადმინისტრაციულ რეალაქტს.

მოცემული საკითხის შეფასებისას საკასაციო პალატა ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით (ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-713-300(კ-05), ნ. ხ-ის საკასაციო საჩივრისა გამო, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 მარტის განჩინებაზე, მონინაალმდეგე მხარე თელავის

რაიონის გამგეობის მიმართ, განკარგულების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ) მოცემულ განმარტებას შემდეგზე, რომ:

„ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ:

1. სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო – ადმინისტრაციული აქტის ავტორი;

2. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული /საჯარო/ სამართლის კანონმდებლობიდან;

3. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართულია კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისაკენ;

4. ადმინისტრაციული ორგანოს ეს ღონისძიება /იგულისხმება შემდეგი ელემენტი: „ანესებს, წყვეტს ან ადასტურებს“ / მიმართულია სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ე.ი. ის ანესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი პრინციპის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლება. ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია კონკრეტული სამართალურთიერთობა მოაწესრიგოს იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისივე აზრით, უფრო ეფექტურია კონკრეტულ შემთხვევაში. ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის თავისუფლების ფარგლები მთავრდება იქ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი ზუსტად უთითებს მოცემული ურთიერთობისათვის ამა თუ იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების აუცილებლობას ან ეს გამომდინარეობს კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის თავისებურებიდან“.

ასევე საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში არაერთგზის განიმარტა ადმინისტრაციული რეალაქტის ცნება. საკასაციო პალატა ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 ივნისის განჩინებით (ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-243-237(კ-08) ხ-ე და სხვ. საკასაციო საჩივრისა გამოთბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე) ჩამოყალიბებულ განმარტებას:

„საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეალაქტი (დე-

ფაქტო მოქმედება, რეალური მოქმედება) არის ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი საჯაროსამართლებრივი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგების დადგომისაკენ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული რეალური მოქმედებისაგან პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სამართლებრივ საშუალებას, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ქმედების განხორციელების ან მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეალაქტის ცნების ქვეშ იგულისხმება ყველა ის მმართველობითი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი შედეგის დადგომისაკენ (წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ). სწორედ ეს ნიშანი განასხვავებს ამ ინსტიტუტს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სხვა სამართლებრივი ფორმებისაგან, ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის სწორი კვალიფიკაცია პროცესუალური თვალსაზრისით წარმოადგენს აუცილებელ წინა პირობას სარჩელის სწორი ფორმის განსაზღვრისათვის, ხოლო ადმინისტრაციული სასამართლოს მეშვეობით უფლების დაცვა არ შემოიფარგლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით, არამედ მოიცავს ადმინისტრაციულ რეალაქტსაც“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ პირის დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, რის გამოც იგი უნდა პასუხობდეს სზაკ-ის მე-4 თავის ნორმებით დადგენილ მოთხოვნებს.

სსიპ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით სსიპ სააგენტო შავ სიაში არეგისტრირებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დისკვალიფიცირებულ პირებს. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ეს დათქმა არ აკონკრეტებს საქმიანობის სამართლებრივ ფორმას, ანუ საა-

გენტოს მიერ შავ სიაში პირის დარეგისტრირებას განიხილავს და მოიაზრებს, როგორც ადმინისტრაციულ რეალაქტს /რაკი განსხვავებით მე-13 მუხლის – დისკვალიფიკაცია, არ იყენებს ტერმინს – გადაწყვეტილება/, თუ როგორც ადმინისტრაციულ აქტს.

სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2012 წლის 2 მარტს გამოცემულია №75 განკარგულება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ სააგენტოს თავმჯდომარის მიერ ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად იქნა გამოყენებული საქმიანობის სამართლებრივი ფორმის ეს სახე, რამდენადაც პირის შავ სიაში დარეგისტრირება უდავოდ წარმოადგენს სსიპ შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილებას, შეიცავს რა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემადგენლობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით დადგენილ ოთხივე ელემენტს, ამდენად, მისი კანონიერების თაობაზე უფლებების დაცვის საპროცესოსამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახე.

სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის კანონიერების შემოწმებისას არსებითია გაირკვეს, თუ რომელი ფორმით (მეთოდით) არის ის გამოცემული. აღნიშნული საკითხის გამოკვლევას წინ უნდა უძღოდეს შეფასება, თუ რომელი ფორმით განხორციელდა მოცემულ სფეროში საჯარო მმართველობა.

საკასაციო სასამართლო სსიპ შესყიდვების სააგენტოს საქმიანობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების დებულებათა ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ შესყიდვების სფეროში აქტიურად გამოიყენება მართვის ავტომატური საშუალებები, კერძოდ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 4.7. მუხლის მიხედვით სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების მიზნით და შესყიდვების პროცესში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის უზრუნველსაყოფად სააგენტო უფლებამოსილია: ა) ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს თავის მიერ შექმნილი ან მასთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი; ბ) მართვის ერთიანი ავტომატური საშუალების გამოყენებით მიიღოს, გამოსცეს ან გასცეს ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი (2010 წლის 28 ივნისის საკანონმდებლო ცვლილება, ძალაშია 2010 წლის 1 აგვისტოდან).

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, განმარტოს საჯარო მმართველობის ავტომატიზაციის მიზანი და სამართლებრივი ბუნება. რამდენადაც თანამედროვე დოქტრინალური შეხედულებებით დასაბუთებულია მართვის ავტომატური სისტემების, ანუ მონაცემთა ელექტრონული დამუშავების საშუალებების ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოყენების ეფექტურობა საჯარო მმართველობის დახვეწისა და სრულყოფისათვის, რამდენადაც საჯარო მმართველობა თავისი საქმიანობას ყოველთვის ეპოქის შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით ახორციელებს. თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევები ლოგიკურად, ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედების ახალ შესაძლებლობებს ქმნის. მონაცემთა ელექტრონული დამუშავების პროგრამები გამოიყენება როგორც მონაცემთა დოკუმენტირების, გაცემის, ასევე, მასობრივი ხასიათის ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი ორგანიზაციული გავრცელების მიზნით, რაც უდავოდ მიზანშეწონილია, რამდენადაც ზოგავს ისეთ რესურსებს, როგორცაა: სამოხელეო კადრი, დრო, სახსრები და ა. შ.

საკასაციო სასამართლო დასძენს, რომ საჯარო მმართველობის ორგანოები ხშირად გამოსცემენ ერთგვაროვან ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლის უზრუნველსაყოფად ყველაზე ეკონომიური და პრაქტიკულია მონაცემთა ელექტრონული დამუშავების გამოყენება, რაც შესაძლებელია ადმინისტრაციული წარმოების სხვადასხვა სტადიაზე, მაგრამ ამ საშუალებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მხოლოდ მაშინ ჩამოყალიბდება, როდესაც ადმინისტრაციული წარმოების პროცედურაში მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება მონაცემთა ელექტრონული დამუშავების საშუალების გამოყენებით შეიქმნება და გამოიცემა. ამ ვითარებაში ადმინისტრაციული ორგანო მის კანონიერ ძალაში შესვლას უზრუნველყოფს ადრესატისათვის მისი გაცნობის გზით, ამასთან, შესაძლებელია, თვით ეს ფუნქციაც ამავე ავტომატური საშუალებების მეშვეობით განხორციელდეს. მაგ.: ავტომანქანით საგზაო ნესის დარღვევა, სიჩქარის გადაჭარბება ფიქსირდება ავტომატურად. ასევე ავტომატურად დგინდება მისი მფლობელი და ავტომატურად დგება მასზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (საჯარიმო ქვითარი). მთელი ეს პროცესი მიმდინარეობს ავტომატურად – ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომლის ჩაურევლად. ამ უკანასკნელის ამოცანაა, უზრუნველყოს მისი კანონიერ ძალაში შესვლა ადრესატისათვის მისი ოფიციალური

გაცნობით.

მონაცემთა ელექტრონული დამუშავების, როგორც მეთოდის, გამოყენება ადმინისტრაციულ ორგანოთა ყოველდღიურ მუშაობაში და მათ მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა არ გამოორიციხავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ნამდვილობას და ხელს არ უშლის, გადაწყვეტილება მივიჩნიოთ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს ხელშია მთელი ამ პროცედურის ჩატარება. იგი ასრულებს შინაარსობრივ სამუშაოს, იღებს გადაწყვეტილებას, ხელმძღვანელობს ელექტრონულ პროგრამას და მისი შეტყობინების საფუძველზე ხდება გადაწყვეტილების ძალაში შესვლა მესამე პირთან მიმართებაში. საქართველოს კანონმდებელმა გაითვალისწინა მართვის ავტომატური საშუალების გამოყენებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესაძლებლობა და მოახდინა მისი საკანონმდებლო ლეგიტიმაცია ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის გზით, ასე მაგ.: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51.3 მუხლი ადგენს, ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი, შესაძლებელია არ შეიცავდეს ამავე კოდექსის 52.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის კანონიერება და მისი სამართლებრივი შედეგები არ განსხვავდება კლასიკური ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებისაგან. შესაბამისად, მათ მიმართ უფლების დაცვის საპროცესო საშუალებად გამოყენება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 25-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელის სახეები.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №9 ბრძანების 2011 წლის 7 აპრილის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 24.3 მუხლის მიხედვით სააგენტო შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე ახდენს ამ შეტყობინებაში აღნიშნული პირის დარეგისტრირებას შავ სიაში. მე-4 პუნქტის მიხედვით შავი სია წარმოადგენს სააგენტოს მიერ ელექტრონულად წარმოებულ ოფიციალურ რეესტრს.

სახელმწიფო შესყიდვები საქართველოში ხორციელდება

მართვის ავტომატური სისტემების გამოყენებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა არის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე წმ.პროცურემენტ.გოვ.გე განთავსებული სახელმწიფო შესყიდვების პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებას გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის მეშვეობით ღია, გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში, რასაც საკასაციო სასამართლო აფასებს უაღრესად დადებითად, როგორც საჯარო მმართველობის ამ სახის სფეროს გამჭვირვალობის, კანონიერებისა და თანასწორობის პრინციპების საფუძველზე განხორციელების უზრუნველყოფის პროგრესულ შესაძლებლობად.

მიუხედავად აღნიშნულისა, ეს კანონი არ შეიცავს რაიმე დათქმას მართვის ავტომატური საშუალების გამოყენებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესაძლებლობის თაობაზე, ხოლო, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების 24.3. მუხლის შინაარსი ტოვებს იმ სამართლებრივი შეხედულების დაშვების შესაძლებლობას, რომ სააგენტო ფორსირებულად არეგისტრირებს მენარმეს რეესტრში საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე, რამდენადაც საერთოდ არ არის გათვალისწინებული მენარმისათვის პოზიტიური გადანაცვტილების მიღების ალბათობა, რაც სრულიად შეუსაბამოა მმართველობითი სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპებთან და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების ინსტიტუტთან. აღნიშნულის დასტურია თავად სადავო – სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 2 მარტის №75 განკარგულება, რამდენადაც იგი არ შეიცავს არც ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების, არც საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და დასაბუთების შესახებ რაიმე მონაცემებსა და მითითებებს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო აქტი არ განეკუთვნება და არც შეიძლება განეკუთვნებოდეს მართვის ავტომატური სისტემების მეშვეობით გამოცემულ გადანაცვტილებას, შესაბამისად, იგი უნდა პასუხობდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით დადგენილ დანაწესებს.

საკასაციო სასამართლოს აუცილებლად მიაჩნია აღნიშნოს, რომ გარკვეულწილად გათვალისწინებული იქნა ეს ხარვეზი, როცა 2013 წლის 2 ივლისის ცვლილებით აღნიშნული ნორმა ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, რომლის მიხედვით, სააგენტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოიკვლევს საქმის გარემოებებს, მათ შორის, თავისი ინიციატივით, უფლებამოსილია მოინვიოს დაინტერესებული მხარეები და გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაითვალისწინოს ბაზარზე კონკურენციის დაცვისა და თანაზომიერების პრინციპები, ხოლო მე-4 პუნქტით განისაზღვრა სააგენტოს უფლებამოსილება – მენარმის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ამავე ნორმით განსაზღვრულ შემთხვევებში. საინტერესოა, რომ სააგენტოს ეძლევა შეფასების შესაძლებლობა, კერძოდ, შავ სიაში დასარეგისტრირებელი პირის ქმედებით მიყენებული ზიანის ხარისხი, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დარღვევის დაუშვებლობა მიღებული გადაწყვეტილებით, ხოლო, 24-ე მუხლის მე-4¹ პუნქტით სააგენტოს მიენიჭა დისკრეციული უფლებამოსილება, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ მუხლის I-III პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მაგრამ შავ სიაში დასარეგისტრირებელი პირის ქმედებით მიყენებული ზიანი უმნიშვნელოა, ასეთი პირის შავ სიაში დარეგისტრირებით დადგება არათანაზომიერი შედეგი და დარღვეული იქნება საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი, სააგენტო უფლებამოსილია ასეთი პირის მიმართ არა უმეტეს ორჯერ გამოიყენოს გაფრთხილება“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მითითებული მუხლების მოქმედი რედაქცია ასევე არ არის სრულ შესაბამისობაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებთან, თუმცა გაცილებით ადეკვატურ მონესრიგებას ადგენს, ვიდრე სადავო აქტის გამოცემის მომენტში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააგენტოს გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად განსაზღვრულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა აქტის ადრესატისთვის, რამდენადაც მძიმე სამართლებრივ შედეგებს იწვევს მისთვის, რაზეც ზემოთ უკვე იმსჯელა სასამართლომ, შესაბამისად, მისი მომზადება, მიღება და გამოცემა უნდა პასუხობდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ

მოთხოვნებს.

ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება ანუ მხოლოდ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დიდწილად განაპირობებს მის კანონიერებას, დასაბუთებულობასა და მიზანშეწონილობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიუთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, სწორედ რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოფა დაკარგავს უზრუნველყოფადობას, სტაბილურობას, გარანტირებულობას, დაირღვევა სამართლის ნორმის და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნდობის პრინციპი, სამართლებრივი უსაფრთხოების გან-

ცდა, ხოლო ასეთ პირობებში, მყარი სამართლებრივი წესრიგის ადგილს დაიკავეს მმართველობითი ორგანოს სახელისუფლო ძალაზე დამყარებული თვითნებობა, მაშინ როცა ადმინისტრაციული ორგანოსადმი, შესაბამისად, სახელმწიფოსადმი ნდობის პრინციპი და სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა შემთხვევაში უნდა ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოება, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ ადგენს რაიმე საგამონაკლისო შემთხვევათა ნუსხას, რომელთა თაობაზე გამოსაცემი აქტი შესაძლოა მიღებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასებით სადავო ბრძანება გამოცემულია საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო აქტის კანონიერების შეფასებისას ქვემდგომმა სასამართლოებმა საერთოდ არ იმსჯელეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, როგორც ფორმალურ, ისე მატერიალურ კანონიერებაზე, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვალდებულებაზე, რის გამოც დაარღვიეს სსსკ-ის 393.2 მუხლის მოთხოვნები, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით უნდა პასუხობდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, კერძოდ, 51-52-ე მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო მისი გამოცემა უნდა მოხდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ძირითად პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთმეჯერების საფუძველზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უმ-

ნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა.

ამ ვალდებულების შესრულება ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს ასევე უმნიშვნელოვანეს – მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას – ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, დაასაბუთოს, თუ რატომ რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება, გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

საკავსაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში არაერთგზის განმარტა ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და აქტის დასაბუთების ვალდებულების, ხოლო მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში აქტის სამართლებრივი შედეგების შესახებ.

კანონმდებელი იმდენად არსებით და აქტის კანონიერების განმსაზღვრელ ფუნქციას ანიჭებს საქმის გარემოებათა გამოკვლევას, რომ იმპერატიულად კრძალავს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაუდოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები).

საკავსაციო სასამართლო განმარტავს, რომ აქტის გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილია პროცედურის დაცვა, რამდენადაც მიუკერძოებლად, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე გამოცემუ-

ლი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობა-კანონიერების ხარისხი გაცილებით მაღალია, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წარმოების პროცედურის დაცვა განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს თვით აქტის კანონიერებას.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად: საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს საკანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად, რომლებიც ქმნიან საქართველოს კანონმდებლობას.

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების 24.3 მუხლის სადავო აქტის გამოცემის მომენტში მოქმედი რედაქცია ვერ პასუხობს სამართლის ნორმის სიცხადის, განჭვრეტადობის, განსაზღვრულობის მოთხოვნებთან შესაბამისობის სტანდარტს, რის გამოც ნორმის გამოყენება ნორმათშემფარდებელი ორგანოს მხრიდან შესაძლებელია კანონსაწინააღმდეგო მონესრიგების საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს. აღნიშნულის პრევენციისთვის აუცილებელია სასამართლო ორგანოებმა სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის უფლებამოსილებაზე დაყრდნობით დაადგინონ ნორმის ლოგიკური გამოყენება-განმარტების ფარგლები.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განხორციელოს რაიმე მოქმედება.

აღნიშნული პრინციპი პირდაპირ გამომდინარეობს სამართლებრივი სახელწიფოს პრინციპიდან, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას – სამართლებრივი ნორმის სიცხადის და სამართლებრივი შედეგების განჭვრეტადობის უზრუნველყოფის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, სადავო აქტში გამოყენებული სამართლებრივი ნორმა არ განსაზღვრავს თუ რა ფაქტობრივი გარემოებები, ან მათი ერთობლიობა ჩაითვლება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დისკვალიფიცირებული პირების შავ სიაში დარეგისტრირების კვალიფიკაციისათვის, მით უფრო, საერთოდ არ შეიცავს სხვაგვარი, პოზიტიური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რაც პრობლემატურს ხდის მისი შეფარდების კანონიერებასა და სა-

მართლიანობას.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-906-192-(კ-05) დ. ა-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ, ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, კერძოდ, „სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი უზრუნველყოფს სამართლებრივ ნდობას, რაც თავის მხრივ, მოითხოვს კანონის ნორმების სიცხადეს. კანონმდებლობის „არანინააღმდეგობრიობის“ პრინციპი კი განაპირობებს კანონმდებლობას, როგორც ჰარმონიულ ურთიერთობას, რომელიც თავისუფალი იქნება შიდა წინააღმდეგობისაგან. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი აწესებს კანონის ნორმების ერთმანეთთან ისე შეხამების ვალდებულებას, რომ ესა თუ ის მოქალაქე არ აღმოჩნდეს დაუცველი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვალეობისაგან. კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისას კანონმდებელი შეზღუდულია ნორმატიული, სოციალური, ლოგიკური, ენობრივი და სხვა ხასიათის შეზღუდვებით, კერძოდ, კანონმდებლის ნორმატიული შეზღუდვა კონსტიტუციიდან და სამართლებრივი სისტემის კონსტიტუციით დაცულ ნორმათა კომპლექსიდან გამომდინარეობს“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე – „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ე. ლ-ე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, განმარტა რომ: „კანონის სიზუსტე, განჭვრეტადობა და ხელმისაწვდომობა მოიცავს იმ აუცილებელ პირობასაც, რომ უფლების შეზღუდვაზე უფლებამოსილი პირების დასაშვები მოქმედების ფარგლები იყოს კონკრეტული, გასაგები, მკაფიო. კანონისადმი ასეთი მოთხოვნა აუცილებელია უფლებაში ჩარევაზე უფლებამოსილი პირის (ორგანოს) შეზღუდვის და შემდგომი კონტროლის უზრუნველყოფისთვის, რადგან ამ თანამდებობის პირებს კონკრეტული საჯარო ინტერესის მიღწევა სამართლებრივი სახელმწიფოსგან აქვთ დაკისრებული. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს, რომ თავად კანონით დეტალურად, სიცხადის საკმარისი ხარისხით განსაზღვროს საჯარო ხელისუფლების უფლებამოსილება ამ სფეროში, შესაბამისად, კანონი არ უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლად დაადგინოს საკუთარ ქმედებათა დიაპაზონი. კანონმდებელს აკისრია ვალდებულება, საჯარო ხელისუფლება უზრუნველყოს სახელ-

მძღვანელო მიმართულებებით, რომლებიც განჭვრეტადს ხდის მის მიერ კონკრეტული გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობას, აუცილებლობას თუ გარდაუვლობას, სისწორესა თუ მართლზომიერებას“.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, თუ კანონი აღნიშნულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს არ შეიძლება პირს დავაკისროთ აქედან გამომდინარე რისკების თავიდან აცილების ტვირთი, თუნდაც მიზანშეწონილობის მოტივით. ტვირთი უნდა იკისროს სწორედ ვალდებულმა ორგანომ, რომელმაც დაუშვა კონკრეტული საკითხის მოწესრიგების გარეშე დატოვება, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის იქნება საფრთხე იმისა, რომ კანონმდებელი თუ კანონქვემდებარე აქტის გამოცემაზე ვალდებული ორგანო მოწესრიგების გარეშე დატოვებს რიგ საკითხებს და ამ არგუმენტით დაუსაბუთებს მისი უფლების შეზღუდვის საჭიროებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონის მიმართ არსებობს სიზუსტის, განჭვრეტადობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 26 ოქტომბრის გადანყვეტილებაში საქმეზე „მ. ნ-ე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ კანონის განჭვრეტადობისა და ხელმისაწვდომობის აუცილებლობის თაობაზე აღნიშნა: „ნორმა უნდა იყოს ნათელი და განსაზღვრულობის მოთხოვნებთან შესაბამისი, ადამიანს უნდა შეეძლოს, ზუსტად გაარკვიოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონმდებელი და მიუსადაგოს ამ მოთხოვნას თავისი ქცევა. მოთხოვნები კანონმდებლის მიმართ მით უფრო მკაცრია, რაც უფრო ინტენსიურია ჩარევა ადამიანის უფლებებში“.

„საკონსტიტუციო სასამართლომ ხარისხის მიხედვითაც უნდა შეაფასოს სადავო ნორმები. თუ სასამართლო დაადგენს, რომ სადავო ნორმა უხარისხოა, დადგინდება კონკრეტული უფლების დარღვევა. ხარისხის თვალსაზრისით კანონს წაყენება გარკვეული მოთხოვნები – ის უნდა იყოს ხელმისაწვდომი, განჭვრეტადი, არ იძლეოდეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას“.

„დარღვეულია სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი, რომელიც, თავის მხრივ, გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და გულისხმობს, რომ ნორმა უნდა იყოს ნათელი და განსაზღვრულობის მოთხოვნებთან შესაბამისი. ადამიანს უნდა შეეძლოს ზუსტად გაარკვიოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონმდებელი და მიუსადაგოს ამ მოთხოვნას“.

თავისი ქცევა. საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუციის სხვადასხვა ნორმებთან სადავო ნორმების შესაბამისობის ანალიზისას, უნდა დაადგინოს, ხომ არ გამოუწვევია უფლების დარღვევა ნორმის განუსაზღვრელობას“.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ სახელმწიფოს მიერ მკაფიო, განჭვრეტადი კანონმდებლობის შექმნის ვალდებულების ვერუზრუნველყოფის პირობებში, ადმინისტრაციული ორგანოების, როგორც ნორმათგამომყენებელი და ნორმათგანმმართველი ორგანოების დისკრეციის კანონისმიერი ფარგლები – განმარტონ და გამოიყენონ სამართლის ნორმა სამართლებრივი სახელმწიფოს და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპების სულისკვეთებით, წარმოადგენს აუცილებელ და უპირობო სტანდარტს, საქართველოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოსა და კანონიერი მმართველობის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, იმ პირობებში, როცა საკანონმდებლო აქტი საერთოდ არ შეიცავს სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმას, ხოლო, კანონქვემდებარე აქტით განსაზღვრული მონესრიგება არ ითვალისწინებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის უმნიშვნელოვანეს პრინციპებსა და ინსტიტუტებს, მეტიც, ეწინააღმდეგება ამ კოდექსით ქვეყნის ყველა ადმინისტრაციული ორგანოსათვის დადგენილ მმართველობითი ღონისძიებების განხორციელების საერთო ფორმებს, წესებსა და პროცედურებს, გადანყვეტილების საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე მიღებისა და მისი დასაბუთების ვალდებულების მოთხოვნებს, არ შეიცავს ორგანოსა და პირს შორის წონასწორობის, ბალანსის ფუნქციის, კანონიერების აღმდგენ სტანდარტს, შემსყიდველი ორგანიზაციის გადანყვეტილება პირის დისკვალიფიკაციის თაობაზე სააგენტოს მხრიდან პრაქტიკულად ფორმალისტურ ზედამხედველობას ექვემდებარება, თეორიულადაც გამორიცხავს რა პირისთვის ხელსაყრელი გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობას, შეუძლებელია მსჯელობა, როგორც ამ ნორმატიული აქტების ხარისხიანობის, ასევე, მათ საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეამოწმა რა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება და დასაბუთებულობა, მიიჩნევს, რომ კრი-

ტიკას ვერ უძლებს სასამართლოს მსჯელობები და შეფასებები, სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია არათუ სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტების, არამედ თვით სადავო აქტების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებთან შესაბამისობაზე, საერთოდ იგნორირებულია მართლმსაჯულების განმახორციელებელი სასამართლო ორგანოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია – სამართლის ნორმის კანონშესაბამისი განმარტების ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ მისცა სამართლებრივი შეფასება სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 29 მარტის №2/3-1040 წერილის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან, რომელიც წარმოადგენს პასუხს სს „...“ საჩივარზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული დოკუმენტი, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით სრულად ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებს, კერძოდ, სს „...“ საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენდა სადაზღვევო კომპანიის შავ სიაში შეყვანის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება და მისი ამ სიიდან ამოღება, საჩივარში მითითებული არგუმენტების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს სადავო სამართალურთიერთობის, მათ შორის, სადავო წერილის კანონიერების შესაფასებლად აუცილებლად მიაჩნია იმსჯელოს სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, როგორც სახელმწიფო შესყიდვების კანონიერებაზე ზედამხედველი ორგანოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით დადგენილ სამართლებრივი კონტროლის მექანიზმებსა და წესებზე, მათ სპეციფიკურ ხასიათზე. კანონის VI თავის – შესყიდვებთან დაკავშირებული ქმედების გასაჩივრებისა და დავის განხილვის წესის, 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს, პრეტენდენტს ან მიმწოდებელს შეუძლია, გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ან სატენდერო კომისიის ქმედება სასამართლოში, თუ მიაჩნია, რომ შესყიდვისას დაიდვა ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები ან/და შეილახა მისი უფლებები (28.06.2010. №3163 ბრძანება, ამოქმედდა 2010 წლის 1 აგვისტოდან), ხოლო ამავე მუხლის მე-4¹ პუნქტის მიხედვით სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვისათვის იქმნება საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც პარიტეტული პრინციპის საფუძველზე შედიან სააგენტოსა და არასამთავრობო სექტორის წარმომად-

გენლები. დავების განმხილველი საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით (20.11.2009. №2107 ცვლილება, ამოქმედდა 2010 წლის 1 მარტიდან).

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 30 ნოემბრის №11 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის შესახებ“ მე-3 მუხლის მიხედვით დავების განხილვის საბჭო წარმოადგენს კოლეგიურ ორგანოს, რომელიც საჩივარს განხილავს სხდომაზე ამავე წესის მე-5 მუხლის შესაბამისად და უფლებამოსილია 7.1. მუხლით განსაზღვრულ გადაწყვეტილებათა მისაღებად.

საკასაციო სასამართლო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 23-ე მუხლით დადგენილ გასაჩივრებისა და დავის განხილვის წესის შინაარსის ანალიზისას ასკვნის, რომ ნორმაში საჩივრის განმხილველ ორგანოდ რიგ შემთხვევებში მითითებულია სააგენტო, მუხლში მე-4¹ პუნქტის 20.11.2009. №2107 საკანონმდებლო დამატების შედეგად კი ასეთად მიუთითებს დავების განხილვის საბჭოს, ასევე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 30 ნოემბრის №11 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის შესახებ“ მე-3 მუხლით საჩივრის განმხილველ ორგანოდ განიხილება დავების განხილვის საბჭო. აღნიშნული შეუსაბამობა, უნდა აიხსნას 20.11.2009 წლის №2107 საკანონმდებლო დამატებისა და ცვლილებების არასაკმარისი ასახვით მთლიანად კანონის 23-ე მუხლის შინაარსში, რაც საკანონმდებლო ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული და არც ერთ შემთხვევაში გაგებული იმგვარად, თითქოს საჩივრის განხილვაზე კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს, როგორც საბჭო, ასევე სააგენტო – მისი თავმჯდომარის სახით, ანუ ერთპიროვნულად გადაწყვეტილების მიღების გზით, ვინაიდან:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის, რომლითაც დადგენილია სააგენტოს თავმჯდომარის უფლებამოვალეობები, 1-ლი პუნქტის მიხედვით სააგენტოს თავმჯდომარე: ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს ნორმატიულ აქტებს (ბრძანებებს), რომელთა შესრულება სავალდებულოა შემსყიდველი ორგანიზაციებისა და შესყიდვების მონაწილე სხვა პირებისათვის;

ბ) შიდაორგანიზაციულ საკითხებზე გამოსცემს განკარგულებებს.

ამდენად, მისი კომპეტენცია განსაზღვრულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ხოლო ინდივიდუალური აქტების გამოცემის თემატიკა შემოფარგლულია შიდაორგანიზაციული საკითხებით.

განსახილველ შემთხვევაში კი, საქმეში განთავსებული მტკიცებულება – სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 29 მარტის №2/3-1040 წერილი არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ იგი სააგენტოს თავმჯდომარემ, როგორც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარემ გამოსცა, რამდენადაც ასეთის შესახებ არ შეიცავს მითითებას, საქმეში არც საბჭოს სხდომის ოქმია წარმოდგენილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ ვითარებაში სახეზე გვაქვს არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სპეციალური თავით განსაზღვრული წესი და პროცედურა, რომელიც წარმოადგენს მმართველობითი ორგანოების იერარქიული კონტროლის განხორციელების სამართლებრივ ფუნქციას, რა დროსაც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო აღჭურვილია უფლებამოსილებით – შეამოწმოს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა (უმოქმედობათა) კანონიერება და მიზანშეწონილობა, რაც დამატებითი საშუალებაა მმართველობის კანონიერების უზრუნველსაყოფად, არამედ – არაორდინალური მონესრიგების შემთხვევა, როცა შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს ან პრეტენდენტს შემსყიდველი ორგანიზაციის ან სატენდერო კომისიის ქმედებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე შეუძლია გაასაჩივროს სააგენტოში დავების განხილვის საბჭოში, თუ მიაჩნია, რომ შესყიდვის პროცედურების მიმდინარეობისას დაირღვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები ან/და შეილახა მისი უფლებები /„სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის შესახებ“ მუხლი მე-2./.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით უზრუნველყოფილია შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობის მსურველის, პრეტენდენტის ან მიმწოდებლის უფლება – შემსყიდველი ორგანიზაციისა და სააგენტოს მიერ საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები გაასაჩივროს სასამართლო წესით (28.06.2010. №3163,

ამოქმედდა 2010 წლის 1 აგვისტოდან).

საკასაციო სასამართლო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 30 ნოემბრის №11 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის შესახებ“ ზემომითითებული მუხლების საფუძველზე განმარტავს, რომ დავების განხილვის მიზნით ახალი ინსტიტუტის შემოღება კოლეგიური ორგანოს სახით, ემსახურება სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, როგორც იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც ახორციელებს საერთო ადმინისტრირებას სახელმწიფო შესყიდვების პროცედურაზე, განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების რეგულირების სახელმწიფო პოლიტიკას და ზედამხედველობს მის განხორციელებას, სამართლებრივი კონტროლის ფუნქციის გაზრდას. შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს შემადგენლობის პარიტეტული პრინციპის საფუძველზე ფორმირების წესი კი დავათა განხილვა-გადანყვეტის პროცესის ობიექტურობის, სამართლიანობისა და საჯაროობის მეტ განხილვას იძლევა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის მე-4¹ პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 30 ნოემბრის №11 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით დავების განხილვის საბჭოს კომპეტენციას წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის ან სატენდერო კომისიის ქმედების კანონიერებაზე დავების განხილვა.

დავების განხილვის საბჭოს არა აქვს მინიჭებული კომპეტენცია – იმჯელოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის გადანყვეტილებათა კანონიერებაზე.

საკასაციო სასამართლო დასძენს, რომ მიუხედავად იმისა, რომ დავების განხილვის საბჭო არ წარმოადგენს არცერთი ადმინისტრაციული ორგანოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს და მისი იურისდიქცია დავების განხილვის თაობაზე არ გულისხმობს, რომ იგი ახორციელებს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების განსაკუთრებულ სახეს და მას კოდექსში სპეციალური – XIII თავი აქვს დათმობი-

ლი, რომლის დებულებები დეტალურად აწესრიგებს დარღვეული უფლების აღდგენის ფორმებს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრების უფლების რეალიზაციასა და საჩივრის განხილვა-გადანყვეტის საკითხებსა და პროცედურას, რომელიც წარმოადგენს მმართველობითი ორგანოების იერარქიული კონტროლის განხორციელების სამართლებრივ ფუნქციას, რა დროსაც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო აღჭურვილია უფლებამოსილებით, შეამოწმოს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების გადანყვეტილებათა და მოქმედებათა (უმოქმედობათა) კანონიერება და მიზანშეწონილობა, რაც დამატებითი საშუალებაა მმართველობის კანონიერების უზრუნველსაყოფად, ხოლო ადმინისტრაციული საჩივარი – ეს არის სადავო აქტის ადრესატის მიერ პროცედურული უფლების რეალიზაცია, რომელიც კანონით მკაცრად რეგლამენტირებულ წესებს ექვემდებარება, დავების განხილვის საბჭო, როგორც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სისტემაში მოქმედი კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დავა განიხილოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებისა და სტანდარტების მიხედვით, კერძოდ, სხვა ორგანოების ქმედებების კანონიერებაზე კონტროლი, გულისხმობს მათ მიუკერძოებლად, ობიექტურად და კანონიერებისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით განხილვა-გადანყვეტის ვალდებულებას.

სს „...“ დირექტორის საჩივრის ობიექტს წარმოადგენდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის სადაზღვევო კომპანიის შავ სიაში შეყვანის შესახებ გადანყვეტილების – 2012 წლის 2 მარტის №75 განკარგულების გაუქმება და მისი ამ სიიდან ამოღება.

ადმინისტრაციული ორგანოს გადანყვეტილების გასაჩივრების უფლების რეალიზაციის საკითხზე მსჯელობისას საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 28 მაისის გადანყვეტილებაში (ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-122-115(2კ-13) შპს „...“ სარჩელისა გამო, მოპასუხეების – ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ), ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, კერძოდ: „პირის უფლება – მიმართოს სახელმწიფოს ნებისმიერ საჯარო დაწესებულებას მისი ინტერესების დასაცავად, განეკუთვნება კონსტიტუციურ უფლებათა სისტემას. ადამიანის უფლებები იყოფა ორ ჯგუფად: მატერიალური და პროცედურული უფლებები. პირის პროცედურულ უფლებათა რიგს მიეკუთვნება ად-

მინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება, შუამდგომლობათა აღძვრის უფლება, მტკიცებულებათა წარდგენის უფლება, სხდომაზე დასწრების და მონაწილეობის უფლება, მოსაზრებათა წარდგენის უფლება, გასაჩივრების უფლება და ა.შ.. სწორედ, პროცედურული უფლებების კანონით დადგენილი ფორმებით რეალიზაცია აძლევს პირს შესაძლებლობას დაიცვას ან აღიდგინოს თავისი მატერიალური უფლებები. სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების პრინციპი გულისხმობს პროცედურული უფლებების შეუფერხებლად და დაუბრკოლებლად განხორციელებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხე ექმნება მატერიალური უფლებების ჯეროვან რეალიზაციასა და დაცვას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობების მონაწილეთა პროცედურული უფლება-მოვალეობების საზოგადო წესებს დეტალურად განსაზღვრავს, მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფას.

ზემომოთხსენებულ კონსტიტუციურ პრინციპს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სპეციალური მუხლი ეძღვნება, კერძოდ, მე-12 მუხლი ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება, რომლის მიხედვით გარანტირებულია:

1. ნებისმიერი პირის უფლება – მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, და

2. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება – განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

აღნიშნული ნორმის სტრუქტურული შინაარსი გულისხმობს, რომ პირის უფლების დადგენა მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას – განახორციელოს რეალიზებული საპროცესო უფლების კანონით რეგლამენტირებული, ადეკვატური პროცედურული ხასიათის მოქმედება“.....

„საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო დაწესებულებაში პირის მიერ ნებისმიერი დოკუმენტის, მით უფრო, განცხადების ან საჩივრის ფორმით წარდგენა იწვევს ადმინისტრაციული ორგანოს უპირობო ვალდებულებას, დაარეგისტროს იგი. რეგისტრაციის სტადია იწვევს შემდეგი პროცედურული მოქმედების ჩატარების ვალდებულებას -ადმინისტრაციუ-

ლი წარმოების დაწყებას.

ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ორსაფეხურიანი პროცესის მეშვეობით:

განცხადების/ საჩივრის დასაშვებობის შემოწმება;

განცხადების/ საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმება.

დოკუმენტის, მოცემულ შემთხვევაში, განცხადების ან საჩივრის ფორმა, დასაშვებობის შემოწმების სტადია გულისხმობს, უპირველესად, ადმინისტრაციული ორგანოს იურისდიქციის სფეროს გამორკვევას (უწყებრივი ქვემდებარეობა), რომლის წარმატებით გადალახვის პირობებში – ამ დოკუმენტისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას.“ ...

„საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილების განსაზღვრა ხდება სამი კრიტერიუმის გამოყენებით:

ა) განსახორციელებელი ამოცანების მიხედვით – საგნობრივი უფლებამოსილება;

ბ) უფლებამოსილებათა იერარქიის მიხედვით – ინსტანციური უფლებამოსილება;

გ) ტერიტორიული პრინციპით – ტერიტორიული უფლებამოსილება“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სს „...“ საჩივართან დაკავშირებით საერთოდ გამოტოვებულია დასაშვებობის შემოწმების – ადმინისტრაციული ორგანოს იურისდიქციის სფეროს გამორკვევის (უწყებრივი ქვემდებარეობა), სტადია.

სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ საჩივრის გადასაწყვეტად გამოიყენა არა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმა, ამავე კოდექსის 52-ე მუხლით დადგენილი ფორმალურ-სამართლებრივი და მატერიალურ-სამართლებრივი რეკვიზიტებით, არამედ წერილის ფორმა, რომელიც საჯარო დაწესებულებებში გამოიყენება სრულიად სხვა მიზნით და განსხვავებული ფუნქციის მატარებელია, ამავდროულად, წერილის ფორმაში ჩამოყალიბებული პასუხის ბოლო აბზაცში ისეთი სოლიდური ადმინისტრაციული ორგანო, როგორც მოპასუხე სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოა, უთითებს, რომ: „ზემოაღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს“, ე.ი. განმარტებულია ამ წერილის, როგორც განკარგულების ანუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლება, წესი, ვადა და ორგანო, სადაც შეიძლება გასაჩივრება.

თუ ვივარაუდებთ, რომ აქ იგულისხმება 2012 წლის 2 მარტის განკარგულების გასაჩივრების უფლება, წესი, ვადა და ორგანო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, ასეთ შემთხვევაში საჩივარი საერთოდ არ განხილულა და გადაწყვეტილებაც არ გამოცემულა, შესაბამისად, 2012 წლის 29 მარტის №2/3-1040 წერილის ფუნქცია და მიზანი გაუგებარია.

საკასაციო სასამართლო მოცემული დოკუმენტის შეფასებისას ასკვნის, რომ წერილობითი დოკუმენტების ფორმის ამგვარი აღრევა, მიუხედავად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ჯერ კიდევ 2000 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესვლისა, დღემდე – 2014 წლამდე უკიდურესად პრობლემატურია საქართველოს სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანოებისათვის და აქამდე აღმოუფხვრელ, ელემენტარული სამართლებრივი კულტურის და კანონის მოთხოვნებთან აბსოლუტურად შეუსაბამო პრაქტიკას წარმოადგენს, რომლის დაძლევა კანონიერი ადმინისტრირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია.

აღნიშნული სადავო დოკუმენტი ფაქტობრივად არ შეიცავს სამართლებრივი აქტის შესავალ, აღწერილობით, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებს, რის გამოც მას არ გააჩნია ამგვარი დოკუმენტისთვის აუცილებელი სტრუქტურული ფორმა, ასევე ზედმინვენით ფორმალისტურია მოთხოვნის კანონიერების შეფასებისადმი მიდგომა, რამდენადაც მასში არ არის გაქარწყლებული საჩივრის არც ერთი მოტივი, ახსნილი და დასაბუთებული არ არის მათი გაუზიარებლობის მიზეზები, რაც თავის მხრივ, ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის კანონიერი ნდობის უფლების უგულებელყოფას ნიშნავს.

ქვეყნის ადმინისტრირების სისტემაში სამართლებრივი დოკუმენტების ფორმის კანონიერების მიღწევაში განსაკუთრებული როლი გააჩნია კვალიფიციური და ობიექტური სასამართლო კონტროლის ფუნქციას, რამდენადაც როცა ადმინისტრირების ფორმების კანონშეუსაბამობა სასამართლოს ყურადღების მიღმა და მკაცრი კონტროლის გარეშე რჩება, დამკვიდრებული საქმისწარმოების მანკიერი პრაქტიკის შეცვლის მოტივაცია არ არსებობს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 29 მარტის №2/3-1040 წერილი, როგორც კანონსაწინააღმდეგო, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1. მუხლის საფუძველზე ექვემდებარება ბათილად ცნობას, შემდეგ

გარემოებათა გამო:

სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 2 მარტის განკარგულების კანონიერებაზე დავა დასაშვები არ იყო საჩივრის პროცედურის მეშვეობით, მისი გასაჩივრება შეიძლებოდა მხოლოდ სასამართლო წესით, როგორც ეს სწორად არის თავად ამავე განკარგულებაში განმარტებული. საჩივრის დასაშვებობის სტადიის კვალიფიციური ჩატარების პირობებში სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უნდა ეხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით, კერძოდ, საგნობრივი კომპეტენციის გამორკვევის შედეგად, სააგენტოს გააჩნდა მხოლოდ ერთადერთი გადაწყვეტილების გამოტანის უფლებამოსილება – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, ამავე კოდექსის მე-80 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე – სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებული საკითხის გამო, რაც უნდა აისახოს შესაბამისი დასაბუთებით, საჩივრის უკან დაბრუნების თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ორგანოს განსაზღვრული აქვს პროცესუალური ვადაც – საჩივრის შეტანიდან 5 დღის განმავლობაში.

მითითებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გამორიცხავს არაუფლებამოსილი ორგანოს მხრიდან საჩივრის ამ კოდექსით დადგენილ წესთან /181-ე მუხლით/ შესაბამისობის საკითხის გამოკვლევა-შემოწმებას.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 80.4 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე განმარტავს, რომ აღნიშნული დათქმით კანონმდებელი მკვეთრად უსვამს ხაზს დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრეს პრინციპს – ხელისუფლების დანაწილების თაობაზე. სასამართლო ხელისუფლება, როგორც კონსტიტუციური ფუნქციის განმხორციელებელი მართლმსაჯულების ორგანო, გარანტირებულია სრული ავტონომიით და ჩაურევლობის პრინციპით. ადმინისტრაციული სამართალი ადგენს მმართველობის კანონიერების უზრუნველყოფ ნორმებს, წესებს, პროცედურებსა და მექანიზმებს, ხოლო მმართველობით სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე კონტროლი სასამართლო ხელისუფლების ფუნქციას წარმოადგენს, სასამართლოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის შემცველი განცხადების ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენისას, ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს მანდატი, გადაუგზავნოს განცხადება უფლებამოსილ – სასამართლო ორგანოს, განსხვავებით ამავე კოდექსის 80.1 მუხლით

დადგენილი ვალდებულებისა. მითითებული ნორმა სრულად ვრცელდება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაზე, რაც ნიშნავს, რომ კანონმდებელი განცხადების/საჩივრის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადამისამართების ფუნქციას იმ ორგანოს აკისრებს, რომელშიც შეტანილი იქნა განცხადება ან საჩივარი.

ამგვარ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს უფლება შემოიფარგლება განმცხადებლისათვის სამართლებრივი დახმარების გაწევით, კერძოდ, აუხსნას მხარეს, რომ საკითხი სასამართლო ორგანოთა იურისდიქციას განეკუთვნება. აღნიშნული თავის მხრივ, შეესაბამება კონსტიტუციის 42.1 მუხლით დადგენილ პრინციპს, რომ სწორედ მხოლოდ პირის უფლებას წარმოადგენს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს ანუ სარჩელის აღძვრა – სასამართლოსადმი მიმართვის უფლების რეალიზაცია მხოლოდ პირის ნების ავტონომიას ეფუძნება.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 80.4 მუხლით დაკისრებული ვალდებულების კვალიფიციური შესრულების უზრუნველყოფის მიზნით განმარტავს, რომ აღნიშნული საკითხის შემომწმებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ უსათუოდ უნდა გამოისცეს დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც ერთი მხრივ, დადგინდება, რომ საჩივრის ობიექტის – აქტის/რეალაქტის კანონიერებაზე დავა არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას, მეორე მხრივ, მხარეს გაეწევა სამართლებრივი დახმარება, რომ დავა სასამართლო უწყების ქვემდებარეა და მხარეს აქვს სასამართლო წესით დავის უფლება.

სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამართლებრივი ნდობის პრინციპი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში დაცულია და უზრუნველყოფილია კანონიერების პრინციპისა და კანონიერი ნდობის უფლების ინსტიტუტების მეშვეობით, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების სანინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული ორგანოები თავიანთ საქმიანობაში შებოჭილნი არიან საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებით.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო პროცედურების

ჩაუტარებლობა არღვევს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ მოთხოვნას პროცედურული დემოკრატიის უზრუნველყოფის შესახებ, რომლის ხარისხი თავის მხრივ, უზრუნველყოფს სახელმწიფოს ქვეშევრდომების კანონიერ მოლოდინს – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მმართველობის განხორციელება კანონიერების პრინციპის საფუძველზე. პროცედურული მოქმედებების ჩატარების ვალდებულება ემსახურება კერძო ინტერესის – ადამიანის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოთათვის კანონმდებლობით დაწესებული ვალდებულებები წარმოადგენს მათ საჯარო ვალდებულებას და რომლის შესრულების კანონიერი, პატივისცემის მოლოდინი გააჩნია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 29 მარტის №2/3-1040 წერილით იგნორირებულია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის სადავო – 2012 წლის 2 მარტის №75 განკარგულება, ასევე, როგორც კანონსაწინააღმდეგო, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1. მუხლის საფუძველზე ექვემდებარება ბათილად ცნობას, შემდეგ გარემოებათა გამო:

აღნიშნული განკარგულების გამოცემის საფუძველად მითითებულია 2005 წლის 20 აპრილის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და სსიპ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 24-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულია სსიპ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის უფლება-მოვალეობები, 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით სააგენტოს თავმჯდომარე: „შიდაორგანიზაციულ საკითხებზე გამოსცემს განკარგულებებს“. სადავო განკარგულებით მოსარჩელე კომპანია დარეგისტრირდა არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააგენტოს თავმჯდომარის კომპეტენცია – პირი

დაარეგისტრიროს არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში შეუძლებელია, განხილული და შეფასებული იქნეს, როგორც „შიდაორგანიზაციულ საკითხებზე“ განკარგულების გამოცემად, რამდენადაც იგი ცდება შიდაორგანიზაციული საკითხების მონესრიგების სფეროს. შიდაორგანიზაციული საკითხები სამართლებრივ აქტებში ყოველთვის მოიაზრება და განიმარტება, როგორც დანესებულიების შიდა ადმინისტრირებას მიკუთვნებული სფერო, ასე მაგ.: სამუშაოს დანესების, შესვენების, სამუშაოს დასრულების დროის განსაზღვრა; თანამშრომელთა ნახალისებისა ან დისციპლინური ზომების გამოყენების შესახებ განსყვეტილებათა გამოცემა და სხვა ამგვარი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განკარგულების გამოცემის საფუძვლად 2005 წლის 20 აპრილის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მითითების მიზეზს წარმოადგენს თავად კანონის ხარვეზი, რამდენადაც სააგენტოს თავმჯდომარის კომპეტენცია – პირი დაარეგისტრიროს არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში, კანონით საერთოდ არ არის მონესრიგებული, მეტიც, კანონის ნორმით ასევე არ არის დადგენილი არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი, როგორც ინსტიტუტი. იგი გვხვდება მხოლოდ კანონის მე-3 მუხლის (ტერმინთა განმარტება) პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტში, რომელშიც განმარტებულია არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრის, როგორც კანონში გამოყენებული ტერმინის მნიშვნელობა, თუმცა, კანონის ტექსტში ეს ტერმინი საერთოდ არ ასახულა, მათ შორის, არც კანონის მე-5 მუხლის ტექსტში, როგორც სააგენტოს თავმჯდომარის უფლებამოსილება – მიიღოს გადასყვეტილება პირის არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში დაარეგისტრირების თაობაზე.

სადავო განკარგულების გამოცემის სხვა სამართლებრივი საფუძველი – სსიპ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 24-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები, როგორც კანონქვემდებარე აქტით განსაზღვრული შავი სიის წარმოების წესი და პირობები, ვერ უძლებს კრიტიკას სამართლებრივი სახელმწიფოს კვალიფიციურ და თანაზომიერების საფუძველზე ნორმათშემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფის ვალდებულების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ მოცემული საკანონმდებლო აქტის

რიგი ნორმებისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტის სსიპ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 24-ე მუხლის ხარისხიანობის სტანდარტთან შეუსაბამობის თაობაზე ზემოთ უკვე იმსჯელა და დაასკვნა:

„საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, იმ პირობებში, როცა საკანონმდებლო აქტი საერთოდ არ შეიცავს სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმას, ხოლო, კანონქვემდებარე აქტით განსაზღვრული მოწესრიგება არ ითვალისწინებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის უმნიშვნელოვანეს პრინციპებსა და ინსტიტუტებს, მეტიც, ეწინააღმდეგება ამ კოდექსით ქვეყნის ყველა ადმინისტრაციული ორგანოსათვის დადგენილ მმართველობითი ღონისძიებების განხორციელების საერთო ფორმებს, წესებსა და პროცედურებს, გადანყვეტილების საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე მიღებისა და მისი დასაბუთების ვალდებულების მოთხოვნებს, არ შეიცავს ორგანოსა და პირს შორის წინასწარობის, ბალანსის ფუნქციის, კანონიერების აღმდგენ სტანდარტს, შემსყიდველი ორგანიზაციის გადანყვეტილება პირის დისკვალიფიკაციის თაობაზე სააგენტოს მხრიდან პრაქტიკულად ფორმალისტურ ზედამხედველობას ექვემდებარება, თეორიულადაც გამორიცხავს რა პირისთვის ხელსაყრელი გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობას, შეუძლებელია მსჯელობა, როგორც ამ ნორმატიული აქტების ხარისხიანობის, ასევე მათ საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვერც საკანონმდებლო ხარვეზი, ვერც კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი არაგონივრული, უხარისხო მოწესრიგება ვერ შეიძენს არათანაზომიერი და უკანონო ინდივიდუალური აქტების გამოსაცემად ერთგვარი ალიბის ფუნქციას, მით უფრო, იმ ვითარებაში, როცა სახელმწიფოში 14 წელია მოქმედებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადების, მიღებისა და გამოცემის თანამედროვე სამართლებრივი სტანდარტების უზრუნველყოფი საკანონმდებლო აქტი – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სახით, რამდენადაც სამართალწარმოებაში ინდივიდუალური აქტების კანონიერების /სამართლებრივი მხარე/

მტკიცების ტვირთი სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს პროცესუალურ ვალდებულებად არის დადგენილი, შესაბამისად, ნორმათშემფარდებელი ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან გადანყვეტილებების მიღებისას იხელმძღვანელონ არა მხოლოდ სპეციფიური სფეროს მომწესრიგებელი ნორმატიული ბაზით, არამედ ქვეყნის სხვა სამართლებრივი აქტების სტანდარტების გათვალისწინებით.

სადავო გადანყვეტილება მხოლოდ ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ისიც ნაწილობრივ, რადგან არ შეიცავს აქტისთვის სავალდებულო სტრუქტურასა და რეკვიზიტებს, პასუხობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სტანდარტს, ვინაიდან საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას შემსყიდველი ორგანიზაციის საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის თავმჯდომარის 2012 წლის 9 იანვრის №12/06 წერილის (რომლის მიხედვით საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის (CPV 66512200) მომსახურების შესყიდვის გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში, (განცხადების №SPA10032505) სს „...“ საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის 2012 წლის 9 იანვრის №5 ოქმის საფუძველზე დისკვალიფიცირებულ იქნა შეფასების თაობაზე, კერძოდ, რამდენად კანონიერი და ობიექტურია საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო კომისიის 2012 წლის 9 იანვრის №5 ოქმში დაფიქსირებული გადანყვეტილება კომპანიის დისკვალიფიკაციის თაობაზე, გამოკვლეული არ არის დისკვალიფიკაციის საფუძვლის სისწორე, მიზეზები; მოსმენილი და შეფასებული არ არის კომპანიის კონტრ-არგუმენტები, მტკიცებულებები, პრაქტიკულად ფორსირებული წესით არის შემსყიდველი ორგანიზაციის გადანყვეტილება – კომპანიის დისკვალიფიკაციის თაობაზე გაზიარებული.

საკასაციო სასამართლო 2005 წლის 20 აპრილის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სსიპ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ნორმების ანალიზის შედეგად განმარტავს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის გადანყვეტილების – კომპანიის დისკვალიფიკაციის შესახებ სსიპ შესყიდვების სააგენტოსათვის გადაგზავნის ვალდებულების და სააგენტოს თავმჯდომარის უფლებამოსილების – მიიღოს გადანყვეტილება პირის არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში და-

რეგისტრირების თაობაზე, დადგენა გულისხმობს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის გადანყვეტილება – კომპანიის დისკვალიფიკაციის შესახებ, ექვემდებარება სსიპ შესყიდვების სააგენტოს, როგორც სახელმწიფო შესყიდვების კანონიერებასა და მიუკერძოებლობაზე ზედამხედველობის განმხორციელებელი ორგანოს სამართლებრივ კონტროლს, რამაც უნდა უზრუნველყოს ამ კანონმდებლობის მიზნის – სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიღწევა. შემსყიდველი ორგანიზაციის გადანყვეტილების – კომპანიის დისკვალიფიკაციის შესახებ სამართლებრივი კონტროლის ფუნქცია მოიცავს ამ გადანყვეტილების ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა-შეფასება-დადგენისა და ნორმატიული აქტების კანონიერების შემოწმებას, რაც სადავო გადანყვეტილებით უგულებელყოფილია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ შესყიდვების სააგენტოს მხრიდან შემსყიდველი ორგანიზაციის გადანყვეტილების – კომპანიის დისკვალიფიკაციის შესახებ სამართლებრივი კონტროლის სრულფასოვნად განხორციელების პირობებში იგი მივიდოდა სხვაგვარ სამართლებრივ შეფასებამდე და გამოტანული იქნებოდა სხვაგვარი გადანყვეტილება, კერძოდ, დასაბუთებულია კასატორის არგუმენტები დისკვალიფიკაციის უკანონობის თაობაზე, ვინაიდან კონტროლის პალატის სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებულ სატენდერო დოკუმენტაციაში, მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების, კერძოდ, 2.6.1 მუხლის მიხედვით: „ტენდერში გამოყენებული იქნება“ ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით, დანართი 3-ის შესაბამისად, თუმცა არაფერია ნათქვამი საბანკო გარანტიის წარდგენის ვადების შესახებ. 2012 წლის 4 იანვრის სატენდერო კომისიის №4 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილის მიხედვით, სადაზღვევო კომპანია გამოცხადდა გამარჯვებულად, რომელიც კომპანიას ეცნობა საქართველოს კონტროლის პალატის 2012 წლის 04 იანვრის წერილით, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის შესაბამისად, არა უგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში უნდა გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება და დაევალა საბანკო გარანტიის წარდგენა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ პირობებში, როცა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ გამარჯვებულ პრეტენდენტსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის იდება ხელშეკრულება, ამ საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენიდან არა უგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არ უმსჯელია, რამდენად იყო განსაზღვრული ვადა ობიექტური და გონივრული, რამდენად იყო შესაძლებელი კომპანიისთვის ამ ვადაში საბანკო გარანტიის წარდგენა, მითითებული კანონქვემდებარე აქტით განსაზღვრული დათქმა – „გამარჯვებულ პრეტენდენტსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის იდება ხელშეკრულება, ამ საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენიდან არა უგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა“, აძლევდა თუ არა კომპანიას იმ ვარაუდის დაშვების იურიდიულ შესაძლებლობას, რომ მას გარანტიის წარდგენის ვადა ჰქონდა ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში, რადგან სატენდერო კომისიის 2012 წლის 4 იანვრის №4 სხდომის ოქმის მიხედვით საბანკო გარანტიის წარდგენის ვადა საერთოდ არ არის მითითებული; სააგენტოს არ შეუფასებია განაპირობა თუ არა ვადის არაგონივრულად განსაზღვრამ კომპანიის დისკვალიფიკაცია. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო არასწორად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმაზე, რომ სატენდერო კომისიის 2012 წლის 9 იანვრის №5 სხდომის ოქმის, ანუ დისკვალიფიკაციის კანონიერების ნაწილში სასარჩელო წარმოება შეწყვეტილია დაუშვებლობის მოტივით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 20 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით, ვინაიდან დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც იწვევს სამართლებრივ შედეგს – არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში დარეგისტრირებას, ექვემდებარება სსიპ შესყიდვების სააგენტოს სამართლებრივ კონტროლს, ყოველგვარი გასაჩივრების უფლების გამოყენების გარეშეც.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სსიპ შესყიდვების სააგენტოს, როგორც სახელმწიფო შესყიდვების კანონიერებასა და მიუკერძოებლობაზე ზედამხედველობის განმხორციელებელი ორგანოს სამართლებრივი კონტროლის ფუნქცია საერ-

თოდ არ არის შესრულებული, შესაბამისად, ამგვარი გადაწყვეტილების კანონიერებაზე მსჯელობა და დასკვნა არ გამომდინარეობს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტების ნამდვილი მიზნიდან და არ ემსახურება კანონმდებლობის ამოცანის – სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიღწევას.

საკასაციო სასამართლო შეჯამების სახით დასძენს, რომ სადავო განკარგულება ეწინააღმდეგება ყველა ადმინისტრაციული ორგანოსათვის საერთო – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადების, მიღებისა და გამოცემის წესებს, არ შეესაბამება ამავე კოდექსით დადგენილ ძირითად პრინციპებს, როგორცაა: კანონიერების, თანასწორობის, თანაზომიერებისა და კანონიერი ნდობის უფლების პრინციპებს, არ ეფუძნება გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე ჩამოყალიბებულ შეფასებებსა და დასაბუთებულ დასკვნებს, რის გამოც სრულ კონფლიქტშია ამავე კოდექსის 1.2. მუხლით განსაზღვრულ მიზანთან – უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონის უზენაესობისა და საჯარო ინტერესების დაცვა, რომლის მიღწევა განმსაზღვრელია ქვეყნის ადმინისტრირების კანონიერებისა და სამართლებრივი უსაფრთხოების სტანდარტის დასამკვიდრებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო აქტების ბათილად ცნობის შედეგად სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უნდა დაევალოს სს „...“ შავი სიიდან ამოღება.

საკასაციო სასამართლო ადგენს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე წინამდებარე გადაწყვეტილების მიღებით ძალადაკარგულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 20 აპრილის დროებითი განჩინება პრევენციული დაცვის გამოყენების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53-ე მუხლის მიხედვით სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უნდა დაეკისროს სს „...“ მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდა სს „...“ სასარგებლოდ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 55-ე მუხლის მიხედვით სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდ-

ვების სააგენტოს უნდა დაეკისროს 100 ლარის გადახდა სასამართლო ხარჯების სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა:

1. სს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ოქტომბრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 2 მარტის №75 განკარგულება; სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 29 მარტის №2/3-1040 წერილი და სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაევალოს სს „...“ შავი სიიდან ამოღება;
6. წინამდებარე გადაწყვეტილების მიღებით ძალადაკარგულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 20 აპრილის დროებითი განჩინება პრევენციული დაცვის გამოყენების თაობაზე;
7. სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაეკისროს სს „...“ მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის გადახდა სს „...“ სასარგებლოდ;
8. სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაეკისროს 100 ლარის გადახდა სასამართლო ხარჯების სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
9. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ხელშეკრულების პირობების დარღვევისას
პასუხისმგებლობის სახის და ზომის კანონიერება**

განჩინება

№ბს-154-151(კ-14)

25 სექტემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 30 იანვარს სს „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2010 წლის 23 სექტემბერს კს „...“ და სს „...“ შორის გაფორმდა სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულება, რაც მიზნად ისახავდა საადვოკატო ბიუროსათვის სატელეფონო და ინტერნეტ-მომსახურების გაწევას ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის საშუალებით. მითითებული მომსახურების გაწევის მიზნით განხორციელდა საადვოკატო ბიუროსათვის ინდივიდუალური ქსელის მონყობა-ინსტალაცია.

მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ინტერნეტ-მომსახურების მიწოდებას ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყვილის საშუალებით, რაც მოიაზრებს სხვადასხვა ტიპის მიერთების ფორმებს. ყველა მათგანი წარმოადგენს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის კაბელს, ხოლო მიერთების ფორმა არ წარმოადგენდა ხელშეკრულების საგანს. მომხმარებელი ითხოვდა და ინტერნეტ-მომსახურებას იმ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის საშუალებით, რომლის ინსტალაციაც განხორციელდა ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის და ასაჩივრებდა აღნიშნული კაბელის ახლით ჩანაცვლებას.

2011 წლის 5 დეკემბერს მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც შეიცვალა 2010 წლის 23 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების პაკეტი, სიჩ-

ქარე და ფასი.

2012 წლის 7 ნოემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას საჩივრით მიმართა კს „...“, 2010 წლის 23 სექტემბერს სს „...“ დადებული სატელეკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულებისა და 2011 წლის 5 დეკემბრის შეთანხმების პირობების დარღვევის გამო.

საჩივრის ავტორი ითხოვდა მისთვის ხელშეკრულების პირობების შესაბამისი მომსახურების მიწოდებას, კერძოდ, ადეკვატური სიჩქარის ინტერნეტის მიწოდებას. საჩივრის ავტორი მიიჩნევდა, რომ მას ინტერნეტ-მომსახურება უნდა მიწოდებოდა ინდივიდუალური ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყვილით, რაც დაირღვა ... მხრიდან და ინდივიდუალური წყვილი შეიცვალა საერთო სარგებლობის წყვილით. აღნიშნულის გამო, საჩივრის ავტორი ითხოვდა მის მიერ გადახდილი ინსტალაციის საფასურის – 2000 აშშ დოლარის დაბრუნებას მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში – 2011 წლის 5 დეკემბრამდე კომპანიას ნასარგებლები ჰქონდა მისთვის ინსტალაციის დროს გაყვანილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყვილით, ხოლო 2011 წლის 5 დეკემბრის შემდეგ მას ასევე უწყვეტად მიენოდებოდა ინტერნეტ-მომსახურება კვლავ ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყვილით.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება სს „...“ დაჯარიმებისა და საადვოკატო ბიუროს მიერ ინსტალაციისათვის გადახდილი 2000 აშშ დოლარის სტანდარტულ ფასამდე კორექტირების შესახებ.

მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა მოსარჩელე და მიუთითა, რომ აბონენტი სწორად იყო ინფორმირებული გასაწევი მომსახურების მიწოდების წესის შესახებ. მხარეთა შეთანხმების საგანი არ ყოფილა ინდივიდუალური ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით მომსახურება. ამასთან, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ერთი სახის მეორეთი შეცვლა ვერ გამოიწვევდა ინტერნეტის სიჩქარის შემცირებას ან მომსახურების ხარისხის სხვაგვარად შეცვლას და შესაბამისად ადგილი არ ჰქონია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას ან სახელშეკრულებო პირობების დარღვევას.

ამდენად, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ჯარიმის სახით გადახდილი 30000 ლარის დაბრუნება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მხარეთა შორის საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულებისა და შემდგომ შეთანხმების ბუნდოვანი პირობებით გაფორმების, ასევე მომხმარებლისათვის გაგზავნილ კორესპოდენციაში დაფიქსირებული არაზუსტი და მცდარი ინფორმაციის მიწოდების ფაქტი, რაც ეწინააღმდეგება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის, ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“, „ბ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას ზედამხედველობს კომისია. ამავე კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და განმარტებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების, დარღვევის ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევი წერილობით გააფრთხილოს, ხოლო დენადი ხასიათის დარღვევის კომისიის გადანყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობის ან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში – დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობაა ავტორიზებული პირის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი დღ-ის გარეშე) 0,5 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 3000 და არა უმეტეს 30000 ლარისა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მხარეები სადავოდ არ ხდებიან იმ გარემოებას, რომ სს „...“ დარღვევის ჩადენის გამო ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაფრთხილებულ იქნა მითითებული მუხლის საფუძველზე, შესაბამისად, სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს მის მიმართ ამავე კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის – ჯარიმის გამოყენებას. ამასთან, მხარეები სადავოდ არ ხდებიან იმ გარემოებას, რომ სს „...“ ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის 0,5 პროცენტი აღემატება 30000 ლარს. შესაბამისად,

სასამართლომ კანონიერად მიიჩნია სს „...“ მიმართ სანქციის სახით 30000 ლარის ოდენობით ჯარიმის გამოყენება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „...“, რომელმაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს „...“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 6 დეკემბრის №763/16 გადაწყვეტილება და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების ხელახალი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ იმავე საკითხზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომელიც ადგენს წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების ვალდებულებას და ამავე მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იყო გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტით, „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით, ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“, „ბ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტით და მითითებულ სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ისე გამოსცა სადავო აქტი, რომ სათანადოდ არ გამოუკვლევია საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში უნდა დადგენილიყო თუ რა სახის ხელშეკრულება დაიდო მხარეებს შორის – სტანდარტული თუ არასტანდარტული, რა სახის მომსახურებას ითვალისწინებდა ხელშეკრულება და მხარეთა შორის შეთანხმება, რა ზიანი მიადგა ან ადგება მომხმარებელს კორპუსის საერთო ქსელიდან ინტერნეტის მომსახურების მიწოდების დროს, გაუარესდა თუ არა მისთვის მიწოდებული ინტერნეტის ხარისხი, მისი სიჩქარე, თავდაპირველად მომხმარებლისათვის ინდივიდუალურად გაყვანილი ინტერნეტის მისაწოდებელი კაბელი წარმოადგენდა თუ არა მომხმარებლის ინდივიდუალურ საკუთრებას.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კომისია ვალდებული იყო საქმისათვის მიშენელობის მქონე გარემოებების ხელახლა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ხელახლა შეესწავლა საქმის გარემოებები სრულყოფილად და გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

კასატორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას სათანადოდ არ გამოუკვლევია საქმის ფაქტობრივი გარემოებები. არასწორად მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლზე, რამდენადაც კომისიამ ადმინისტრაციუ-

ლი წარმოების მიმდინარეობისას სრულად გამოიკვლია და შეისწავლა წარმოების პროცესში ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენილი და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოპოვებული ყველა მტკიცებულება.

კასატორის მითითებით, სს „...“ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენდა ავტორიზებულ პირს, რომელიც ახორციელებდა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებასა და ელექტრონული კომუნიკაციების ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფას. 2010 წლის 23 სექტემბერს სს „...“ და კს „...“ შორის გაფორმდა სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულება, რის შედეგადაც კს „...“ გახდა სს „...“ მომხმარებელი. ხელშეკრულების 1-ლი მუხლის თანახმად, სს „...“ უზრუნველყოფს კს „...“ ინტერნეტ მომსახურების მიწოდებას ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყვილით, ხოლო კს „...“ კისრულობს ვალდებულებას სრულად გადაიხადოს მომსახურების საფასური ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ხელშეკრულების 4.1.1. მუხლის თანახმად, აბონენტის მიერ არჩეული პაკეტი, მომსახურების ტარიფები და ლიმიტი განსზღვრულია №1 დანართით, რომლის შესაბამისად, სს „...“ კს „...“ ინტერნეტი უნდა მიაწოდოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყვილის საშუალებით, რომლის ინსტალაციის ღირებულება შეადგენს 2000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, მომხმარებლის მიერ არჩეული ინტერნეტ მომსახურების პაკეტის – FOS პირობებით. ინტერნეტის სიჩქარე – 512 კბ/წმ; 10 მგ/წმ.

სს „...“ და კს „...“ შორის 2010 წლის 23 სექტემბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე კს „...“ მიერ სს „...“ 2000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადახდის პირობით კს „...“ ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების მიზნით, სს „...“ უზრუნველყო ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟი მისი ქსელის დაფარვის ზონის გარეთ.

კასატორის მითითებით, კომისიას ადმინისტრაციული წარმოების დროს გამოკვლეული ჰქონდა ფაქტობრივი გარემოება (რაზეც მიუთითა სააპელაციო სასამართლომ) იმასთან დაკავშირებით, რომ საადვოკატო ბიურომ 2000 აშშ დოლარი გადაიხადა ახალაშენებულ კორპუსში მისთვის ინდივიდუალურად კაბელის შეყვანაში, მაგრამ კომისიამ სხვა მტკიცებულებებზე, წარმოდგენილი ხელშეკრულებებზე, მხარეთა ახსნა-განმარტებებზე დაყრდნობით არ გაიზიარა საადვოკატო ბიუროს განცხადება, რომ საადვოკატო ბიუროსათვის ინტერნეტ-მომსახურე-

ბის მიწოდება უნდა მომხდარიყო ინდივიდუალური ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით, ვინაიდან ასეთ მითითებას არ შეიცავდა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება. ამასთან, სს „...“ მიერ საადვოკატო ბიუროსათვის გასაწევ მომსახურებაზე მიწოდებული ინფორმაციით, ასევე იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი „სს ...“ მართლაც დააინსტალირა მისამართზე: ქ. თბილისი, ... ქ. №21-ში, ამ ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყვილის ბოლო საადვოკატო ბიუროს ოფისში შეიყვანა.

სს „...“ საადვოკატო ბიუროს ინსტალაციისათვის დაარიცხა არა სტანდარტული ინსტალაციის საფასური, არამედ 2000 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა ლარში. „ინსტალაცია“ მომსახურების მიმწოდებლის ვებ-გვერდზე ატვირთული ინფორმაციის თანახმად, მომსახურების მისაწოდებლად საჭირო ტექნიკური საშუალებების, მათ შორის, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის დროებით სარგებლობაში ან საკუთრებაში გადაცემის ღირებულება საც შეიძლება შეიცავდეს. მომხმარებელს ნამდვილად შეიძლებოდა ჰქონოდა მოლოდინი იმისა, რომ 2000 აშშ დოლარის გადახდის შემთხვევაში, სს „...“ უზრუნველყოფდა ინტერნეტ-მომსახურების მიწოდებას მხოლოდ მისთვის გაყვანილი ინდივიდუალურად გამოყოფილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით, სააბონენტო ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

აღნიშნულ დასკვნამდე კომისია მივიდა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობითაც, რომ მხარეებს შორის 2010 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების პირობებში მითითებულია მხოლოდ „ინსტალაციის ღირებულება“. ხელშეკრულების პირობებიდან გაურკვეველია რას მოიცავს ინსტალაციის ღირებულება, რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვებოდა ინსტალაციის საფასურის გადახდას, კერძოდ, რა უფლებები და ვალდებულებები წარმოეშობოდა მომხმარებელსა და მომსახურების მიმწოდებელს. შედეგად, მომხმარებელი მოკლებული იყო შესაძლებლობას ხელშეკრულებიდან მიეღო სრულყოფილი, ზუსტი და გასაგები ინფორმაცია ინსტალაციის პირობებთან დაკავშირებით. ხელშეკრულების ბუნდოვანმა შინაარსმა მომხმარებელი შეიყვანა შეცდომაში შეთავაზებული და მიწოდებული მომსახურების პირობების თაობაზე, რითაც სს „...“ დაარღვია „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტები, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მე-3 პუნ-

ქტი.

საადვოკატო ბიუროსა და სს „...“ შორის 2011 წლის 5 დეკემბერს შედგა შეთანხმება, რომლის შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ მათი შორის 2010 წლის 23 სექტემბერს დადებული ხელშეკრულების დანართ №1-ში მითითებული მომსახურების მიწოდების ტექნოლოგიის, FOS ინტერნეტ სიჩქარისა და ტარიფის შეცვლაზე, ხოლო მომსახურების მიწოდების ტექნოლოგია და მომსახურების მიწოდების მიზნით აბონენტის ქსელთან შეერთების ტიპი არ შეცვლილა.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ადმინისტრაციული წარმოებისას ასევე არ გაიზიარა სს „...“ განცხადება იმის თაობაზე, რომ კს „...“ და სს „...“ შორის 2011 წლის 5 დეკემბერს დადებული შეთანხმების საფუძველზე შეიცვალა მხარეებს შორის 2010 წლის 23 სექტემბერს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინტერნეტ-მომსახურების P2P ტექნოლოგია GPON ტექნოლოგიით, რამდენადაც აღნიშნულ ცვლილებას არ ითვალისწინებდა 2011 წლის 5 დეკემბრის შეთანხმება, რომლითაც შეიცვალა მხოლოდ ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების სიჩქარე, ხოლო მიწოდების ტექნოლოგია და ტიპი არ შეცვლილა.

კომისიამ არ გაიზიარა სს „...“ გენერალური დირექტორის მოადგილის განმარტება, რომ საადვოკატო ბიურომ 2000 აშშ დოლარი გადაიხადა მისთვის განეული არასტანდარტული ტიპის საინსტალაციო მომსახურებისათვის, რომლის საფასურიც მხარეთა შორის შეთანხმების საგანია. მხარეთა შორის 2010 წლის 23 სექტემბერს დადებულ ხელშეკრულებაში მითითებულია მხოლოდ ინსტალაციის ღირებულება და არ არის ასახული ინსტალაციის სხვა პირობები, კერძოდ, რამ განაპირობა სს „...“ მიერ საადვოკატო ბიუროსათვის განეული საინსტალაციო მომსახურების არასტანდარტულობა, რას მოიცავს განეული მომსახურების ღირებულება, რა განაპირობებს არასტანდარტულ მომსახურების ღირებულებასა და სტანდარტულ ინსტალაციის მომსახურების ღირებულებას შორის არსებით სხვაობას, ასევე არ არის მითითებული არასტანდარტული ტარიფის დადგენის საფუძველი. ასევე გაურკვეველია, რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება არასტანდარტული მომსახურების საფასურის გადახდას, კერძოდ, რა უფლებები და ვალდებულებები წარმოეშობა მომხმარებელს და მომსახურების მიმწოდებელს.

კომისიამ მიიჩნია, რომ ამგვარი ბუნდოვანი პირობებით ხელშეკრულების გაფორმება, ასევე მომხმარებლისათვის გაგზავნილ კორესპოდენციაში დაფიქსირებული არაზუსტი და მცდა-

რი ინფორმაციის მიწოდება ეწინააღმდეგება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტს, „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტებს, ამავე მუხლის მე-3 პუნქტს, ხოლო საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების მიერ საკუთარი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაფართოებისათვის გასაწევი ხარჯების, როგორც საინსტალაციო მომსახურების მომხმარებლისათვის დარიცხვა ეწინააღმდეგება ინსტალაციის მომსახურების შინაარსს. კომისიამ სადავო აქტში განმარტა, რომ მომსახურების მიწოდების მიერ მისივე ქსელის დაფარვის ზონის მიღმა მომხმარებლისათვის სატელეკომუნიკაციო მომსახურების გაწევის მიზნით ინფრასტრუქტურული ხარჯების ანაზღაურება შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საგანი იყოს, თუ ეს გათვალისწინებულია მომსახურების მიწოდებელსა და მომხმარებელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, მაგრამ აღნიშნული არ შეიძლება განხილულ იქნეს სტანდარტულ ან არასტანდარტულ ინსტალაციის მომსახურებად ინსტალაციის ცნების შინაარსიდან გამომდინარე.

ამდენად, კომუნიკაციების კომისიამ მიიჩნია, რომ საადვოკატო ბიუროს „სს ...“ არ მიუღია არასტანდარტული ინსტალაციის მომსახურება, რისთვისაც მას დაერიცხა საფასური - 2000 აშშ დოლარი. ამდენად, კომისიამ მიიჩნია, რომ საადვოკატო ბიუროს ... დაარიცხა გაუწეველი მომსახურებისათვის თანხის გადახდა, რაც ეწინააღმდეგებოდა „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-7 პუნქტს.

კომუნიკაციების კომისიამ ადმინისტრაციული წარმოებისას სს „...“ მიერ საადვოკატო ბიუროსათვის მიწოდებული ინტერნეტ-მომსახურების სიჩქარის შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, მიწოდებული ინტერნეტის სიჩქარესთან დაკავშირებით დარღვევა არ მიიჩნია დადასტურებულად.

ამდენად, კასატორის მითითებით, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სრულად შეისწავლა ყველა ის ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარემოება, რაც საფუძვლად დაედო სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას და უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ კომისიამ აქტის გამოსცა საქმის გარემოებათა შესწავლისა და შესაბამისი დასაბუთების გარეშე. ამასთან, სააპელა-

ციო სასამართლოს თავად არ შეუფასებია და უმსჯელია იმ სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებზე, რაც საფუძვლად დაედო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 29 მაისის განჩინებით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2010 წლის 23 სექტემბერს სს „...“ და კს „...“ შორის გაფორმდა სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყვილის საშუალებით ინტერნეტით მომსახურება. 2011 წლის 5 დეკემბერს მხარეთა შორის წერილობით გაფორმდა შეთანხმება 2010 წლის 23 სექტემბრის ხელშეკრულების გარკვეული დებულებების შეცვლის თაობაზე.

2012 წლის 6 ნოემბერს კს „...“ საჩივრით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რომლითაც მოითხოვა 2010 წლის 23 სექტემბრის ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი – ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყვილის ინსტალაციის ღირებულების – 2000 აშშ დოლარის დაბრუნება და 2011 წლის 5 დეკემბერს მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებული სიჩქარით ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფის სს „...“ დავალება.

მარეგულირებელ ორგანოში წარდგენილ საჩივარში საადვოკატო ბიურო მიუთითებდა, რომ 2010 წლის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის დეკემბრამდე ინტერნეტ-მომსახურე-

ბას ღებულობდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და სიჩქარით, ხოლო გაურკვეველი მიზეზების გამო, 2011 წლის დეკემბრიდან ინტერნეტ-მომსახურების ხარისხი გაუარესდა. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, 2011 წლის 5 დეკემბერს შეთანხმება გაფორმდა სს „...“, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, 2011 წლის დეკემბრიდან საადვოკატო ბიუროს მიერ შეძენილი ინდივიდუალური ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყვილით ინტერნეტ-მომსახურების მიღება შეწყდა და სს „...“ თვითნებურად გადაიყვანა საადვოკატო ბიურო იმ საცხოვრებელი სახლის, სადაც განთავსებულია საადვოკატო ბიუროს ოფისი, საერთო სარგებლობისათვის განკუთვნილ წყვილზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული ქმედების შედეგად, გაუარესდა მათი მომსახურების ხარისხი და მიწოდებული ინტერნეტის სიჩქარე.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2012 წლის 6 დეკემბერს მიიღო №763/16 გადაწყვეტილება, რომლითაც კს „...“ საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სს „...“ დაევალა საადვოკატო ბიუროს მიერ გადახდილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყვილის ინსტალაციის ღირებულების კორექცია გადახდის მომენტისათვის სს „...“ მიერ დადგენილი სტანდარტული ინსტალაციის ღირებულების ოდენობად; ინტერნეტ მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა მხარეთა შორის 2010 წლის 23 სექტემბრის ხელშეკრულებითა და 2011 წლის 5 დეკემბრის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობებით; სს „...“ დაჯარიმდა 30000 ლარის ოდენობით „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტით, „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“, „ბ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 21-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევების გამო.

სს „...“ წარმოდგენილი სარჩელით ითხოვდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 6 დეკემბრის №763/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას გამოცემის მომენტიდან და გადაწყვეტილების შესაბამისად სს „...“ მიერ გადახდილი 30000 ლარის დაბრუნებას.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით სასამართლოსათვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო საქართველოს კო-

მუნიციპალიტეტების ეროვნული კომისიის 2012 წლის 6 დეკემბრის №763/16 გადაწყვეტილება და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების ხელახალი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საკასაციო პრეტენზიას, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებისა და სადავო საკითხის გადაწყვეტაზე უარის თქმის პროცესუალური წინაპირობა. კასატორმა მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ დაურღვევია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნა, რამდენადაც ადმინისტრაციული წარმოებისას კომისიამ სრულად გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და მტკიცებულებები და გადაწყვეტილება მიიღო მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე. შესაბამისად, არ არსებობდა ადმინისტრაციული ორგანოსათვის საკითხის ხელახლა განხილვის დავალდებულების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

მითითებული მუხლით რეგლამენტირებული, სასამართლოსათვის მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილება – უარი თქვას სადავო საკითხის მონესრიგებაზე და აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს იმავე საკითხზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, არ წარმოადგენს უპირობო და შეუზღუდავ უფლებამოსილებას.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის კასაციის ძირითად მოტივს სწორედ საპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ-

ლი საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებისა და მითითებული ნორმით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება წარმოადგენს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი და დაავალოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ახალი აქტი. ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების კომპეტენცია სასამართლოს გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე, მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილ მოთხოვნათა დაცვით.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამოწმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ პირველ ინსტანციაში უკვე განხილულთან ერთად

სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები. ანუ სააპელაციო სასამართლო, საკასაციო ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, შებოჭილი არაა პროცესუალური შესაძლებლობით, საქმეზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს და შეაფასოს მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 მუხლის შესაბამისად, სრული პროცესუალური უფლებამოსილება ჰქონდა თავად გადაენწყვიტა დავა, რამდენადაც გასაჩივრებული აქტის მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იყო დარღვეული აქტის გამოცემის ის პროცედურები, რაც უპირობოდ შექმნიდა საქმის ადმინისტრაციულ ორგანოში დაბრუნების წინაპირობას. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ზოგადად მიუთითა გამოსაკვლევ საკითხებზე და არ დაუსაბუთებია, რატომ იყო შეზღუდული თავად გამოეკვლია ისინი. უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლოს მითითება ადმინისტრაციული ორგანოსადმი მეტწილად გულისხმობს ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას, რაც სრულად ექვემდებარება სასამართლოს იურისდიქციას.

ადმინისტრაციულმა ორგანომ – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, რომლის კომპეტენციას განეკუთვნება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაზე ზედამხედველობა, მომხმარებლის საჩივრის საფუძველზე, რომელიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა ხელშეკრულების პირობების დარღვევასა და მიწოდებული ინტერნეტ-მომსახურების ხარისხის გაუარესების გამო, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტით დადგენილი წესით უზრუნველყო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება, კერძოდ, „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის შესაბამისად, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ კს „...“ საჩივარზე ჩაატარა ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება, უზრუნველყო დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობა მის განხილვაში, კომისიამ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით ჩაატარა ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების ხარისხისა და სიჩქარის შემოწმება, რის თაობაზეც საქმეში წარმოდგენილია საქართვე-

ლოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის დასკვნა. კომისიამ მომსახურების მიწოდების პირობებთან დაკავშირებით ინფორმაცია მოიძია სს „...“ ვებგვერდზე და ანალიზი გაუკეთა მას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს სრული შესაძლებლობა ჰქონდა თავად გადაეწყვიტა დავა და სს „...“ მოთხოვნის ფარგლებში შეემოწმებინა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სადავო გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერება, ხოლო თუ დავის გადანყვეტისას საჭიროდ მიიჩნევა გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევას ან დადგენას, შესაძლებლობა ჰქონდა ესარგებლა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული საპროცესო კომპეტენციით, თავად მოეპოვებინა მტკიცებულებები, ასევე შესაძლებლობა ჰქონდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 204-ე მუხლის შესაბამისად, მოენვია სპეციალისტი, თუ რიგი საკითხების დადგენა სპეციალურ ცოდნას მოითხოვდა, ან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის საფუძველზე დაენიშნა საექსპერტო კვლევა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მარეგულირებელი ორგანოს მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალურ კანონიერებაზე, გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან მის შესაბამისობაზე, რამდენადაც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, იკვეთება არა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე იმ ფაქტობრივი გარემოებების მოპოვების, დადგენის თუ გამოკვლევის საჭიროება, რისი შესაძლებლობაც შესაძლოა მხოლოდ აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნდეს, არამედ უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ მათი სწორი სამართლებრივი შეფასება და გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმება, რისი უფლებამოსილებაც უპირობოდ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 6 დეკემბრის №763/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც სს „...“ დავალა საადვოკატო ბიუროს მიერ გადახდილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყვილის ინსტალაციის ღირებულების კორექცია გადახდის

მომენტისათვის სს „...“ მიერ დადგენილი სტანდარტული ინსტალაციის ღირებულების ოდენობად; ინტერნეტ მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა მხარეთა შორის 2010 წლის 23 სექტემბრის ხელშეკრულებითა და 2011 წლის 5 დეკემბრის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობებით, ამასთანავე, სს „...“ დაჯარიმდა 30000 ლარის ოდენობით „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტით, „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“, „ბ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 21-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევის გამო.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უპირველეს ყოვლისა, სააპელაციო სასამართლომ უნდა შესთავაზოს სს „...“ მოთხოვნის დაზუსტება, კერძოდ, ითხოვს თუ არა სადავო გადაწყვეტილების ბათილად ცნობას სრულად, როგორც საადვოკატო ბიუროსათვის საფასურის – 2000 აშშ დოლარის კორექტირების ნაწილში, ასევე მის მიმართ სანქციის გამოყენების ნაწილშიც, რამდენადაც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე მხარეებმა დაადასტურეს, რომ მომსახურების მიწოდებელს – სს „...“ და მომხმარებელს – კს „...“ შორის შედგა გარკვეული შეთანხმება (კონფიდენციალური პირობებით) (იხ. საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმი), მათ შორის, კვლავ გრძელდება სახელშეკრულებო ურთიერთობა და საადვოკატო ბიურო აგრძელებს სს „...“ მიერ მიწოდებული მომსახურებით სარგებლობას. საკასაციო სასამართლოს მიერ სხდომაზე არაერთი მოწვევის მიუხედავად, კს „...“ წარმომადგენელი არ გამოცხადდა საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად და არც წერილობითი სახით ყოფილა ახსნა-განმარტება წარმოდგენილი. შესაბამისად, მესამე პირი ამ ეტაპისათვის აღარ აფიქსირებს იურიდიულ ინტერესს მოცემული დავის მიმართ, თუმცა რა სახის შეთანხმება შედგა სს „...“ და საადვოკატო ბიუროს შორის უცნობია, რამდენადაც მხარეები კონფიდენციალურს ხდიან შეთანხმების საგანს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელე მხარემ უნდა დააზუსტოს, შეთანხმების მიღწევა გავლენას ხომ არ ახდენს სასარჩელო მოთხოვნის (საადვოკატო ბიუროს სასარგებლოდ თანხის კორექტირების დავალდებულების ნაწილში) ფორმულირებაზე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სს „...“ სარჩელის მიზანს წარმოადგენს მისთვის სანქციის სახით სოლიდური ჯარიმის – 30000 ლარისაგან გათავისუფლება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დავის არსებითად განხილვისას სს „...“ სააპელაციო საჩივრის საფუძველზე უნდა შეამოწმოს გასაჩივრებული აქტის კანონიერება, ადგილი ჰქონდა თუ არა მისი მხრიდან კს „...“ სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულების დადებისას და ინტერნეტ-მომსახურების მიწოდებისას „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევას და საქმის გარემოებების სწორი სამართლებრივი შეფასება მოახდინა თუ არა მარგულირებელმა ორგანომ. ამ მიმართებით საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა იმსჯელოს სს „...“ მიმართ სანქციის – ჯარიმის გამოყენების კანონიერებაზე.

კომისიის სადავო გადაწყვეტილებით „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კომისია დამოუკიდებლად ახორციელებს ავტორიზებული პირების საქმიანობისა და ლიცენზიის ან/და ნებართვის მფლობელების მიერ რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის რეგულირებას, მათ შორის, ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიღებას, მათი შესრულების მონიტორინგსა და კონტროლს, გამოვლენილი დარღვევებისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში ამავე კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სანქციების დაკისრებას.

მოცემულ შემთხვევაში კომისიამ დადგენილად მიიჩნია რა სს „...“ მხრიდან ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტი, მის მიმართ გაავრცელა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი პასუხისმგებლობის სახე და ზომა.

მითითებული ნორმის თანახმად, ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს

კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების, დარღვევის ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევი წერილობით გააფრთხილოს, ხოლო დენადი ხასიათის დარღვევის კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობის ან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში – დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობაა ავტორიზებული პირის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი დღგ-ის გარეშე) 0,5 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 3000 და არა უმეტეს 30000 ლარისა.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 20 აპრილის №301/18 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც სს „...“ მიეცა წერილობითი გაფრთხილება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისათვის. საკითხი ეხებოდა 2012 წლის 27 მარტს განხორციელებულ, სს „...“ სააბონენტო ნომრისა და მომსახურების საკონტროლო შესყიდვას, რომლის შედეგადაც გაფორმებული სააბონენტო ხელშეკრულების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა შემოწმდა კომისიის მხრიდან.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მითითებული 2012 წლის 20 აპრილის №301/18 გადაწყვეტილებით სს „...“ მიცემული წერილობითი გაფრთხილება გახდა სს „...“ ჯარიმის დაკისრების ფაქტობრივი წინაპირობა. ანუ ფაქტობრივად კს „...“ მიმართ დარღვევის გამოვლენის ფაქტი კომისიის მიერ დაკვალიფიცირდა 2012 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით მიცემული წერილობითი გაფრთხილებიდან 1 წლის განმავლობაში ახალ, ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენად, იმ ვითარებაში, როდესაც მოცემული სადავო შემთხვევა ეხება 2010 წლის 23 სექტემბერს სს „...“ და საადვოკატო ბიუროს შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავას და 2011 წლის დეკემბრიდან სს „...“ მხრიდან მომხმარებლისათვის ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების პირობების დარღვევის ფაქტს. კომისიამ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ერთწლი-

ანი ვადა განსაზღვრა ჩადენილი დარღვევების მიმართ კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის დროის ინტერვალით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დაადგინოს მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასება მისცეს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დისპოზიციას, ანუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი აღნიშნული ნორმით დადგენილი პასუხისმგებლობის გავრცელება ავტორიზებული პირის ან/და ლიცენზიის მფლობელის მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილულ უნდა იქნეს არსებითად და სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მითითებულ გარემოებებზე საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების დადგენის მიზნით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმეკრულებო ვალდებულების შესრულება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-662-637(კ-13)

20 ნოემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი:

ო. ტ-მა 11.12.12წ. სარჩელი აღძრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მოპასუხის დავალდებულება შესრულოს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულება ბინით დაკმაყოფილების თაობაზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მას და სამინისტროს შორის 06.07.07წ. დაიდო ხელშეკრულება (კონტრაქტი) 5 წლის ვადით სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. კონტრაქტის პირობების შესაბამისად სამინისტრო ვალდებული იყო კონტრაქტის მოქმედების ვადის ამონურვამდე ერთი წლით ადრე დაეკმაყოფილებინა მოსარჩელე საცხოვრებელი ბინით, რომელიც გადმოეცემოდა მას საკუთრებაში კონტრაქტის ვადის დამთავრების შემდეგ. მოსარჩელეს უარი ეთქვა კონტრაქტის გაგრძელებაზე ფიზიკური მომზადების ტესტების ჩაუბარებლობის გამო. კონტრაქტის მოქმედების ვადის ამონურვის მიუხედავად სამინისტრომ არ შეასრულა თავისი ვალდებულება და არ დააკმაყოფილა მოსარჩელე ბინით. 08.08.12წ. მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სამინისტროს, რომლითაც მოითხოვა საკონტრაქტო ვალდებულების შესრულება. სამინისტროს პასუხი განცხადებაზე არ გაუცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 27.08.13წ. გადაწყვეტილებით ო. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა, რომ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს ტერმინებს „სამხედრო მოსამსახურე“ და „სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი პირი“. ამით კანონმდებელი ხაზს უსვამს მათ მიმართ განსხვავებულ მიდგომას. კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრულია უფლება

საცხოვრებელ ბინაზე, კერძოდ, სამხედრო მოსამსახურეს საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფს სახელმწიფო. სამხედრო მოსამსახურეს სამსახურის დაწყებისთანავე დადგენილი ნორმითა და წესით, შესაბამისი სამხედრო უწყებისათვის გადაცემული საბინაო ფონდიდან ეძლევა სამსახურებრივი დანიშნულების საცხოვრებელი ბინა. სასამართლომ მიუთითა, რომ ამ ნორმის დანაწესში საუბარია მხოლოდ მოქმედ სამხედრო მოსამსახურეზე და არა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პირზე. თავდაცვის სამინისტროსა და მოსარჩელეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-5 მუხლი ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურის ბინით დაკმაყოფილებას ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხოლო საკუთრებაში გადასცემს მხოლოდ კონტრაქტის სრული ვადის გასვლის შემდეგ. ვინაიდან მოსარჩელე მოპასუხისაგან ვალდებულების შესრულებას ითხოვს კონტრაქტის ვადის გასვლის შემდგომ, სასამართლომ მიიჩნია, რომ უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების თაობაზე, რადგან აღნიშნული წესი მოქმედებს კონტრაქტის მოქმედების პერიოდში და არა ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ო. ტ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 31.10.13წ. განჩინებით ო. ტ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ უსაფუძვლოა ო. ტ-ის მოთხოვნა, რადგან ხელშეკრულების მე-5 მუხლით დადგენილი წესი მოქმედებს კონტრაქტის მოქმედების პერიოდში და არა ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, ხოლო ო. ტ-ი ხელშეკრულების შესრულებას ითხოვს კონტრაქტის ვადის გასვლის შემდგომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 31.10.13წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ო. ტ-ის მიერ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების გზით ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა, რომლითაც დაკმაყოფილება სარჩელი. კასატორმა მიუთითა, რომ არასწორად ხდება სამხედრო დანიშნულების ბინების გაიგივება საკონტრაქტო ბინებთან, ვინაიდან კონტრაქტი არის მხარეთა თანასწორობის საფუძველზე დამყარებული, სამხედრო სამსახურის თავისებურებების გათვალისწინებით დადებული, სამოქალაქო ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებით გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო კანონმდებლობა. ნაკისრი ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯე-

როვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ვალდებულების შეუსრულებლობა არ ათავისუფლებს მხარეს ამ ვალდებულების შესრულებისაგან, თუ კრედიტორს არ დაუკარგავს ინტერესი შესრულებისადმი. ო. ტ-ს არ დაურღვევია კონტრაქტის პირობები. იგი იმედოვნებდა კონტრაქტის ვადის გაგრძელებას, რის გამოც კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე არ მიმართა სამინისტროს ბინის გადაცემის მოთხოვნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ო. ტ-სა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის 06.07.07წ. დაიდო ხელშეკრულება (კონტრაქტი) 5 წლის ვადით სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. კონტრაქტის 5.1.9 პუნქტის თანახმად, სამინისტრომ იკისრა კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე სამხედრო მოსამსახურის არაუმეტეს 40 კვ.მ. საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების ვალდებულება. ბინა ო.ტ-ს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით უნდა გადასცემოდა ამ კონტრაქტის 3.1 პუნქტით განსაზღვრული სამხედრო სამსახურის ვადის დასრულების შემდეგ. საქმეში დაცული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს №16107 სამხედრო ნაწილის მეთაურის 17.07.12წ. №146 ბრძანებით დასტურდება, რომ ო. ტ-ი ყველა სახის კმაყოფიდან მოიხსნა კონტრაქტის ვადის დასრულების გამო. 08.08.12წ. ო. ტ-მა განცხადებით მიმართა თავდაცვის სამინისტროს ბინით უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულების მოთხოვნით, ადმინისტრაციულ ორგანოს განცხადებაზე რეაგირება არ მოუხდენია.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ო.ტ-ს შორის დადებული 06.07.07წ. ხელშეკრულება სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ამდენად, დავის საგანს შეადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულება. სზაკ-ის 65.2 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და სა-

ქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. სკ-ის 317.1 მუხლის მიხედვით ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტიდან) და კანონით განსაზღვრული სხვა საფუძვლებიდან. განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რომ მხარეთა გამოვლენილი ნების შედეგად დაიდო 06.07.07წ. ხელშეკრულება, რომელიც ხელშემკვრელი მხარეთათვის არის შესაბამისი უფლება-მოვალეობების წარმომშობი. ვალდებულება თავისი შინაარსით ორ ძირითად ელემენტს აერთიანებს: ერთი მხრივ, ვალდებულების ძალით კრედიტორს აქვს უფლება კონტრაჰენტისგან მოითხოვოს შესრულება (სკ-ის 316-ე მუხ.), ხოლო მეორე მხრივ – მოვალე ვალდებულია ვალდებულება შეასრულოს კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ადგილას (სკ-ის 361.2 მუხ.). ვალდებულების დანიშნულება არ ამოიწურება მხარეთათვის გარკვეული უფლებების მინიჭებითა და ვალდებულებების დაკისრებით, ვალდებულების რეალიზაცია სამართლებრივი დაცვით არის გარანტირებული. კრედიტორს უფლება აქვს არა მხოლოდ მოსთხოვოს მოვალეს შესრულება, არამედ უფლებამოსილია ამ შესრულების უზრუნველსაყოფად მიმართოს სასამართლოს, მოითხოვოს იძულებითი აღსრულება. განსახილველ შემთხვევაში სახეზეა ორმხრივი ხელშეკრულება, კონტრაქტის ორივე მხარე იყო უფლებებითა და მოვალეობებით აღჭურვილი, კერძოდ, სამხედრო მოსამსახურე ო.ტ-მა იკისრა ვალდებულება განსაზღვრული პირობებით, კეთილსინდისიერად ემსახურა სამხედრო სამსახურში (კონტრაქტის 1.1 მუხ.), რასაც შეესაბამებოდა თავდაცვის სამინისტროს ვალდებულება კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე დაეკმაყოფილებინა სამხედრო მოსამსახურე არაუმეტეს 40 კვ.მ. ფართის მქონე საცხოვრებელი ბინით, რომელიც მოსამსახურეს საკუთებაში გადაეცემოდა სამხედრო სამსახურის ვადის დასრულების შემდეგ (კონტრაქტის 5.1.9 მუხ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვალდებულების არსი მის შესრულებაშია, ხოლო შესრულების ვალდებულება პირველ რიგში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას გულისხმობს. ჯეროვანი შესრულება შეიცავს რამდენიმე მოთხოვნის დაცვის აუცილებლობას, რომლებიც განსაზღვრავენ, ვინ ვის წინაშე უნდა განახორციელოს შესრულება, რომელი საგნით, სად, როდის და რა გზით. ვალდებულების შესრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ქმედების ამავე ხელშეკრულებით დადგენილი წესით შესრულებას ნიშნავს, ხოლო ხელშეკრულების დარღვევა შესრულე-

ბის, როგორც შედეგის არარსებობას მოიაზრებს. ვალდებულებების შინაარსიდან გამომდინარე, შესრულების ტვირთი მთლიანად მოვალეს ეკისრება, თუმცა ეს არ გამოორიცხავს კრედიტორის მხრიდან გარკვეული ქმედების განხორციელების აუცილებლობას, რაც წინ უნდა უსწრებდეს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებას. განსახილველ შემთხვევაში მოსამსახურისათვის ბინის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება თავდაცვის სამინისტროს წარმოეშობოდა ო.ტ-ის მიერ სამხედრო სამსახურის კეთილსინდისიერად, განსაზღვრული პირობების შესაბამისად გავლის შემთხვევაში. საქმეზე დადგენილია და მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელიც ადასტურებს, რომ კასატორის მიერ მხარეთა შორის დადებული კონტრაქტის პირობები პირნათლად შესრულდა. ამ მოვალეობის შესრულება კონტრაქტის თანახმად იწვევს სამინისტროს საპასუხო ვალდებულების შესრულებას. მოვალის – თავდაცვის სამინისტროს ვალდებულება შეესაბამება კრედიტორის – ო.ტ-ის მოთხოვნას, რომელსაც 317-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი აქვს. თუ მოვალე ნებაყოფლობით არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მოთხოვნა ექვემდებარება სასამართლო წესით დაკმაყოფილებას.

მხარეთა შორის დადებული 06.07.07წ. კონტრაქტის 5.1.9 პუნქტის ანალიზი ცხადყოფს, რომ ხელშემკვერელმა მხარემ – საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების – სამხედრო მოსამსახურისთვის საცხოვრებელი ბინის გადაცემის ვალდებულების შესრულება დაყო ორ ეტაპად, პირველ ეტაპზე სამხედრო მოსამსახურეს საცხოვრებელი ბინა უნდა გადასცემოდა ფაქტობრივ მფლობელობაში სარგებლობის უფლებით ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, ხოლო მეორე ეტაპზე – საკუთრებაში. უდავოა, რომ მოპასუხე მხარემ არ შეასრულა ხსენებული ვალდებულების არცერთი სეგმენტი, ო. ტ-ისათვის საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემამდე თავდაცვის სამინისტრომ არ უზრუნველყო ბინის ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემა, ხოლო შემდგომში, – ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ბინის საკუთრებაში გადაცემა. ამდენად, არც ერთი ვალდებულების შესრულებას ადგილი არ ჰქონია, რაც ადასტურებს, რომ სახეზეა თავდაცვის სამინისტროს მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა, შეუსრულებლობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგი-

ლას შესრულების ვალდებულებას არ უარყოფს სამხედრო მოსამსახურის და სამხედრო მოსამსახურიდან დათხოვნილ პირებს შორის სამართლებრივი მდგომარეობის სხვაობა. სააპელაციო პალატის მიერ ამ ასპექტზე ყურადღების გამახვილება არ ადასტურებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარს, კრედიტორის მოთხოვნის საპასუხოდ მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ინვესტს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შედეგებს, ასეთ შემთხვევაში კრედიტორის მოთხოვნის საპასუხოდ მოვალემ უნდა შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულება ჯეროვანად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. მხოლოდ ის გარემოება, რომ ო. ტ-ს ხელშეკრულების ვადის ამონურვის გამო არ გააჩნია სამხედრო მოსამსახურის სტატუსი, გავლენას ვერ ახდენს დავის გადაწყვეტის შედეგზე, რადგან უდავოა, რომ ო. ტ-მა პირნათლად შეასრულა მასზე კონტრაქტით დაკისრებული მოვალეობები და შესაბამისად მან, როგორც კრედიტორმა უნდა მიიღოს მხარეთა მიერ შეთანხმებული, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამხედრო მოსამსახურში ყოფნის პერიოდში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ო. ტ-ისათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობა არ ნიშნავს სამხედრო მოსამსახურიდან დათხოვნილი პირის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების ვალდებულების გაუქმებას. კანონი არ იცნობს ერთი ვალდებულების დარღვევის გამო ამავე მოვალის მიერ ნაკისრი სხვა, თანმდევი ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას. თავდაცვის სამინისტროს მიერ არ შესრულებულა კონტრაქტის ვადის დასრულებამდე ო. ტ-ისათვის 1 წლით ადრე ბინის სარგებლობაში გადაცემის, ხოლო დასრულების შემდეგ ბინის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულება არ ნიშნავს, რომ აღარ არსებობს ვალდებულება, რომლის შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს შესაბამის პირს (კრედიტორს). ხელშეკრულების ვადის გასვლით სრულდება ხელშეკრულება, მაგრამ არა ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლის დასრულებას ინვესტს ჯეროვანი შესრულება, შეთანხმებული შედეგის დადგომა და სხვ.. სამინისტროს ვალდებულება გამომდინარეობს კონტრაქტის მიერ ნაკისრი ვალდებულების პირნათლად შესრულებისაგან. ო. ტ-ის მიერ ვალდებულების სათანადო შესრულება დავას არ ინვესტს, მოპასუხის წარმომადგენელი ადასტურებს, რომ კონტრაქტორი დათხოვნილ იქნა მოსამსახურიდან კონტრაქტ-

ტით გათვალისწინებული სამხედრო სამსახურის ვადის ამოწურვის გამო, რაც ქმნის სამინისტროს მიერ ვალდებულების შესრულების საფუძველს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თავდაცვის სამინისტრო ვალდებულია დააკმაყოფილოს ო. ტ-ი საცხოვრებელი ბინით არაუმეტეს 40 კვ.მ.-ისა, ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ო. ტ-ს უსაფუძვლოდ ეთქვა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რის გამოც სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე, ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ო. ტ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.10.2013წ. განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ო. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს. დაევალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ო. ტ-სა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის 06.07.07წ. დადებული კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება – ო. ტ-ისათვის საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემა;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**კორკორატიული ბინათმშენებლობის
დაუმთავრებლობით წარმოშობილი სახელმწიფო
შიდა ვალის დაფარვა**

ბანკინება

№ბს-622-610(კ-12)

23 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ს-ემ 24.02.12წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოპასუხისათვის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა, კერძოდ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვის წესის გამოცემა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონით აღიარა სახელმწიფო საშინაო ვალად კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი ვალდებულება. ამავე კანონით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა შეემუშაებინა ვალის დაფარვის წესი 1998 წლის სექტემბრამდე. მოსარჩელემ სხვა პირებთან ერთად 26.10.11წ. №89287 განცხადებით მიმართა სამინისტროს, რომლითაც მოითხოვა „2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონპროექტის ხარჯების ნაწილში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის 100 მლნ. ლარის გათვალისწინება. განმცხადებლებმა მოითხოვეს აგრეთვე სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 12.10.99წ. №592 ბრძანებულებისა და ფინანსთა მინისტრის 11.10.99წ. №226 ბრძანების საფუძველზე შეიმუშაებდა ვალის გასტუმრების პერსონ-

ნიფიცირებულ კალენდარულ გრაფიკს. 12.12.11წ. №04-02/51059 წერილით განცხადება არ დაკმაყოფილდა, რეაგირების გარეშე დარჩა მიღებულ პასუხზე შეტანილი ადმინისტრაციული საჩივარი.

მოსარჩელემ მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი, ამავე მუხლის მე-4 პუნქტი, სზაკ-ის XV თავი, სასკ-ის 24-ე მუხლი. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სავალო ვალდებულების შესრულება უკავშირდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემას მოპასუხის მიერ, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტს პირდაპირი მოქმედების ძალა ექნებოდა იმავე საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი – ვალის დაფარვის წესი, რომელიც სადღეისოდ არ არსებობს. კანონის 48.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობათა რეალიზება ვერ ხერხდება მოპასუხის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ქმედების განხორციელების მოთხოვნით მოსარჩელემ მიმართა ჯერ განცხადებით, ხოლო შემდეგ საჩივრით. მოსარჩელემ სასკ-ის 24.2 მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ მოპასუხის უმოქმედობა პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მის კანონიერ უფლებებს და ინტერესებს. სამინისტროს მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა დადგენილია სასამართლო პრაქტიკით. სავალო ვალდებულების დაფარვის წესის შემუშავება კანონით დავალებული აქვს მხოლოდ მოპასუხეს და არც ერთ სხვა ორგანოს, 15.11.04წ. შექმნილ კომისიას დღემდე არანაირი დოკუმენტი არ წარმოდგენია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.05.12წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა, რომ მოთხოვნის არსიდან გამომდინარე წარმოდგენილია არა სასკ-ის 24-ე, არამედ 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელი აქტის გამოცემის მოთხოვნით. სასამართლომ მიუთითა აგრეთვე, რომ საქართველოს მთავრობის 15.11.04წ. №108 დადგენილებით „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48.1 მუხლით აღიარებული ვალის პრობლემების განხილვის, გადაჭრის და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი კომისია, ამავე დადგენილებით დამტკიცდა მისი დებულება, კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 1 იანვრამდე. ამდენად, კომისია

ამჟამად კვლავ ფუნქციონირებს, რის გამო სასამართლომ მიიჩნია, რომ საბოლოოდ ვალდებულების დაფარვის წესის დადგენა უნდა განხორციელდეს სწორედ კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით. ვალდებულების განხორციელება დამოკიდებულია ვალის დაფარვის კონკრეტული წესებისა და რეგულაციების არსებობაზე, რომელთა შემუშავება უნდა განხორციელდეს კომისიის მიერ. ასეთი რეგულაციებისა და წესების არარსებობის პირობებში 48.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი არ წარმოშობს ქონებრივ უფლებებს, რომელზედაც შეიძლება იქნებოდა ლეგიტიმური მოლოდინის დამყარება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.05.12წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ს-ემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.06.12წ. განჩინებით ბ. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.05.12წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარებული იყო კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულება. აღნიშნული ვალის დაფარვის წესი უნდა შემუშავებინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და შესათანხმებლად წარედგინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან. საქართველოს მთავრობის 15.11.04წ. №108 დადგენილების თანახმად საშინაო ვალის პრობლემების განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შეიქმნა სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, რომლის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით არ არსებობდა მოცემულ ეტაპზე მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ კომისიას უფლებამოსილების ვადაში უნდა შემუშავებინა საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციები და წარედგინა ისინი საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტისათვის. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი კომისიის მიერ რეკომენდაციების შემუშავება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას – სახელმწიფო სავალო ვალდე-

ბულების დაფარვის წესის დადგენას. რეკომენდაციების შინა-არსი სახელმწიფოსათვის არ იყო სავალდებულოდ შესასრულებელი ძალის მქონე, თუ ის არ იყო შესაბამისი სუბიექტის მიერ გამოცემულ კანონქვემდებარე აქტში (ვალის დაფარვის წესში) ასახული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიუთითა, რომ სანამ არ იქნება დადგენილი კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებათა დაფარვის წესი, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას დავალიანებასთან დაკავშირებით დააკმაყოფილოს მოთხოვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.06.12წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ბ. ს-ის მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორმა აღნიშნა, რომ ორივე ინსტანციის სასამართლომ სარჩელის და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარს საფუძვლად დაუდო საქართველოს მთავრობის 15.11.04 წ. №108 დადგენილება და ამავე დადგენილებით შექმნილი კომისიის არსებობის ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ კომისია უმქმედოა. სასამართლოების შეფასების მიღმა დარჩა ადმინისტრაციული ორგანოს კანონისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი ვალდებულების დაფარვის წესის შემუშავების ვალდებულება აკისრია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და არა სხვა რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოს. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 3.1 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ნორმატიული აქტი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, თუ თვით ამ ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი და სავალდებულოა შესასრულებლად. კანონით დადგენილი ვალდებულების მიუხედავად მოპასუხეს დღემდე არ აქვს შესრულებული ვალდებულება. კომისიამ რომც შეიმუშაოს რაიმე სახის რეკომენდაციები ამ სახის ვალის დაფარვის თაობაზე, ისინი ვერ შეიძენენ ნორმატიული აქტის სტატუსს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კომისიას არ გააჩნია ასეთი უფლებამოსილება, ხოლო მოპასუხეს არ მოეხსნება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის – კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი ვალდებულების დაფარვის წესის შემუშავების ვალდებულება. სასამართლოების მიერ ვერ იქნა დასაბუთებული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა კოოპერატიული

ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებულ მოქალაქეებსა და საქართველოს მთავრობის 15.11.04წ. №108 დადგენილებით შექმნილ კომისიას შორის, ვერ იქნა მკაფიოდ და სრულად განმარტებული თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს ზემოაღნიშნულ სუბიექტებს შორის.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორმა და მისმა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება. საქმეში მესამე პირად ჩაბმული ... ასოციაციის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს. მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრის საფუძვლები არ ცნო და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ქმნის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს და სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით საქმის ხელახალი განხილვისთვის დაბრუნების პირობაა. სსკ-ის 377.1 მუხლის თანახმად, სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულება ხორციელდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების გზით, რაც გულისხმობს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შემოწმებას. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოსათვის დავალიანების დაფარვის წესის გამოცემის დავალებას და არა ვალის ანაზღაურებას. სააპელაციო პალატამ განჩინებაში მიუთითა, რომ სახელმწიფო კომისიის მიერ რეკომენდაციის შემუშავება ჯერ კიდევ არ ნიშნავს კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რეკომენდაციები, რა შინაარსისაც

არ უნდა იყოს ისინი, სახელმწიფოსთვის არ შეიძენენ სავალდებულოდ შესასრულებელ ძალას, თუ ისინი ასახვას არ ჰპოვებს კანონქვემდებარე აქტში – სავალო ვალდებულების შესრულების (ვალის დაფარვის) წესში, რომელიც სადღეისოდ სახელმწიფოს არ გააჩნია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ სანამ არ იქნება დადგენილი კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებათა დაფარვის წესი, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას დავალიანებასთან დაკავშირებით დააკმაყოფილოს მოთხოვნა. სააპელაციო პალატის აღნიშნული დასკვნა ცდება დავის საგანს, ვინაიდან მოსარჩელეს არ დაუსვია დავალიანების ანაზღაურების საკითხი, დავის საგანი ეხებოდა არა დავალიანების ანაზღაურებას, არამედ ადმინისტრაციული ორგანოსთვის სავალო ვალდებულების დაფარვის წესის გამოცემის დავალდებულებას. სასამართლოს მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ხსენებული საფუძველი არანაირად არ ასაბუთებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია მოთხოვნის პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველზე. მოსარჩელის მიერ სასკ-ის 24-ე მუხლის მითითების მიუხედავად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კანონქვემდებარე აქტის გამოცემის მოთხოვნის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა განეკუთვნება არა სასკ-ის 24-ე, არამედ 23-ე მუხლით გათვალისწინებული მავალდებულებელი სარჩელის სახეობას, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას. სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დაკმაყოფილების პირობებს ამავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილებას, ადმინისტრაციული ორგანოსთვის აქტის გამოცემის დავალებას, უკავშირებს სარჩელის დასაშვებობის რამოდენიმე პირობას, კერძოდ, სახეზე უნდა იყოს დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს უარი, უარის შესახებ აქტი არის სასკ-ის 23-ე მუხლით დადგენილი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა, უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე კანონს უნდა ეწინააღმდეგებოდეს, ამასთანავე უარი პირდაპირ და უშუალო ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს. სარჩელის დაკმაყოფილება საჭიროებს მოცემული კუმულატიური პირობებიდან ყველას სახეზე არსებობას. სასკ-ის

23-ე და 33-ე მუხლების თანახმად, მავალდებელი სარჩელის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას შეადგენს სარჩელის აღძვრამდე ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის კანონქვემდებარე აქტის – კოოპერატიული ბინათმშენებლობის სახელმწიფო შიდა ვალის დაფარვის წესის გამოცემის დავალების შესახებ სარჩელის მოთხოვნას საფუძვლად უდევს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტის დებულება იმის შესახებ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 1998 წლის 1 სექტემბრამდე უნდა შეიმუშაოს და შეათანხმოს სახელმწიფო სავალო ვალდებულების დაფარვის წესი ისეთი აღიარებული სავალო ვალდებულებების მიმართ, როგორცაა: ყოფილი სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების დაფარვის ვალდებულება; კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულება; მუნიციპალური სანარმო „...“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობით წარმოქმნილი დავალიანება; მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ლატარიაში მოგებული ნივთების გაუნაღებლობით წარმოქმნილი დავალიანება („სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები). აღნიშნულიდან მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისათვის კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულებების დაფარვის წესის შესახებ კანონქვემდებარე აქტის გამოცემის დავალებას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე ბ. ს-ემ მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, რომელშიც აყენებდა საკითხს არა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემის, არამედ შესამუშავებელ საკანონმდებლო აქტის პროექტში, კერძოდ, „2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დავალიანების – 100 მლნ. ლარის გათვალისწინებას და ვალის გასტუმრების პერსონიფიცირებული კალენდარული გრაფიკის შექმნას. 26.10.11წ. განცხადებაში, რომლითაც ბ. ს-ემ მიმართა ფინანსთა სამინისტროს, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ვალის ანაზღაურების წესი უკვე შემუშავებულია საქართველოს პრეზიდენტის 12.10.99წ. №592 ბრძანებულებით და ფინანსთა მინისტრის 11.10.99 წ. №226 ბრძანებით (ასეთივე მოსაზრებას ავითარებდა ასოციაციის წარმომადგენელი 16.06.09წ. №6-09/87 მიმართვაში, რომლითაც ფინანსთა სამინისტროსგან ითხოვა ახალი წესის შემუშავება), რის გამო განმცხადებელმა მოითხოვა 2012

ნლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ხარჯების ნაწილში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურებისათვის თანხის გათვალისწინებას. საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის 12.12.11წ. №04-02/51059 წერილით ბ. ს-ეს ეცნობა, რომ „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტით სახელმწიფო საშინაო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2012 წლის ბოლოსთვის განისაზღვრა არაუმეტეს 19225,5 მლნ. ლარის ოდენობით, საიდანაც 673,1 მლნ ლარი ე.წ. „ისტორიული ვალია“, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი ვალდებულებები. ბ. ს-ემ, სხვა პირებთან ერთად, 26.12.11წ. ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს ფინანსთა მინისტრს, რომლითაც მოითხოვა: მინისტრის პირველი მოადგილის პ.პ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება; საქართველოს პარლამენტში წარსადგენად კანონპროექტის მომზადება, რომლითაც „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდოდა მოსარჩელის მოთხოვნის შესაბამისი ცვლილება; სამინისტროს და დაზარალებულთა წარმომადგენლების მონაწილეობით სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც დაადგენდა კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების მოცულობას მიმდინარე მომენტისთვის და შეიმუშავებდა ვალის გასტუმრების პერსონიფიცირებულ გრაფიკს. ადმინისტრაციულ საჩივარში ბ. ს-ე უკმაყოფილებას გამოთქვამდა კანონის მიღების შემდეგ პასუხის მიღებით და უთითებდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 11.10.99წ. №226 ბრძანებაზე, როგორც დაფარვის არსებულ მექანიზმზე. ადმინისტრაციული საჩივარი დარჩა რეაგირების გარეშე, რაც მის დაკმაყოფილებაზე უარად უნდა იქნეს მიჩნეული (უმოქმედობით უარი). ამასთანავე, ბ. ს-ე აღძრული საჩივლით ითხოვს მოპასუხისაგან საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესის კოორდინატორისა და პასუხისმგებელი პირისაგან, არა საკანონმდებლო აქტის პროექტში დავალიანების გასტუმრების თანხების გათვალისწინებას (საჯარო მოქმედების შესრულებას), არამედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის დავალიანების დაფარვის შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემის დავალებას, ამასთანავე, არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯე-

ლია მოსარჩელის მიერ სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის პირობების დაცვის, მოთხოვნის ტრანსფორმირების შესაძლებლობის საკითხზე. საკასაციო პალატა ვალდებულია თვლის საქმის ამ გარემოებაზე ყურადღების გამახვილებას იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელის დასაშვებობის ხარვეზის გამოსწორებისაგან განსხვავებით, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე არსებითი გადაწყვეტილებით უარის თქმა გამორიცხავს იმავე მოთხოვნით შემდგომში სასამართლო-სადმი მიმართვის შესაძლებლობას.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვის წესი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1998 წლის 1 სექტემბრამდე უნდა შეემუშავეთა და შეეთანხმებთა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან. მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნას საფუძვლად სწორედ ხსენებულ ნორმას უთითებს და სახელდობრ ამ ნორმიდან გამომდინარე სასარჩელო განცხადებით მოითხოვს სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვის წესის გამოცემას და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმების დავალებას. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე, სადავო სამართალური თიერობის აუცილებელი მონაწილე არის საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, რომლის მიმართ მოსარჩელის მოთხოვნა უკავშირდება კანონით გათვალისწინებული, დავალიანების დაფარვის წესის შემოღებისათვის სავალდებულო მოქმედების – წესის შეთანხმების მოთხოვნაში, რაც თავის მხრივ მიკუთვნებითი სარჩელის (სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე) სახეობას (სასკ-ის 24-ე მუხ.) ქმნის. ვინაიდან დავალიანების დაფარვის წესის შემოღება, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, იმპერატიულად მოითხოვს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებას, ამასთანავე, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა მოიცავს არა მხოლოდ სავალო ვალდებულების დაფარვის წესის შემუშავებას, არა მხოლოდ შესათანხმებლად წარდგენას, არამედ აგრეთვე მის შეთანხმებას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან, ცხადია, რომ ასეთი შეთანხმების დავალება ვერ დაეკისრება მხოლოდ საქმეში მოპასუხედ ჩართულ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში სამინისტრო არ არის სათანადო მოპასუხე. სსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნ-

ქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ საქმე სასამართლომ განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად. აღნიშნულის მიუხედავად, ქვედა ინსტანციების სასამართლოებს არც მოთხოვნის დაზუსტებაზე და არც ამ მოთხოვნის ნაწილში სათანადო მოპასუხის ჩართვაზე უმსჯელია.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 1.3 მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნორმატიული აქტების (გარდა კოლექტიური ორგანოს ნორმატიული აქტისა) მომზადებისა და მიღების (გამოცემის) მიმართ არ გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახეები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალის დაფარვის რეალური მექანიზმის შემუშავებისათვის მნიშვნელობა აქვს კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების მოცულობის დადგენას მიმდინარე მომენტისათვის, უკვე ჩატარებული და ჩასატარებელი ინვესტირებისა და სამუშაოების შესწავლას, დავალიანების დაფარვის წესის შემუშავება უკავშირდება აგრეთვე მნიშვნელოვანი თანხების აკუმულირებას, რთულ ფინანსურ გათვლებს და რიცხვს საკითხებს. აღნიშნულის მიუხედავად ქვედა ინსტანციების სასამართლოებს არ დაუზუსტებია თუ რა დროში ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისთვის – საქართველოს ფინანსთა მინისტრისათვის ნორმატიული აქტის გამოცემის დავალებას. იმის გათვალისწინებით, რომ დავალიანება სახელმწიფოს მიერ აღიარებულია, დარჩენილი ვალის დაფარვის ცალკეული საკითხების მომწესრიგებელი მექანიზმის შემოღების ვადა განსახილველი დავის მნიშვნელოვან ასპექტს შეადგენს.

კასატორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მკაფიოდ და სრულად ვერ იქნა განმარტებული თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებულ მოქალაქეებსა და საქართველოს მთავრობის 15.11.04წ. №108 დადგენილებით შექმნილ კომისიას შორის. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ორივე ინსტანციის სასამართლომ სარჩელის და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის საფუძვლად მიუთითეს საქართველოს მთავრობის 15.11.04წ. №108 დადგენილების და ამავე დადგენილებით შექმნილი კომისიის არსებობაზე, რომელიც მუშაობს დავალიანების დაფარვის რეკომენდაციებზე. მიუხედავად ამისა კომისია, როგორც სადავო სამართალურ-

თიერთობის მონაწილე, სასამართლოების მიერ არ ყოფილა ჩართული საქმის განხილვაში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემული სარჩელი მიზნად ისახავს დავალიანების გასტუმრების ნათელი მექანიზმების შემოღებას, ვინაიდან „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ზოგადად ფორმულირებული ნორმა, საბაზისო წესების არარსებობის პირობებში, არ ქმნის დავალიანების დაფარვის ლეგიტიმურ მოლოდინს, ამასთანავე ასეთი წესის შემუშავება რთულ საფინანსო გაანგარიშებასთან არის დაკავშირებული, რომელზედაც მუშაობს კომისია (იხ.აღმ. მიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 07.02.2012წ. გადაწყვეტილება საქმეზე „ო. ლ-ა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ 419). საქართველოს მთავრობის 15.11.04წ. №108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის უფლებამოსილების ვადა, ხსენებულ დადგენილებაში მთავრობის 11.12.11წ. №463 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების თანახმად, 2014 წლის 1 იანვრამდე განისაზღვრა. საქართველოს მთავრობის 15.11.04წ. №108 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მე-2 მუხლის თანახმად, კომისია შეიმუშავებს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს და განიხილავს საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობის დადგენილება არის ნორმატიული და მამასადამე შესასრულებლად სავალდებულო სამართლებრივი აქტი. ამდენად, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი კომისია არის სადავო სამართალურ-თიერთობის მონაწილე. კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული სავალო ვალდებულების დაფარვის მექანიზმის შესახებ ნორმატიული აქტით მოსაწესრიგებელი საკითხის არაორდინალობის, დავალიანების დაფარვის დიდძალი თანხების მობილიზაციის საჭიროების, საბიუჯეტო თანხების უკმარისობის, მოსაწესრიგებელი საკითხის რაციონალური ეკონომიკური მიდგომის აუცილებლობის, საბიუჯეტო კრიზისის, ეკონომიკურ-ფინანსური შესაძლებლობების, ბიუჯეტის დაბალანსების საჭიროების და რიგი სხვა საკითხების მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატა

თვლის, რომ მოთხოვნილი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემით დავალიანების დაფარვის წესის შემუშავება საჭიროებს დავალიანების დაფარვის წესთან დაკავშირებული პრობლემატიკის ზედმინევით შესწავლას, სათანადო რესურსების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავებას. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული რეგულაციის მექანიზმის შემუშავება მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა, გამართლებულია სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავების და გადამწყვეტილების მისაღებად მათი საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის მიზნით (კომისიის დებულების 2.1 მუხ.), საქართველოს მთავრობის 15.11.04წ. №108 დადგენილებით უწყებათაშორისი კომისიის შექმნა. მართალია კომისიის მიერ რეკომენდაციების შემუშავება არ აუქმებს ვალის დაფარვის მექანიზმის შემუშავების ვალდებულებას, მაგრამ დასაფარი დავალიანების მასშტაბების გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დავალიანების დაფარვის მექანიზმის რაციონალობას, გონივრულობას, დაფარვის პროცესის ორგანიზებულად წარმართვას, დაფარვის მექანიზმის ყველა პრობლემური საკითხის გათვლას და ა.შ., რაც სცილდება სასამართლო კომპეტენციის სფეროს, მით უფრო, რომ მოთხოვნა ეხება ვალდებულების დაფარვის წესის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტის გამოცემას, ხოლო სასაკ-ის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ მოთხოვნა ითვალისწინებს ინდივიდუალური და არა ნორმატიული აქტის გამოცემას. ამდენად, ვალდებულების დაფარვის რეგულაციის შექმნა ქმნის სათანადო მონესრიგების შემოღებისათვის საექსპერტო დასკვნის შემუშავების საჭიროებას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოქმედი კანონმდებლობით შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსათვის სამართლებრივი ნორმების გამოცემა, ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების უფლებამოსილების მინიჭება არის ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დელეგირებული სამართალშემოქმედების, კანონმდებლობის დეკონცენტრაციის, მისი დივერსიფიკაციის გამოვლინებაა. დელეგირებული ნორმაშემოქმედების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი აზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კანონის მოთხოვნათა დაცვით რეგულირების ამოცანების შესრუ-

ლებაში ჩართული იქნეს აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური შესაძლებლობანი და მისი სპეციალიზებული პროფესიული ცოდნა, დელეგირების არსი ადმინისტრაციული ორგანოების სპეციალური ცოდნის და კომპეტენციის გამოყენებაში მდგომარეობს, რაც დამატებით ადასტურებს განსახილველ საქმეში კომისიის ჩაბმის აუცილებლობას. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას კომისიის დროის გაყვანის მიზნით შექმნის, კომისიის უმოქმედობის შესახებ. საგულისხმოა, რომ მოსარჩელე ფინანსთა მინისტრის სახელზე წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარში თავად აყენებდა კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების მოცულობის დასადგენად სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საპარლამენტო არჩევნების ჩატარების, ახალი მთავრობის ფორმირების შემდეგ, საქართველოს მთავრობის 11.12.12 წ. №463 დადგენილებით მთავრობის 15.11.04წ. №108 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებით, კომისიის უფლებამოსილების ვადა 2014 წლის 1 იანვრამდე განისაზღვრა, ამასთანავე გაფართოვდა კომისიის შემადგენლობა, სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მუშაობაში კომისიის წევრის სტატუსით დამატებით მოწვეულ იქნენ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეები, გენერალური აუდიტორი, ქ.თბილისის მერი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი. მთავრობის 11.12.12წ. №463 დადგენილების მიღების შემდეგ, 25.12.12წ. ჩატარდა სახელმწიფო კომისიის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა დავალიანების დაფარვის საკითხი, კოოპერატიულ მშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, სახელმწიფო კომისიის დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. აღსანიშნავია, რომ კომისიის შექმნის საჭიროება იდგა დავალიანების წარმოქმნისთანავე, მთავრობის 15.11.04წ. №108 დადგენილების მიღებამდე კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების დაფარვის პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 31.03.1999წ. №221 განკარგულებით, 30.06.1999წ. №413 ბრძანებულებით შექმნილი იყო უწყებათაშორისი კომისია (კომისია გაუქმდა საქართველოს

პრეზიდენტის 26.11.04წ. №539 ბრძანებულებით). საგულისხმოა, რომ სახელდობრ საქართველოს პრეზიდენტის 30.06.1999წ. №413 ბრძანებულებით შექმნილი სახელმწიფო კომისიის 17.09.1999წ. №3 სხდომის საოქმო გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველსაყოფად იქნა მიღებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 11.10.1999წ. №226 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესი“, რომელიც ოფიციალურ გამოცემაში არ გამოქვეყნდა. ვინაიდან გამოქვეყნება არის ნორმათშემოქმედებითი პროცესის ბოლო, დამავგრძელებელი სტადია, ვალის დაფარვის წესი არ ამოქმედებულა. აღნიშნულს არ ცვლის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.04.04წ. გადაწყვეტილება, რომელმაც იმსჯელა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 11.10.1999წ. №226 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის“ ზოგიერთი დებულების კონსტიტუციურობაზე. ამასთანავე, ფინანსთა მინისტრის 11.10.1999წ. №226 ბრძანების გამოცემის მეორე დღეს უპირატესი ძალის მქონე, იერარქიულად უფრო მაღალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 12.10.1999წ. №592 ბრძანებულებით დამტკიცდა კომისიის მიერ შემუშავებული „საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო დავალიანების დაფარვის ხელშეწყობ ღონისძიებათა განხორციელების პროგრამა“, აღნიშნული ბრძანებულებით დამტკიცებული დავალიანების დაფარვის პროგრამის მიხედვით სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადა 1999-2005 წლებით იყო განსაზღვრული, პროგრამით ეკონომიკის სამინისტროს დაევალა პროგრამის რეალიზაციისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობების 2001-2005 წ.წ. ინდიკატურ გეგმებში გათვალისწინება, ფინანსთა სამინისტროს დაევალა ინდიკატური გეგმების შესაბამისად მომავალი წლების ბიუჯეტებში სახსრების გათვალისწინება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დავალიანების დასაფარავად პროგრამის რეალიზაციისათვის საჭირო სახსრების გათვალისწინება თავიანთ ბიუჯეტში. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული აღნიშნული პროგრამა, ოფიციალურ გამოცემაში გამოუქვეყნებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 11.10.99წ. №226 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მსგავსად, ითვალისწინებდა კოოპერატიული საცხოვრე-

ბელი სახლების დაყოფას ორ კატეგორიად (დამთავრებას დაქვემდებარებული და დამთავრებას დაუქვემდებარებელი), პროგრამით განისაზღვრა დამთავრებას დაუქვემდებარებელი კატეგორიის სახლების ბინათმშენებლობისათვის საკომპენსაციო თანხის ერთჯერადი გაცემა, დამთავრებას დაუქვემდებარებელი საცხოვრებელი ფართის ფასის დადგენის მეთოდი, განისაზღვრა გამოყოფილი ასიგნებების სახლების კატეგორიების მიხედვით წარმართვის, რიგითობის დადგენის, სახლების არასაცხოვრებელი ფართობების საბინაო ფონდში გადაცემის, საკომპენსაციო თანხების მიღების ნაცვლად ობიექტების პრივატიზების დროს საპრივატიზებო ობიექტების ღირებულებაში გასაცემი თანხის გათვალისწინების, ბინის სანაცვლოდ მიწის ნაკვეთების გაცემის საკითხები. საქართველოს პრეზიდენტის ხსენებული ბრძანებულებით დამტკიცდა აგრეთვე „საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო დავალიანება და მისი დაფარვის ხელშეწყობა ღონისძიებათა ეტაპობრივად გატარების შედეგად მიღებული მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები“. 12.10.99წ. №592 ბრძანებულებით დამტკიცებული პროგრამის მოქმედების პერიოდში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით შიდა ვალის ანაზღაურების მიზნით შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წლიურ კანონებში შიდა ვალის მოცულობის შესამცირებლად გათვალისწინებული იყო შესაბამისი მავალდებულებელი ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდნენ კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით ბინების წევრებისათვის სახელმწიფო ქონების და მიწის ნაკვეთების გადაცემას. საქართველოს პრეზიდენტის 12.10.99წ. №592 ბრძანებულებით დამტკიცებული პროგრამის შესასრულებლად საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 27.12.10წ. №1-3/915 ბრძანებით დამტკიცდა და 2005 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედებდა დაუმთავრებელი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებზე საკომპენსაციო თანხების მიღების ნაცვლად სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის წესის შესახებ დებულება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება უწყებათაშორის კომისიის მუშაობის შედეგიანობა, სადავო სამართალურთიერთობაში მისი მონაწილეობა, სასკ-ის მე-16 მუხლის საფუძველზე მისი განსახილველ საქმეში ჩაბმის აუცილებლობა.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის თანახმად, ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია გამოსცეს ნორ-

მატიული აქტი, საქართველოს მინისტრის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. ამასთანავე კანონქვემდებარე აქტის შინაარსი, ვალის გადახდის მექანიზმი, ვადები ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ სფეროს განეკუთვნება. მოსარჩელის მოთხოვნა ემყარება საკანონმდებლო აქტით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ 05.03.98 წ. კანონის 48.4 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებლის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსათვის ნორმატიული აქტის დელეგირების უფლება არ არის განუსაზღვრელი, დელეგირების სამართლებრივი ჩარჩოები ცვალებადია და კანონმდებლობით განისაზღვრება. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ მიღებული საკანონმდებლო აქტებით ნორმაშემოქმედების დელეგირების სამართლებრივი ჩარჩოები განისაზღვრა. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის განხილვა საჭიროებდა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების ანალიზს, საკითხთა იმ წრის დადგენას, რომელიც მხოლოდ საკანონმდებლო აქტით შეიძლება მოწესრიგდეს. სააპელაციო პალატას არ უმსჯელია ამჟამად მოქმედი საკანონმდებლო აქტებით (საბიუჯეტო კოდექსი, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონი და სხვ.) განსაზღვრული ნორმაშემოქმედების დელეგირების თემატიკის ფარგლებზე, როგორც ფინანსთა სამინისტროსათვის ვალის დაფარვის წესის გამოცემის პირობაზე, ვალის დაფარვის წესის იერარქიულად ზემდგომი ნორმატიული აქტებით მონესრიგებაზე, დაფარვის წესის მოქმედების ვადის ამოწურვის, მისი არასაკამრისი შესრულების გამო ახალი ნორმატიული აქტის გამოცემის მოთხოვნის მართლზომიერებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, იგი არ ემყარება საქმეში დაცულ მტკიცებულებებს, განჩინება გამოტანილია საპროცესო ნორმების დაუცველად, არსებობს სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გაუქმების და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების პირობა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმე სოციალურ დავათა რიგს განეკუთვნება, რაც სასკ-ის მე-9 მუხლის შესაბამისად არის კასატორის სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების საფუძველი. გარდა ამისა, სსკ-ის 46.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახ-

მად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდება მხარე, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებს შემწეობას. საქმეში დაცული დოკუმენტაციით მოსარჩელე ასეთი კატეგორიის პირებს განეკუთვნება, რის გამოც ის უნდა გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.06.2012წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამო მაღალი პირბასამტახლოს შემცირება

განჩინება

№ბს-1002-994(კ-11)

20 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოპასუხე: მ. მ-ე

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 25¹-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულება.

სარჩელის საგანი: მოპასუხისათვის ჯარიმის სახით – 16369.63 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 4910.89 ლარისა და ზიანის სახით – 8307.40 ლარის დაკისრება.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოდავე მხარეებს შორის 2006 წლის 1 თებერვალს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 10 სექტემბრის №2954 ბრძანებით მოპასუხე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო და ამისათვის მას უნდა დაეკისროს ფინანსური პასუხისმგებლობა კონტრაქტის საფუძველზე ფაქტობრივად ნამსახურევი ვადა შეადგენს 1 წელს, 6 თვესა და 21 დღეს, დარჩენილი 2 წელს, 5 თვესა და 12 დღეს, რის გამოც მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტის 7.3 „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ჯარიმა და პირგასამტეხლო ჯარიმის 30%-ის ოდენობით.

კონტრაქტის 8.2, 8.3 პუნქტების საფუძველზე მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს ზიანის საკომპენსაციო თანხა, კერძოდ, თანხა, რაც დაიხარჯა მის მომზადებაზე და რომლის ხელახლა დახარჯვა მოუწია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოპასუხის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადების იმ დონემდე მისაღწევად, მომზადების რა დონისთვისაც მას ჰქონდა მიღწეული შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნისას.

სამართლებრივი: მოსარჩელის მითითებით მოპასუხეს მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ფინანსური პასუხისმგებლობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის, 25¹-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361.2, 316.1, 317.1, 394.1, 407-ე, მუხლებისა და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების“ XVI თავის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

მოპასუხის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხე დ. კ-ემ წარმოადგინა წერილობითი შესაგებელი, სადაც სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ იგი სამხედრო სამსახურში დაავადდა და სჭირდებოდა ოპერაციული

მკურნალობა, რისი ვალდებულებაც ეკისრებოდა მოსარჩელეს, მაგრამ არ შეუსრულებია. ჯანმრთელობიდან გამომდინარე მას აღარ ეკუთვნოდა სამხედრო სამსახური, თუმცა, მოგონილი მიზეზით, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო გაათავისუფლეს.

სამართლებრივი: მოპასუხეს სამართლებრივ საფუძვლებზე არ უმსჯელია.

საქმის გარემოებები: 2006 წლის 1 თებერვალს მოდავე მხარეებს შორის გაფორმდა 4 წლიანი კონტრაქტი და მოპასუხე მ. მ-ე დაინიშნა სამხედრო საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში.

სამხედრო ნაწილის სამანდატო კომისიის 2007 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილებით აღძრულ იქნა შუამდგომლობა მეთაურთა წინაშე მ. მ-ის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 10 სექტემბრის №2954 ბრძანებით მოპასუხე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალებიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო 2007 წლის 21 აგვისტოდან.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხე მ. მ-ის მიმართ, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხე მ. მ-ეს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის – 16313, 95 ლარის გადახდა, ხოლო სარჩელი პირგასამტეხლოს – 4910,89 ლარისა და ზიანის საკომპენსაციო თანხის – 8307,40 ლარის მოპასუხეზე დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

1. 2006 წლის 1 თებერვალს მოდავე მხარეებს შორის გაფორმდა კონტრაქტი და მოპასუხე მ. მ-ე დაინიშნა სამხედრო საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში

2. მოპასუხე მეთაურის ბრძანების შეუსრულებლობის გამო, მე-2 ქვეითი ბრიგადის მეთაურის 2007 წლის 26 ივნისის ბრძანებით დასჯილ იქნა ხელფასიდან 30%-ის დაქვითვით.

3. მ. მ-ემ სამხედრო სამსახურში იმსახურა 1 წელი 6 თვე და 21 დღე. დარჩენილი ვადა შეადგენს 2 წელს, 5 თვესა და 9 დღეს.

4. დათხოვნის დროისათვის მოპასუხის ხელფასი შეადგენდა 556.79 ლარს.

5. მოპასუხეს ხელფასის სახით მიღებული აქვს 8307.4 ლარი.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები: საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სადავო გახადა ხელშეკრუ-

ლებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვანი შესრულება. მოპასუხე მხარემ მ. მ-ემ სადავო გახადა კონტრაქტის პირობების დარღვევის ფაქტი და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სამხედრო სამსახურში.

მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება – სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იგი სამხედრო სამსახურში დაავადდა, რადგან საქმეზე წარმოდგენილი სამხედრო სამსახურში კონტრაქტით მისაღები მოქალაქის სამედიცინო შემოწმების ბარათის მიხედვით, მას უკვე აღენიშნებოდა ქვედა კიდურების ვენების ვარიკოზული გაგანიერება და კომისიის საბოლოო დასკვნით ვარგისი იყო სამხედრო სამსახურისათვის უმნიშვნელო შეზღუდვებით.

სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით მოპოვებული დადგენილი ფაქტების შეფასება:

სასამართლოს თავისი ინიციატივით არ მოუპოვებია ფაქტები.

სასამართლოს დასკვნები – სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. მ-ე უმნიშვნელო შეზღუდვებით ვარგისი იყო სამხედრო სამსახურისათვის სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში, რის დამატურებლად უნდა ჩაითვალოს საქმეზე წარმოდგენილი ავადმყოფობის მოწმობა №507, რომლის მიხედვითაც, მ. მ-ე უვარგისი იყო მხოლოდ გარკვეული დანიშნულების სამხედრო ნაწილებში სამსახურისათვის.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მონესრიგების უფლებამოსილება მას კანონით მინიჭებული აქვს, მოანესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით, რა დროსაც გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2

ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯერონად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) 7.3. პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით შეწყვეტს კონტრაქტს ან შექმნის პირობებს, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს შეწყვიტოს კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს ქვემოთ მოცემული თანხები შემდეგი წესით: ა) ერთ წლამდე და 1 (ერთი) წლის სამსახურის გავლის შემდეგ სამსახურის დარჩენილი ვადის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშდება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების მოცემული დებულებები მ. მ-ისათვის ფინანსური პასუხისმგებლობის – ჯარიმის დაკისრების საფუძველია.

კონტრაქტის 7.4. პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3. და 7.4. მუხლებში აღნიშნული თანხების ამავე მუხლებით დადგენილ ვადაში (ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში) დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან ჯარიმის თანხის გადახდის ვადის დარღვევა იწვევს კონტრაქტის 7.4. მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას, ხოლო მოსარჩელე მხარეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, თუ როდის ჩაბარდა მოპასუხეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, რომლითაც მოხდა ხელშეკრულების შეწყვეტა, სახეზეა იურიდიული ფაქტის დაუდგენლობა, რაც გამორიცხავს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძვლიანობას.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს უფლება აქვს შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ჯარიმა და საურავი, წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომლის ოდენობა ჯამურად შეუსაბამოდ მაღალია და უნდა შემ-

ცირდეს, კერძოდ, მოპასუხეს უნდა დაეკისროს მხოლოდ ჯარიმის გადახდა, ხოლო კონტრაქტის 7.4. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებაზე მოსარჩელეს უნდა ეთქვას უარი.

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა მოპასუხისთვის ზიანის ანაზღაურების თაობაზეც, ვინაიდან, საქმის მასალებით დასტურდება, რომ 8307,4 ლარი არის სამინისტროს მიერ მ. მ-ისათვის ხელფასის სახით მიცემული თანხა.

სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. „სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურის მიერ განეული სამსახურისათვის ხელფასის გადახდა შეადგენს დამსაქმებლის ვალდებულებას. მ. მ-ს მიღებული აქვს იმის შესაბამისი გასამრჯელო, რა დროის განმავლობაშიც მსახურობდა. ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, საფუძველს მოკლებულია ხელფასის სახით გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნა.

აპელანტი: მ. მ-ე

მონინალმდევე მხარე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: მ. მ-ის მითითებით, სასამართლოს მიერ არ იქნა გამოკვლეული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მას სამხედრო სამსახურში მძღოლად მუშაობისას განუვითარდა ვარიკოზული დაავადება. იგი სამხედრო ნაწილიდან გაუშვეს იმისათვის, რომ ემკურნალა და გაეკეთებინა ოპერაცია საკუთარი ხარჯებით.

სამართლებრივი: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, დარღვეულია სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. თვითონ მოსარჩელის მიერ იქნა დარღვეული კონტრაქტის 5.19 პუნქტი, რაც გამოიხატა იმაში, რომ შეუსაბამო პირობებში ყოფნის გა-

მო, სამხედრო მოსამსახურე დაავადდა და იძულებული იქნა დეტოვებინა სამსახური.

აპელანტი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მონინალმდევე მხარე: მ. მ-ე

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის მითითებით, არასწორია სასამართლოს მსჯელობა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისგან ითხოვს ნამსახურობის პერიოდში მასზე გაცემული ხელფასის უკან დაბრუნებას, რადგან იგი ითხოვს არა ხელფასის უკან დაბრუნებას, არამედ იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მიადგა თავდაცვის სამინისტროს მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

აპელანტის მოსაზრებით, ასევე არასწორია სასამართლოს დასკვნა, რომ მ. მ-ს სამხედრო სამსახურში კიდევ უნდა ემსახურა 2 წელი 5 თვე და 9 დღე, ვინაიდან, 2007 წლის 21 აგვისტოდან 2010 წლის 1 თებერვლამდე (კონტრაქტის ამონურვის თარიღი) არის 896 დღე და მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სარჩელში სწორადაა დაანგარიშებული ჯარიმის თანხა.

სამართლებრივი: სასამართლომ არ იმსჯელა თავდაცვის სამინისტროს იმ პოზიციასთან დაკავშირებით, სადაც სამინისტრო მიუთითებს, რომ მოთხოვნილი თანხა არის ზიანი, რომელიც კონტრაქტის დარღვევიდან გამომდინარე, წარმოიშვა და რომლის მოთხოვნის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და კონტრაქტის 8.3 პუნქტი. სამინისტრო ითხოვს ზიანის სახით იმ თანხას, რომლის ხელახლა გადახდაც მას მოუწია ახალი სამხედრო მოსამსახურის იმ დონემდე განვრთნისათვის, რა დონეზეც იყო მოპასუხე კონტრაქტის დარღვევის დროს.

კანონისმიერი მტკიცებულებები თავისი შინაარსით უტოლდებიან საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, ხოლო თვით სამინისტრო განთავისუფლებულია ამ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენისაგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

არასწორია სასამართლოს მსჯელობა პირგასამტეხლოს თანხის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილშიც იმ საფუძველით, რომ

არ არსებობს მოპასუხე – მ. მ-ისათვის თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 10 სექტემბრის №2954 ბრძანების ჩაბარების დამადასტურებელი საბუთი. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოთხოვნა უშუალოდ გამომდინარეობს კონტრაქტის 7.3, 7.4 მუხლებიდან.

მონინალმდევის შეპასუხება:

მოტივები: ფაქტობრივი

მონინალმდევე მხარემ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ წარმოადგინა წერილობითი შეპასუხება, სადაც აღნიშნა, მ. მ-ის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარში ჩამოყალიბებული მოსაზრება სრულ შეუსაბამობაშია თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნასთან. მოცეულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს არა მისი შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის კანონიერება, არამედ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო უკვე დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმის დაკისრება. თავდაცვის მინისტრის ბრძანება აპელანტის მიერ არ გასაჩივრებულა და შევიდა კანონიერ ძალაში. შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს წარმომეშვა კანონიერი უფლება კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო მოეთხოვა საჯარიმო თანხები.

სამართლებრივი: მონინალმდევე მხარეს შეპასუხების სამართლებრივ საფუძვლებზე არ უმსჯელია.

მონინალმდევის შეპასუხება:

მოტივები: ფაქტობრივი

მონინალმდევე მხარემ მ. მ-ემ წარმოადგინა წერილობითი შეპასუხება, სადაც აღნიშნა, რომ სამხედრო სამსახურის მეთაურთან მორიგების შემდეგ დატოვა სამხედრო სამსახური. მონინალმდევის მითითებით, სასარჩელო მოთხოვნა არის ხანდაზმული, ვინაიდან 3 წელია გასული.

სამართლებრივი: მონინალმდევე მხარეს შეპასუხების სამართლებრივ საფუძვლებზე არ უმსჯელია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მ. მ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება

აპელაციის მოტივების არგაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით

სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-ნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონშებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემონშებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრებში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტ მ. მ-ის მიერ, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად იმ გარემოებაზე მითითება, რომ სასამართლოს მიერ არ იქნა გამოკვლეული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ეს უკანასკნელი დაავადდა სამხედრო სამსახურში ყოფნისას, რაც საფუძვლად დაედო მის სამხედრო სამსახურიდან წამოსვლას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატამ განმარტა, რომ განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს არა დასახელებული გარემოება, არამედ მ. მ-ისათვის ჯარიმის, პირგასამტეხლოს და ზიანის ანაზღაურების დაკისრება. ამასთან, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 10 სექტემბრის №2954 ბრძანება, რომლითაც მ. მ-ე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, არ გასაჩივრებულა ამ უკანასკნელის მიერ და დღეის მდგომარეობით არის ძალაში.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ ხაშურის რაიონულმა სასამართლომ საქმე განიხილა უხეში საპროცესო დარღვე-

ვების გარეშე, ამასთან, სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

კასატორი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მონინალმდევე მხარე: მ. მ-ე

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები:

პროცესუალური: მოსარჩელის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა შეუძლებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულება. ჯარიმა და პირგასამტეხლო ერთი და იგივე რომც იყოს, ასეთ შემთხვევაშიც კი, კანონმდებლობა არ უკრძალავს თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში ფინანსური პასუხისმგებლობა მოითხოვოს, როგორც ფიქსირებულად – ჯარიმის სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ფიქსირებული ჯარიმის თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები: (სასკ 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის წინაპირობა, 2011 წლის 3 მაისის განჩინებით დასაშვებად მიიჩნია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

მონინალმდევის შეპასუხება: მონინალმდევე მხარემ მ. მ-ემ წარმოადგინა წერილობითი შეპასუხება, სადაც აღნიშნა, რომ მ. მ-ე თავიდანვე არ უნდა მიეღოთ სამხედრო სამსახურში, რადგან ჰქონდა ვარიკოზული დაავადება, რაც ჯარში კიდევ უფ-

რო გაურთულდებოდა. მ-სთვის საერთოდ უცნობი იყო როდის შეწყვეტეს კონტრაქტი, რადგან მისთვის გათავისუფლების ბრძანება არ ჩაუბარებიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შესწავლისა და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სასამართლის ნორმები, სადავო სამართალურთიერთობას სწორად შეუფარდა სამართლის ნორმა და დავა არსებითად სწორად განწყვიტა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, შესაბამისად, სსსკ-ის 407.2. მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2006 წლის 1 თებერვალს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მ. მ-ეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულების XVI თავის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პრო-

(ცენტამდე ოდენობით).

საქართველოს თავდაცვის მინისტრის №2954 ბრძანების შე-
საბამისად, მ. მ-ე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რი-
გებიდან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონშესაბამისია
ქვემდგომი სასამართლოების სამართლებრივი დასკვნა, რომ
პირგასამტეხლოს დაკისრების ვადის ათვლა და ოდენობის და-
ანგარიშება დაკავშირებულია იმასთან თუ როდის ეცნობა ან ეც-
ნობა თუ არა სამხედრო მოსამსახურეს დათხოვნის ბრძანება,
აღნიშნული კი საქმის მასალებით დადასტურებული არ არის,
აღნიშნული სასამართლოს შეფასება საქართველოს თავდაცვის
სამინისტროს სადავოდ არ გაუხდია არცერთ სასამართლო ინ-
სტანციაში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ჯარიმის და პირგასამტეხ-
ლოს სამართლებრივი შეფასებისას ეყრდნობა საქართველოს
უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის განჩინებაში (საქ-
მეზე №ბს-1580-1509(კ-09)საქართველის თავდაცვის სამინის-
ტროს სარჩელისა გამო მოპასუხე ა. რ-ის მიმართ) ჩამოყალიბე-
ბულ განმარტებას: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 416-
ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოსი-
ლება – ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გა-
ითვალისწინონ მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი სა-
შუალებანი, მათ შორის, პირგასამტეხლო.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით დეფინირებულია პირ-
გასამტეხლოს ცნება – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული
ფულადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მოვალემ ვალდე-
ბულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო
ერთდროულად განიხილება, როგორც ვალდებულების შესრუ-
ლების უზრუნველყოფა, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი
პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად. პირგასამტეხლოს გა-
აჩნია ორმაგი მნიშვნელობა, ის წარმოადგენს არა მხოლოდ ვალ-
დებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, არა-
მედ, ასევე – ვალდებულების შეუსრულებლობის საფასურის
ოდენობის გამორკვევის (განსაზღვრის) მექანიზმს. პირგასამ-
ტეხლოს 2 ძირითადი ფუნქცია გააჩნია:

1. მოვალეს უბიძგოს ვალდებულების შესრულებისკენ, არა-
ხელსაყრელი პერსპექტივის (ჯარიმა შეუსრულებლობისათვის)
მოლოდინის გამოისობით.

ან

2. წინასწარ განსაზღვროს შეუსრულებლობით გამოწვეული

ზიანის მოცულობა.

დასაშვებია, პირგასამტეხლოში შემავალი თანხის ოდენობის გამოთვლის წესი სხვადასხვაგვარი იყოს. ხელშეკრულების ან მისი შეუსრულებელი ნაწილის თანხის პროცენტის სახით.

ტრადიციულად, პრაქტიკაში პირგასამტეხლოს მრავალსახეობიდან გამომდინარე, გამოიყენება ჯარიმა და საურავი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუკი ჯარიმასთან მიმართებით რთულია გამოიყოს რაიმე განსაკუთრებული ნიშნები, საურავის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სპეციფიკური ნიშნები თვალსაჩინოა. ისინი გამოიხატება იმაში, რომ საურავი დგინდება ვალდებულების შესრულების გადაცილების შემთხვევაში, ანუ ის მოწოდებულია უზრუნველყოს მხოლოდ ვალდებულების თავისდროული შესრულება. საურავი, როგორც წესი, გამოითვლება პროცენტებში ვადაში შეუსრულებელი ვალდებულების თანხასთან მიმართებით. საურავი წარმოადგენს განგრძობად პირგასამტეხლოს, რომელიც გადაიხდებიან ყოველი მომდევნო პერიოდის (მაგ. ყოველდღიურად) გადაცილების ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისათვის.

წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, სამხედრო მოსამსახურის მხრიდან სამსახურის დატოვების შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შეთანხმდნენ ჯარიმის სახით კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხების (სამხედრო მოსამსახურის ხელფასის) 10 დღის ვადაში ანაზღაურების თაობაზე, რაც, სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, წარმოადგენს პირგასამტეხლოს.

საკასაციო სასამართლო სარჩელის საფუძვლის – ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს ორივე სახე: ჯარიმა და მისი ვადაში გადაუხდელობისთვის – საურავი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეამციროს „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. სასამართლო მხედველობაში იღებს არამართო მის ქონებრივ, არამედ ყველა სხვა პატივსადავებ ინტერესს. სასამართლო აფასებს,

თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან.

განსახილველ შემთხვევაში, მართალია, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე – ჯარიმა, ფულად ოდენობაში დაანგარიშებულია სამხედრო მოსამსახურის დარჩენილი წლების ხელფასის ოდენობით, რაც არსებული სოციალური ფონისა და მ. მ-ის მდგომარეობის გათვალისწინებით, აშკარად შეუსაბამოა და მძიმე დღეში აგდება მხარეს. ამის მიუხედავად, ისედაც მაღალ პირგასამტეხლოზე კიდევ დაწესდა მისი ვადაში გადაუხდელობისთვის პირგასამტეხლოს მეორე სახე – საურავი – კონტრაქტის 7.3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გადასახდელი ჯარიმის – 16369,63 ლარის 30% – 4910,89 ლარი, რაც უდავოდ მძიმე სახელშეკრულებო დათქმავა და შეუსაბამოდ მაღალია მოსალოდნელი ზიანის მიმართ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს 2011 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულების XVI თავში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ თავს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4¹ პუნქტი: „სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ჯარიმა და საურავი, წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომლის ოდენობა ჯამურად შეუსაბამოდ მაღალია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაცი-

ული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.2, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შუუსაბამოდ მაღალი პირბასამტახლოს შემცირება

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ა ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№ბს-569-564(2კ-11)

17 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 4 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – ა. გ-ის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2005 წლის 30 დეკემბერს ა. გ-ესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა კონტრაქტი და ა. გ-ე კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, სამხედრო-საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში ჩაირიცხა.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 18 იანვრის №142 ბრძანებით, 2006 წლის 26 დეკემბრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, ა. გ-ე

დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ა. გ-ისათვის ჯარიმის სახით – 19764.95 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 5929.49 ლარისა და ზიანის საკომპენსაციო თანხის – 6036.46 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე ა. გ-ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით – 19764.95 ლარის და პირგასამტეხლოს სახით – 5929.49 ლარის ანაზღაურება დაეკისრა, ხოლო მოსარჩელეს უარი ეთქვა ზიანის საკომპენსაციო თანხის – 6036.46 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე; ამასთან, მოპასუხე ა. გ-ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 770.83 ლარის გადახდა დაეკისრა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს მოქალაქე ა. გ-ის შორის 2005 წლის 30 დეკემბერს დაიდო საკონტრაქტო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით „სამხედრო მოსამსახურე“ იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად იმსახუროს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებში, ხოლო თავდაცვის სამინისტრო ვალდებულებას იღებს სამხედრო მოსამსახურეს გადაუხადოს შეთანხმებული ხელფასი და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურითა და შესაბამისი პირობებით.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 21 იანვრის №85 ბრძანებით ა. გ-ე დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ... ქვეითი ბრიგადის ... ბატალიონის ... ასეულის ... ტექნომსახურების ჯგუფის ... სპეციალისტად და მიენიჭა სამხედრო ნოდება კაპრალი.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2009 წლის 12 ნოემბრის ცნობით კაპრალ ა. გ-ეს ნამსახურობის პერიოდში ხელზე ფულადი კმაყოფის სახით მიღებული აქვს 547 ლარი.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 18 იანვრის №142 ბრძანებით ა. გ-ე კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო დათხოვნილი იქნა სამხედრო სამსახურიდან 2006 წლის 26 დეკემბრიდან.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეებს შორის დადებული იყო ხელშეკრულება, რომელსაც ჰქონდა მბოჭავი ძა-

ლა და იგი უნდა შესრულებულიყო სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია კონტრაქტის პირობების დარღვევის ფაქტი, რის გამოც მოპასუხე ვალდებული იყო კონტრაქტის 7.3 მუხლით გათვალისწინებული პირობებით დაეფარა ფულადი ვალდებულება.

სასამართლოს მითითებით, ა. გ-ეს კონტრაქტის მიხედვით დარჩენილი ჰქონდა 3 წელი და 4 დღე, ანუ 36 თვე და 4 დღე, მისი ბოლო თვის ხელფასი შეადგენდა 547.00 ლარს, შესაბამისად, მას ჯარიმის სახით უნდა დაკისრებოდა 19764.95 (ცხრამეტიათას შვიდას სამოცდაოთხი ლარი და 95 თეთრი) ლარის (547X36.4) და ასევე, პირგასამტეხლო ჯარიმის სახით დაკისრებული თანხის 30%-ის ანუ 5929.49 ლარის გადახდა.

ამასთან, რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა ზიანის საკომპენსაციო თანხის დაკისრების ნაწილში, ვინაიდან მიიჩნია, რომ თავდაცვის სამინისტრო ზიანის ანაზღაურებით ითხოვდა სამხედრო მოსამსახურისთვის ხელფასის სახით გაცემული თანხის უკან დაბრუნებას, რაც სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია და მიუთითა, რომ ხელფასის მიღების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 ნაწილით.

სასამართლოს მსჯელობით, მოსარჩელის მიერ არ არის დასაბუთებული ზიანის მოთხოვნა და არ არის წარმოდგენილი აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები. ამასთან, არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მოპასუხის განვრთნაში სახელმწიფომ გახარჯა 6036.46 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარე ზიანის თანხას მიუთითებს მოპასუხეზე გაცემული ხელფასის ოდენობიდან, რაც სასამართლოს მოსაზრებით არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც სახელმწიფოზე მიყენებული ზიანი.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება სასარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე ა. გ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქ-

მის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ა. გ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლობის გამო არ გაიზიარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსაზრება, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ ა. გ-ის მომზადებაზე დახარჯული და შესაბამისად მიყენებული ზიანის თანხა 6036.46 ლარს შეადგენდა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. სასამართლოს მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელეს აწევს ზიანის არსებობის და მისი ოდენობის მტკიცების ტვირთი. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ თავდაცვის სამინისტრომ ა. გ-ის სანაცვლოდ მოამზადა სხვა მოსამსახურე, რომლის მომზადებაზე დაიხარჯა 6036.46 ლარი. საქმის მასალების მიხედვით მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მოპასუხემ გაიარა სპეციალური „სამხედრო მოსამსახურის სწავლება და მომზადება“ და მის მომზადებაზე დაიხარჯა სასარჩელო განცხადებით მოთხოვილი თანხა, წარმოდგენილი არ ყოფილა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია ზიანის ანაზღაურების საფუძვლად ხელშეკრულების 8.3 პუნქტზე მითითება. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული პუნქტით განსაზღვრულია არა ზიანის ანაზღაურების საფუძვლები, არამედ, ზიანის არსებობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, სამინისტროს მიერ აღსრულების ღონისძიებები, როგორცაა მაგალითად: სამინისტროსათვის გადასახდელი თანხის ხელფასიდან დაქვითვა, მოსამსახურის ქონებაზე გადახდევის მიქცევა და სხვა. ამრიგად, სარჩელის საფუძვლიანობის დასამტკიცებლად ხელშეკრულების აღნიშნულ პუნქტზე მითითება სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ კანონისმიერი მტკიცებულებანი უტოლდება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს და სამინისტრო გათავისუფლებულია ამ ფაქტების დამადასტურებე-

ლი მტკიცებულებების წარდგენისაგან. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი, ასევე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლი განამტკიცებს მტკიცებულებების მნიშვნელობას, რომლის წარმოდგენის ვალდებულებაც მხარეს აკისრია. სასამართლოს მსჯელობით, ვერც პირველი და ვერც სააპელაციო ინსტანციით საქმის განხილვისას, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რომ მის მიერ ზიანის სახით მოთხოვნილი თანხა – 6036.46 ლარი, გაღებული იქნა მოპასუხის მიერ ხელშეკრულების დარღვევის გამო მის სანაცვლოდ სხვა მოსამსახურის მომზადებაზე. ხელშეკრულების დადების მომენტიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე დროის შუალედში მოპასუხე ა. გ-ე ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ შრომით მოვალეობას, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კი იღებდა რა ამ შესრულებას, საპასუხოდ გასცემდა შესრულებული სამუშაოს ადეკვატურ შრომით ანაზღაურებას – ხელფასს. ხელფასი არ წარმოადგენს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით გამოწვეულ ზიანს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელფასის (შრომითი გასაძლეოს) მიყენებული ზიანის სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა არამართლზომიერია და მოქმედი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ა. გ-ის სააპელაციო პრეტენზია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არსებითად საქმის გადაწყვეტისას მოსარჩელის უფლების შეზღუდვის თაობაზე, ადვოკატის მეშვეობით დაეცვა საკუთარი ინტერესები. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მხარეს ჰქონდა გონივრული დრო იმისათვის, რომ სურვილის შემთხვევაში მიეღო მონაწილეობა სასამართლო განხილვაში როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ა. გ-ის სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოდ მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი თანდართული მასალით მოპასუხე მხარეს – ა. გ-ეს ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ 2010 წლის 18 თებერვალს გაეგზავნა, რაც კანონით დადგენილი წესით 2010 წლის 25 თებერვალს ჩაბარდა. ამასთან, ა. გ-ეს სასამართლო შეტყობინება 2010 წლის 31 მარტს 12:00 საათზე დანიშნული სასამართლო სხდომის შესახებ პირადად 2010 წლის 24 მარტს ჩაბარდა. 2010 წლის 30 მარტს ახალციხის რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ა. გ-ის ადვოკატმა – ნ. გ-ემ, რომელმაც 2010 წლის 31 მარტს დანიშ-

ნული სასამართლო სხდომის გადადება მოითხოვა იმ საფუძვლით, რომ არ იცნობდა საქმის მასალებს. 2010 წლის 31 მარტის სასამართლო სხდომაზე ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ადგილზე თათბირით გამოიტანა განჩინება, რომლის თანახმადაც ნ. გ-ის შუამდგომლობა საქმის გაჭიანურების მცდელობად მიიჩნია, არ დააკმაყოფილა და საქმე განიხილა არსებითად.

სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ სააპელაციო წესით საქმის განხილვისას 2010 წლის 26 ნოემბრის სასამართლო სხდომა სააპელაციო სასამართლოს მიერ გადადებულ იქნა ა. გ-ისა და მისი ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო, რამდენადაც სასამართლომ მიზანშეუწონლად მიიჩნია საქმის განხილვა მხარის ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დაგვიანებით გამოცხადებულ ნ. გ-ეს იმავე დღეს ხელწერილით ეცნობა შემდეგი სხდომის შესახებ. 2010 წლის 15 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა ა. გ-ის ადვოკატმა – ნ. გ-ემ მტკიცებულებათა გამოკვლევის სტადიაზე იშუამდგომლა საქმის განხილვის გადადების თაობაზე იმ მოტივით, რომ ის არ იცნობდა საქმის მასალებს, გარდა ამისა, სურდა სასამართლოსათვის წარმოედგინა არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ა. გ-ემ სამხედრო სამსახურის დროს განიცადა ზიანი. აღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რამდენადაც სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი ემსახურებოდა მხოლოდ საქმის განხილვის გაჭიანურებას.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრების ფარგლებში შემოწმების შედეგად დაასკვნა, რომ სახეზე არ იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ასევე ა. გ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად

რაიონულ სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

კასატორის – ა. გ-ის მოსაზრებით, დაირღვა სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილებისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. კასატორის მითითებით, სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად; მას კანონით დადგენილი წესით არ გაგზავნია, არ ჩაბარებია და მისთვის არც სატელეფონო შეტყობინებით უცნობებიან სასამართლო პროცესის თაობაზე.

კასატორის მითითებით, ადვოკატი – ნ. გ-ე საქმეში მონაწილეობდა რწმუნებულების გარეშე, მხოლოდ ორდერის საფუძველზე, რის გამოც იგი არ წარმოადგენდა მხარეს.

ამასთან, კასატორი უთითებს, რომ სააპელაციო სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს და დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 13 აპრილის განჩინებით ა. გ-ის საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა ხარვეზზე, ხოლო 2011 წლის 24 მაისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა. გ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 3 მაისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით ა. გ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებლად და მისი განხილვა დაინიშნა 2012 წლის 17 იანვარს მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩ-

ნევს, რომ ა. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან 2011 წლის 3 მაისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით ა. გ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინებაზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს მხოლოდ ა. გ-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის დადგენა წარმოადგენს.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორი – ა. გ-ე საკასაციო საჩივრის მოტივად უთითებს იმ გარემოებას, რომ სასამართლომ საქმე მისი მონაწილეობის გარეშე განიხილა, ხოლო ადვოკატი – ნ. გ-ე საქმეში მონაწილეობა მხოლოდ ადვოკატის ორდერის საფუძველზე და იგი მხარეს არ წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში წარმოდგენილ ადვოკატის ორდერზე, რომლის თანახმად, ნ. გ-ეს უფლება მიენიჭა წარმოედგინა და დაეცვა ა. გ-ის ინტერესები ყველა ინსტანციის სასამართლოში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ სადავოდ ქცეული საკითხის სწორად გადწყვეტისათვის მნიშვნელოვანია გაირკვეს ადვოკატის უფლებამოსილების მოცულობა (ფარგლები) იმ შემთხვევაში, როდესაც იგი საქმის განხილვაში მონაწილეობს მხოლოდ ადვოკატის ორდერის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სა მოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში მხარეების წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ ადვოკატები. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქართველოში საადვოკატო საქმიანობის განხორციელების წესსა და პირობებს განსაზღვრავს „ადვოკატთა შესახებ“ კანონი. მითითებული კანონის 1.1 მუხლის მიხედვით, საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი. ამავე კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სა-

მართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების განევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას. ხოლო აღნიშნული კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის უფლებებს, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადვოკატს უფლება აქვს წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, ადვოკატს უფლება აქვს ისარგებლოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ზემოაღნიშნული ნორმებიდან ცალსახად გამომდინარეობს ადვოკატის უფლებამოსილება, წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტის ინტერესები სასამართლოში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-19 მუხლი განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მონმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადვოკატის ორდერის ნიმუშს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

ამდენად, აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას ადვოკატი უფლებამოსილია კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს და დაიცვას როგორც მინდობილობის, ასევე ორდერის საფუძველზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში ადვოკატმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ასევე საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მონმობა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მინდობილობის გაცემის წესს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლი, ხოლო, ადვოკატის ორდერის ნი-

მუშს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო („ადვოკატთა შესახებ“ კანონის 19.3 მუხლი).

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგენილია ადვოკატთა ასოციაციის წევრის ორდერის სავალდებულო მოთხოვნები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მოთხოვნათა დაცვით შედგენილი და გაცემული ორდერი უფლებას ანიჭებს ადვოკატს წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტის ინტერესები სასამართლოში. ასეთივე უფლებამოსილებას ადვოკატს ანიჭებს ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად გაცემული და გავორმებული მინდობილობა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ ადვოკატის ორდერი, ისევე როგორც მინდობილობა, წარმოადგენს სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც უფლებას აძლევს ადვოკატს მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში ჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებებისა. მითითებული ნორმის მიხედვით, უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს მითითებული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი ადგენს იმ საპროცესო მოქმედებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შესრულების უფლებაც არ აქვს წარმომადგენელს სპეციალური მინდობილობის გარეშე. იმისდა მიუხედავად, თუ რომელი დოკუმენტის (მინდობილობის თუ ორდერის) საფუძველზე ახორციელებს ადვოკატი წარმომადგენლობას, ყველა შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში მითითებულ მოქმედებათა შესრულება მას შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც მარწმუნებ-

ლის მიერ გაცემულ მინდობილობაში სპეციალურადაა აღნიშნული ამ მოქმედებათა შესრულებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. ეს საპროცესო მოქმედებები უკავშირდება მარნმუნებლის მიერ თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვას და ამიტომ, მათ შესახებ სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული მინდობილობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ორდერის საფუძველზე ადვოკატს შეუძლია შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, რაც არ არის მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში, და რომელთა შესრულება შეუძლია თვითონ მარნმუნებელს.

განსახილველ შემთხვევაში კასატორის – ა. გ-ის მითითებით, მისთვის კანონით დადგენილი წესით არ უცნობებიათ სასამართლო პროცესის თაობაზე, სასამართლომ საქმე მისი მონაწილეობის გარეშე განიხილა და მას არ მიეცა სათანადო მტკიცებულებების წარდგენისა და საკუთარი თავის დაცვის შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი თანდართული მასალით მოპასუხეს – ა. გ-ეს ახალციხის რაიონულმა სასამართლომ რამოდენიმეჯერ გაუგზავნა საქმეში მითითებულ მისამართზე, რაც საბოლოოდ მოპასუხეს კანონით დადგენილი წესით 2010 წლის 25 თებერვალს პირადად ჩაბარდა; ასევე დადგენილია, რომ ა. გ-ეს 2010 წლის 24 მარტს პირადად ჩაბარდა სასამართლო უწყება 2010 წლის 31 მარტს 12:00 საათზე დანიშნული სასამართლო სხდომის შესახებ. 2010 წლის 30 მარტს ახალციხის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა ადვოკატმა – ნ. გ-ემ, რომელიც ადვოკატის ორდერის საფუძველზე მოპასუხეს – ა. გ-ეს წარმოდგენდა. ნ. გ-ემ 2010 წლის 31 მარტს 12:00 საათზე დანიშნული სასამართლო სხდომის გადადება მოითხოვა და განცხადებას თან დაურთო ადვოკატის ორდერი, რომელიც მას უფლებას ანიჭებდა წარმოედგინა და დაეცვა ა. გ-ის ინტერესები ყველა ინსტანციის სასამართლოში. რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს კანონით დადგენილი წესით ჩაბარებული ჰქონდა სარჩელი თანდართული მასალებით, სასამართლო სხდომის შესახებ უწყება და მას საკმარისი დრო ჰქონდა ადვოკატის ასაყვანად, თუმცა მოპასუხის მიერ საპროცესო უფლებამოსილებები არ განხორციელდა ვადაში და შუამდგომლობა მხოლოდ პროცესის გაჭიანურებას ისახავდა მიზნად, რის გამოც სასამართლომ წარდგენილი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის გამოუცხადებლობა ხელს არ შეუშლიდა საქმის გარემო-

ებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას და საქმე განიხილა არსებითად. რაიონულმა სასამართლომ 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების ასლი გაუგზავნა როგორც ნ. გ-ეს, ასევე, მოპასუხეს – ა. გ-ეს, რომელიც კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა მოპასუხის ადვოკატს, ხოლო ა. გ-ისათვის ვერ მიხერხდა გზავნილის ჩაბარება ბინაზე არყოფნის გამო.

რაც შეეხება სააპელაციო წესით საქმის განხილვას, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ნ. გ-ეს, როგორც ა. გ-ის წარმომადგენელს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი თანდართული მასალით გაეგზავნა და ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანაშემწემ 2010 წლის 25 ნოემბერს ნ. გ-ეს ტელეფონის მეშვეობით აცნობა (რაზედაც შედგა შესაბამისი აქტი) სააპელაციო სასამართლოში 2010 წლის 26 ნოემბერს 13:00 საათზე დანიშნული სასამართლო სხდომის შესახებ. 2010 წლის 26 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე არ გამოცხადდა როგორც ა. გ-ე, ასევე, მისი ადვოკატი – ნ. გ-ე, რის გამოც სააპელაციო სასამართლო საქმის განხილვა 2010 წლის 15 დეკემბერს 10:00 საათზე გადადო. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 2010 წლის 15 დეკემბერს ჩანიშნული სასამართლო სხდომის შესახებ ეცნობა ა. გ-ის ადვოკატს – ნ. გ-ეს, რომელიც გამოცხადდა კიდევაც აღნიშნულ სხდომაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სასამართლომ კანონის მოთხოვნათა დაცვით უზრუნველყო მხარის ინფორმირება საქმის განხილვასთან დაკავშირებით; სასამართლო უფლებამოსილი იყო საპროცესო მოქმედებების თაობაზე ეცნობებინა ა. გ-ის ადვოკატისათვის – ნ. გ-ისათვის და აღნიშნული მიეჩნია მხარისათვის უწყების ჩაბარებად. ამასთან, სადავო არ არის ის გარემოება, რომ სასამართლო სხდომის თაობაზე ეცნობა ა. გ-ის ადვოკატს – ნ. გ-ეს. შესაბამისად, ა. გ-ეს შესაძლებლობა ჰქონდა სურვილის შემთხვევაში სასამართლო განხილვაში მონაწილეობა მიეღო როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის მეშვეობით; ხოლო ზემოაღნიშნული საპროცესო მოქმედებები, რომელიც ა. გ-ის ადვოკატმა – ნ. გ-ემ მოპასუხის სახელით განახორციელა, საკასაციო სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის მიხედვით, არ საჭიროებდა სპეციალური მინდობილობის არსებობას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქ-

მეზე წარმოდგენილი სათანადო წესის დაცვით შედგენილი და გაცემული ადვოკატის ორდერის საფუძველზე, ადვოკატ ნ. გ-ეს სამივე ინსტანციაში აქვს მინიჭებული ა. გ-ის დაცვისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება, ხოლო აღნიშნული ორდერის ნამდვილობას კასატორი სადავოდ არ ხდის.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ უსაფუძვლოა კასატორის – ა. გ-ის მოსაზრება პროცესუალური დარღვევების გამო გასაჩივრებული განჩინების გაუქმების თაობაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინებით უცვლელად დარჩა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე ა. გ-ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით – 19764.95 ლარის და პირგასამტეხლოს სახით – 5929.49 ლარის ანაზღაურება დაეკისრა, ხოლო მოსარჩელეს უარი ეთქვა ზიანის საკომპენსაციო თანხის – 6036.46 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ა. გ-ისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინება ეწინააღმდეგება აღნიშნულ საკითხზე უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას (17.02.2011 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-1422-1385(2კ-10); 17.03.2011 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-1478-1440(2კ-10); 27.12.2011 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-1258-1244(კ-11)).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2005 წლის 30 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ა. გ-ის შორის 4 წლის ვადით დაიდო ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 18 იანვრის №142 ბრძანების საფუძველზე, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, 2006 წლის 26 დეკემბრიდან ა. გ-ე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან. სამხედრო ნაწილი №05750-ის მეთაურისა და ფინანსისტის მიერ გაცემული ცნობის თანახ-

მად, ა. გ-ე შრომის ანაზღაურებით ხელფასის სახით 2006 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით დაკმაყოფილებულია – 5336.32 ლარით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2009 წლის 12 ნოემბრის №9/5187 მიმართვის თანახმად, საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურის სასურსათო ულუფის საკომპენსაციო თანხა შეადგენდა 59 ლარს, იმ შემთხვევაში, თუ იგი არ იმყოფებოდა საქვაბე კმაყოფაზე, ხოლო №1 დანართის თანახმად, საშტატო კატეგორიის მიხედვით დარიცხული ერთი თვის ფულადი სარგო კაპრალი ა. გ-ისათვის 547 ლარს შეადგენდა.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2005 წლის 30 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ა. გ-ეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0.2% ოდენობით. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვს პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის, არამედ, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულების XVI თავის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციული ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლებაა – არ არსებობს პირგასამ-

ტეხლო ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო ძირითადი უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების უდავო საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ ცნობს.

საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით რეგლამენტირებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს (ჯარიმის) სახით – 19764.95 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დამატებით 5929.49 ლარი უკვე პირგასამტეხლოს ოდენობის აშკარა შეუსაბამობას ადასტურებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისუფალი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვისა და ეკონომიკური თავისუფლების, როგორც კონსტიტუციური პრინციპის, უზრუნველყოფარეალიზების ინტერესები მოითხოვს პირგასამტეხლოს განაკვეთისა და ფაქტობრივი ოდენობის თანაზომიერებასა და მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულ შესაბამისობას ძირითადი სახელშეკრულებო დავალიანების თანხასთან მიმართებაში. მართალია, შეთანხმებული პირგასამტეხლო შესაძლებელია აღემატებოდეს მოსალოდნელ ზიანს, მაგრამ არ უნდა დაირღვეს ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის პრინციპები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს 2011 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულების XVI თავში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ თავს დამატება შემდეგი შინაარსის მე-4¹ პუნქტი: „სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება განთავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან“.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს პირგასამტეხლოს თანხა გონივრულ ფარგლებში, სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, კერძოდ, პირგასამტეხლოს თანხის – 5929.49 ლარის დაკისრების ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინება ა. გ-ისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით 5929.49 ლარის დაკისრების თაობაზე ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით – 5929.49 ლარის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა, რაც სოციალურ დავათა კატეგორიას მიეკუთვნება. ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები განთავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა განსახილველ საქმეზე არასწორად გადაწყვიტეს ბაჟის საკითხი და ა. გ-ეს უსაფუძვლოდ, კანონის მოთხოვნათა დარღვევით დააკისრეს სახელმწიფო ბაჟი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება ა. გ-ისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 770.83 ლარის დაკისრების ნაწილში; ამასთან, ნ. გ-ეს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ ა. გ-ის სააპელაციო საჩივარზე 2010 წლის 13 სექტემბერს (საგადასახადო დავალება №3932705) გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 150 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა:

1. ა. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინება ა. გ-ისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ პირგამტეხლოს სახით – 5929.49 ლარის დაკისრების თაობაზე ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ა. გ-ისათვის პირგამტეხლოს სახით – 5929.49 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

4. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება ა. გ-ისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 770.83 ლარის დაკისრების ნაწილში;

5. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;

6. ნ. გ-ეს დაუბრუნდეს მის მიერ ა. გ-ის სააპელაციო საჩივარზე 2010 წლის 13 სექტემბერს (საგადახდო დავალება №3932705) გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 150 ლარი;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირბასამტახლოს შემცირება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1663-1635(კ-11)

26 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე
პ. სილაგაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 12 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – ა. ა-ის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2006 წლის 30 ოქტომბერს ა. ა-სა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა კონტრაქტი და ა. ა-ე კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, ჩაირიცხა საკონტრაქტო-პროფესიულ-სამხედრო სამსახურში.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №5376 ბრძანებით, 2008 წლის 6 სექტემბრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, ა. ა-ე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტის) სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 21 307,85 ლარის, პირგასამტახლოს სახით – 6392,36 ლარის, ზიანის საკომპენსაციო თანხის სახით – 11 395,90 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის სახით – 389,76 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ა. ა-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 21 307,85 ლარის, პირგასამტახლოს სახით – 6392,36 ლარის, ზიანის საკომპენსაციო თანხის სახით – 456,55 ლარის და სანივთე ქონების ღირებულების კომპენსაციის სახით – 389 ლარის ანაზღაურება დაეკისრა;

სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამხედრო სამსახური წარმოადგენდა სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავდა საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ამასთან „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები, განისაზღვრებოდა სახელმწიფო შეიარაღებული დაცვისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებით, რაც დაკავშირებული იყო დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს, ან შექმნიდა პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გამხდარიყო შეენყვიტა 4 წლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, სამინისტროსათვის ჯარიმის სახით აენაზღაურებინა მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები შემდეგი წესით: ერთ წლამდე და ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, სამსახურის დარჩენილი ვადის სახით, საშუალოდ 14 000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნებოდა ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად; ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ მომდევნო ორი წლის ხელფასის სახით საშუალოდ 10 000 ლარის ოდენობით, ხოლო სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების“ XVI თავის (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურის გასაველად გაფორმებული კონტრაქტის ვადაზე შეწყვეტის შემთხვევაში, კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების, ფინანსური პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების, მისი გადავადების ან შემცირების საფუძვლები და

ნესი) მეორე პუნქტის მიხედვით, თუ საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასაველელად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის მიზეზით, სამხედრო მოსამსახურეს წარმოექმნებოდა ფინანსური პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდებოდა გადაუხდელი ჯარისმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარისმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, არამედ საქართველოს პრეზიდენტის დასახელებული ბრძანებულებით შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში, კერძოდ, ჯარისმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენდა და მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ამ კოდექსის ნორმები და ხელშეკრულების შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები გამოიყენებოდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ითხოვდა ზიანის სახით მოპასუხისათვის 11 395,90 ლარის დაკისრებას, რაც ფაქტობრივად წარმოადგენდა არა ზიანის ანაზღაურებას, არამედ უკვე გადახდილი ხელფასის უკან დაბრუნებას.

საქალაქო სასამართლომ განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ იყო დადგენილი. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ შრომის ანაზღაურების ნაწილში სამხედრო მოსამსახურეებზე უნდა გავრცელებულიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები. აღნიშნული კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი იყო, რომ მოსამსახურეს უფლება ჰქონდა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომელიც მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათ-

ვალისწინებულ დანამატებს, დანამატების გაცემა უნდა განხორციელებულიყო მხარჯავი დანესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტით (ძველი რედაქციის) დადგენილი იყო, რომ სამხედრო მოსამსახურეს (სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის გარდა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

საქალაქო სასამართლომ განმარტებით, ხელშეკრულების დადების მომენტიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე დროის შუალედში მოპასუხე ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ შრომით მოვალეობას, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იღებდა ამ შესრულებას და საპასუხოდ გასცემდა შესრულებული სამუშაოს ადეკვატურ შრომით ანაზღაურებას – ხელფასს, რითაც „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით ნაკისრ ვალდებულებას ახორციელებდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სა-მოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი იყო, რომ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი იყო მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშვებოდა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების დადებისას მხარეები არ შეთანხმებულან გადახდილი ხელფასის გამო განეული ხარჯის ანაზღაურების, ანუ ხელფასის უკან დაბრუნების ვალდებულებაზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ იყო უფლებამოსილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ისეთი ვალდებულების შესრულება მოეთხოვა, რაც არ ყოფილა შეთანხმებული ხელშეკრულებით.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარე ფაქტიურად ითხოვდა არა ზიანის ანაზღაურებას, არამედ უკვე გადახდილი ხელფასის თანხის უკან დაბრუნებას. საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმა მოსარჩელის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ კონტრაქტის მოქმედების პერიოდში მოპასუხის სასარგებლოდ გადახდილი ხელ-

ფასი ზიანს წარმოადგენდა.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით დასტურდებოდა ა. ა-ის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისა და აღნიშნულის შედეგად, მისი მხრიდან ჯარიმის, პირგასამტეხლოს, სანივთე ქონების კომპენსაციისა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობის ფაქტი, რაც სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ა-მ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომაც, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება ა. ა-ისათვის კვებაზე დახარჯული 276,49 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. ა-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ კვებაზე დახარჯული თანხის – 276,49 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; დანარჩენ ნაწილში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კვებაზე დახარჯული თანხის დაბრუნების ვალდებულება სამხედრო მოსამსახურეს კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო ეკისრებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ა-მ, რომელმაც გასაჩივ-

რებულ ნაწილში გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის – ა. ა-ის განმარტებით, მას კონტრაქტის პირობები არ დაურღვევია, ვინაიდან, მისი განთავისუფლების მიზეზი იყო მამის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. ამდენად, არ არსებობდა მისთვის ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული საჯარიმო თანხების დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 6 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა. ა-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 იანვრის განჩინებით, ა. ა-ის საკასაციო საჩივარი მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 21 307.85 ლარის, ზიანის საკომპენსაციო თანხის სახით – 456.55 ლარის, სანივთე ქონების ღირებულების საკომპენსაციო თანხის სახით – 389 ლარისა და კვებაზე დახარჯული თანხის სახით – 276.49 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად; აღნიშნულ ნაწილში უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 სექტემბრის გადანყვეტილება; ა. ა-ის საკასაციო საჩივარი მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, პირგასამტეხლოს სახით – 6392.36 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა ჩაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ა-ის საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 იანვრის განჩინებით ა. ა-ის საკასაციო საჩივარი მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით – 21 307.85 ლარის, ზიანის საკომპენ-

საციო თანხის სახით – 456.55 ლარის, სანივთე ქონების ღირებულების საკომპენსაციო თანხის სახით – 389 ლარისა და კვებაზე დახარჯული თანხის სახით – 276.49 ლარის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე მისთვის პირგასამტეხლოს სახით 6392,36 ლარის დაკისრების თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს მხოლოდ მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს თანხის – 6392,36 ლარის დაკისრების საფუძვლიანობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2006 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ა. ა-ს შორის 4 წლის ვადით გაფორმდა ხელშეკრულება. 2008 წლის 21 ნოემბრის №5376 ბრძანების საფუძველზე, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად 2008 წლის 6 სექტემბრიდან ა. ა-ე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის – ა. ა-ის მსჯელობას, გასაჩივრებული გადაწყვეტილების პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში გაუქმების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2006 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ა. ა-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0.2% ოდენობით. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულების XVI თავის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ჯარიმის საერთო რა-

ოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციული ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლებაა – არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო ძირითადი უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების უდავო საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე, როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ იცნობს.

საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით რეგლამენტირებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლოს (ჯარიმის) სახით – 21 307,85 ლარის ოდენობით. საკასაციო

სასამართლო მიიჩნევს, რომ დამატებით 6392,36 ლარი უკვე პირგასამტეხლოს პირგასამტეხლოა, რასაც ასევე არ ცნობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისუფალი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვისა და ეკონომიკური თავისუფლების, როგორც კონსტიტუციური პრინციპის, უზრუნველყოფა-რეალიზების ინტერესები მოითხოვს პირგასამტეხლოს განაკვეთისა და ფაქტობრივი ოდენობის თანაზომიერებასა და მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულ შესაბამისობას ძირითადი სახელშეკრულებო დავალიანების თანხასთან მიმართებაში. მართალია, შეთანხმებული პირგასამტეხლო შესაძლებელია აღემატებოდეს მოსალოდნელ ზიანს, მაგრამ არ უნდა დაირღვეს ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის პრინციპები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს 2011 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულების XVI თავში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ თავს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4¹ პუნქტი: „სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება განთავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან“.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ერთობლივად ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს იგი გონივრულ ფარგლებში, კერძოდ, პირგასამტეხლოს თანხის – 6392,36 ლარის დაკისრების ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ა-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება ა. ა-ისათვის პირგასამტეხლოს სახით 6392,36 ლარის დაკისრების თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით – 6392,36 ლარის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ა. ა-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ – პირგასამტეხლოს თანხის 6392,36 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება ა. ა-ისათვის პირგასამტეხლოს სახით 6392,36 ლარის დაკისრების თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით – 6392,36 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-175-173(კ-12)

11 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: პირგასამტეხლოს ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 11.07.11წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ი. შ-ის მიმართ, რომლითაც მოპასუხისათვის ჯარიმის სახით – 33263,9 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 997,17 ლარის, ზიანის საკომპენსაციო თანხის – 7365,48 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის სახით – 348,15 ლარის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხისათვის ჯარიმის სახით – 38942,17 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 11682,65 ლარის, ზიანის საკომპენსაციო თანხის – 7448,28 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის სახით – 348,15 ლარის დაკისრება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.10.11წ. გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე ი. შ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის სახით – 38942,17 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 11682,65 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის სახით – 348,15 ლარის ანაზღაურება, ხოლო ზიანის საკომპენსაციო თანხის – 7448,28 ლარის ანაზღაურებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი უსაფუძვლობის გამო, მოპასუხე ი. შ-ს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 1529 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. შ-მა და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.12.11წ. გადაწყვეტილებით საქართველოს

თავდაცვის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ი. შ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 06.10.11წ. გადაწყვეტილება ი. შ-ისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო. ასეთი გასამრჯელოს სახით ი. შ-ს მიღებული ჰქონდა 7448,28 ლარი. სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, ნამსახურობის პერიოდში მიღებული შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელი იყო. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის ხელფასის თანხის – 7448,28 ლარის დაკისრების ნაწილში უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ი. შ-ს შორის 01.10.07წ. დადებული ხელშეკრულების 7.4 პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3 და 7.4 პუნქტებით განსაზღვრული თანხების დადგენილ ვადაში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. საქართველოს პრეზიდენტის 26.10.98წ. №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების“ XVI თავის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასაწვლად გაფორმებული კონტრაქტის ვადადღე შეწყვეტის მიზეზით, სამხედრო მოსამსახურეს წარმოექმნა ფინანსური პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე, ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდება გადაუხდელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ი. შ-ის მიერ, რომელმაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების თავდაცვის სამინისტროს სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმება და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა იყო არაგონივრული და სასამართლოს შეეძლო შეემცირებინა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. ამასთან, ი. შ-ს სახელშეკრულებო პირობები ბრალეულად არ დაურღვევია, მან ოჯახური პირობების გამო მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლება და არ არსებობდა მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.04.12წ. განჩინებით ი. შ-ის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი პირგასამტეხლოს სახით – 11682,65 ლარის დაკისრების ნაწილში, ხოლო ჯარიმისა და სანივთე ქონების ანაზღაურების დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ი. შ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს ი. შ-ისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურების დაკისრების საფუძვლიანობის შემოწმება.

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ი. შ-ს შორის 01.10.07წ. დადებული ხელშეკრულების 7.3 პუნქტი განსაზღვრავდა ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებსა და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს ან შექმნიდა პირობებს იმისთვის, რომ სამინისტრო იძულებული გამხდარიყო შეენწყვიტა 4-წლიანი კონტრაქტი. ასეთ შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10

დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აენაზლაურე-ბინა მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხა, ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

ამავე ხელშეკრულების 7.4 პუნქტის შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზლაურე ბინა ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0.2% ოდენობით. საქართველოს პრეზიდენტის 26.10.98წ. №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულები“ XVI თავის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასაველად გაფორმებული კონტრაქტის ვადად შეწყვეტის მიზეზით სამხედრო მოსამსახურეს წარმოექმნა ფინანსური პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე, ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდება გადაუხდელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე. სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციის ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზლაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლებაა – არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო ძირითადი უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე, ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიების სახით საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ იცნობს. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 7.3 პუნქტით გათვალისწინებული ჯა-

რიმა, ფაქტობრივად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით განსაზღვრულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

ამასთანავე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 26.10.98წ. №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულებების“ XVI თავის 4¹ პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურისთვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში მხარეთა თავისუფლების მიუხედავად, სასამართლოს საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეუძლია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია უზრუნველყოფის საშუალება ჯარიმის (პირგასამტეხლოს) სახით – 38942,17 ლარის ოდენობით. ასეთ პირობებში პირგასამტეხლოს სახით – 11682,65 ლარის დამატებით დაკისრება ადასტურებს პირგასამტეხლოს ოდენობის აშკარა შეუსაბამობას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დავის სამართლიანი გადაწყვეტის, ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის ინტერესი მოითხოვს პირგასამტეხლოს განაკვეთისა და ფაქტობრივი ოდენობის თანაზომიერებასა და მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულ შესაბამისობას ძირითადი სახელშეკრულებო დავალიანების თანხასთან მიმართებაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს პირგასამტეხლოს თანხა 11682,65 ლარის ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. შ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება 11682,65 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ი. შ-ისთვის პირგასამტეხლოს – 11682,65 ლარის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-9 მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ი. შ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.12.11წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.10.11წ. გადაწყვეტილება ი. შ-ისათვის პირგასამტეხლოს – 11682,65 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ი. შ-ისათვის 11682,65 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

ზიანის ანაზღაურების სანდაგმულობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-494-488(2კ-12)

25 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

24.11.11 წ. ი. გ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ც. ზ-ისა და მ. გ-ის მიმართ და მოითხოვა: სპეციალური სამედიცინო მომვლელის ხარჯის – თვეში 1180 ლარის, ყოველთვიური სარჩოს სახით 800 ლარის, მომავალში გასანევი სარეაბილიტაციო ხარჯის, მოსარჩელის დასახიჩრებასთან დაკავშირებული მომავალში მოსალოდნელი ოპერაციების ხარჯების, ადვოკატის მომსახურებისთვის განეული ხარჯის – 500 ლარის და არაქონებრივი ზიანის სახით 300 000 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ სწავლობდა ... საშუალო სკოლაში. 24.05.1996 წ. სკოლის დამთავრებისას, ე.წ. „ბოლო ზარზე“, სკოლის მასწავლებლებმა – გ. გ-მა და ც. ზ-მა გადაწყვიტეს მოსარჩელისა და მისი კლასელების წაყვანა გარდაცვლილი კლასელის სასაფლაოზე. გზაში მასწავლებლებმა გააჩერეს სატვირთო ავტომანქანა (სახ. ნომ. – ...) და მოსწავლეები, მათ შორის – მოსარჩელე, დასვეს ავტომანქანის ძარაზე. ავტომანქანის მძღოლი – რ. ტ-ი ალკოჰოლური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მართავდა ავტომანქანას. მან დაარღვია საგზაო მოძრაობის წესი, რა დროსაც ავტომანქანა გადაბრუნდა, ხოლო მოსარჩელე მოყვა ავტომანქანის ძარის ქვეშ, რის შედეგადაც მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება – ზურგის ტვინის დაუქვილობა, წელის

მე-3 მალის კომპრესიული მოტეხილობა. ავარიის გამო მოსარჩელე გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი. ავარიის შემდგომ, მოსარჩელეს სისტემატურად უტარდება სხვადასხვა სახის ოპერაციები და მკურნალობა საქართველოში და საზღვარგარეთ. ამჟამად მოსარჩელეს ესაჭიროება სტაციონარული და მედიკამენტოზური მკურნალობა, სამკურნალო ვარჯიშები, რიტმული მასაჟი, ზეთის დისპერსიული აბაზანები, სამკურნალო ფიზიკულტურა, შარდის ბუშტის დრენირება, პროფილაქტიკური ღონისძიებები, მოსარჩელეს ასევე ესაჭიროება სპეციალური სამედიცინო მომვლელი. ი.გ-ის განმარტებით, მისთვის ჯანმრთელობის მოშლა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მუშაკებმა – გ. გ-მა და ც. ზ-მა თავიანთი უფლებამოსილების გადამეტებით წაიყვანეს მოსწავლეები, მათ შორის – მოსარჩელე, სასაფლაოზე, ამასთან, ავტომობილი არ იყო მგზავრთა გადაყვანისთვის განკუთვნილი.

26.11.2012 წ. განცხადებით მოსარჩელემ იშუამდგომლა მოპასუხეთა სიიდან ც.ზ-ისა და მ.გ-ის ამორიცხვის შესახებ იმ საფუძვლით, რომ ისინი არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლები, შესაბამისად, პასუხისმგებლობაც სწორედ ამ უკანასკნელს უნდა დაეკისროს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.01.2012 წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ი.გ-ს ხანდაზმულობის მოტივით უარი ეთქვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის მის სასარგებლოდ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებაზე, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. გ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.04.2012წ. გადაწყვეტილებით ი. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ი.გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 25 000 ლარის გადახდა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ 24.05.1996 წ. სკოლის დამთავრებისას, ე.წ. „ბოლო ზარზე“, №... საშუალო სკოლის მასწავლებლები – გ. გ-ი და ც. ზ-ი მოსარჩელე ი. გ-თან და მის თანაკლასელებთან ერთად გაემგზავრნენ გარდაცვლილი კლასელის სასაფლაოზე, რა დროსაც ავტოსაგზაო შემთხვევის

გამო მძიმედ დაშავდა ი. გ-ი, რომელიც მძიმე ტრავმების შედეგად გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი. მომხდარი ფაქტის გამო, პედაგოგებს დაედოთ დისციპლინური სახდევები. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ ზიანი სახეზეა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში დასაქმებული პედაგოგების ბრალეულ ქმედებას და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ი.გ-ის არგუმენტები ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნის საფუძვლიანობის თაობაზე და დაეყრდნო რა სკ-ის 1008-ე მუხლს, აღნიშნა, რომ ი. გ-ისათვის ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის არსებობა იმთავითვე ცნობილი იყო, თუმცა მან სარჩელი ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლოში სამწლიანი რეგლამენტირებული ვადის დარღვევით აღძრა, შესაბამისად, სარჩელი ამ მოთხოვნის ნაწილში ხანდაზმულად იქნა მიჩნეული.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მორალური ზიანის მიყენება არ უკავშირდება უშუალოდ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების მომენტს, მორალური ზიანი შესაძლოა მოგვიანებით, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით დადგეს. პალატამ მიუთითა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება სასამართლოს მიერ ფულადი ფორმით განისაზღვრება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად. მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების მოცულობა დგინდება როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მოპასუხეს არ ჰქონდა მოსარჩელის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების განზრახვა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახეზეა გაუფრთხილებელი ბრალი. ამასთანავე, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მოსარჩელის მოთხოვნის პროპორციულად, უნდა დაეკისროს ი. გ-ის სასარგებლოდ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 25000 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 24.04.2012 წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ი.გ-მა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

კასატორმა ი.გ-მა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოთვალა ასანაზღაურებელი მორალური ზიანის ოდენობა. აღნიშნული ანაზღაურება ი.გ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, კასატორის თქმით, არ წარმოადგენს გონივრულსა და სამართლიანს. კასატორმა აღნიშნა, რომ მასწავლებლებმა გადააჭარბეს მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას და მგზავრების გადაყვანისთვის უვარგის ავტომანქანაში ჩასვეს მოსწავლეები გარდაცვლილი კლასელის სასაფლაოზე წასაყვანად, რითაც, ფაქტობრივად, გამოიწვიეს ი.გ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი დაზიანება. კასატორი მიიჩნევს, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მისი სასარჩელო მოთხოვნა არ არის ხანდაზმული, რადგან ზიანის მიყენების ფაქტიდან – 1996 წლიდან ი.გ-ს ყოველწლიურად უტარდება ოპერაციები, შესაბამისად, მის მიმართ მიყენებული ზიანი ატარებს განგრძობად ხასიათს. ამასთან, ავარიისას ი.გ-ი იყო არასრულწლოვანი, ხოლო სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ მას ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო არ ჰქონდა შესაძლებლობა უფრო ადრე აღედრა სარჩელი, ხოლო კანონიერი წარმომადგენელი 2011 წლის დეკემბრამდე არ ჰყავდა. კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა განეული საადვოკატო ხარჯის ანაზღაურების შესახებ. ი.გ-ი არ იზიარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ პედაგოგთა ქმედებებისთვის სამინისტრო არ არის პასუხისმგებელი და აღნიშნავს, რომ 1996 წ. სკოლაც და მასწავლებლებიც, რომლებმაც თავიანთ უფლებამოსილებას გადააჭარბეს, იმყოფებოდნენ სამინისტროს დაქვემდებარებაში, სკოლა არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, შესაბამისად პედაგოგთა ქმედებით მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელი იყო სამინისტრო.

კასატორმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აღნიშნა, რომ ი.გ-ის მიმართ მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანის დადგომა გამოიწვია არა პედაგოგების, არამედ რ.ტ-ის დანაშაულებრივმა ქმედებამ, რომელსაც წინ უძღვოდა გ.გ-ისა და ც.ზ-ის, როგორც ფიზიკური პირების და არა როგორც პედაგოგების გადაწყვეტილება. სამინისტროს მითითებით, სკოლის გარეთ გასვლა „ბოლო ზარის“ გეგმაში არ იყო შეტანილი, იგი არც საგაკვეთილო პროცესს წარმოადგენდა და არც დამატებით ინდივიდუალურ მუშაობას, ამდენად, პედაგოგების მიერ სკოლის გარეთ მიღებულ გადაწყვეტილებაზე და

განხორციელებულ ქმედებებზე სამინისტროსთვის პასუხისმგებლობის დაკისრება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ მართალია სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არასწორად მოახდინა მათი შეჯამება და არასწორად გააიგივა პედაგოგების მიერ განხორციელებული ქმედება სამინისტროს ქმედებასთან. კასატორის მითითებით, მოსწავლეთა სკოლის გარეთ გაყვანა არ იყო გათვალისწინებული ე.წ. „ბოლო ზარის“ გეგმით, ამდენად, პედაგოგები მოქმედებდნენ უფლებამოსილების გადაჭარბებით.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში გამართულ სასამართლო სხდომაზე კასატორ ი. გ-ის წარმომადგენელმა თ.ყ-მა დააზუსტა მოთხოვნა და აღნიშნა, რომ ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.04.2012წ. გადაწყვეტილების გაუქმებას და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებას, კერძოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის სპეციალური სამედიცინო მომვლელის ხარჯის – თვეში 1180 ლარის, ყოველთვიური სარჩოს სახით 800 ლარის, მომავალში გასაწევი სარეაბილიტაციო ხარჯის, მოსარჩელის დასახიჩრებასთან დაკავშირებული მომავალში მოსალოდნელი ოპერაციების ხარჯების დაკისრება და მორალური ზიანის სახით 300 000 ლარის ანაზღაურება.

კასატორმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოითხოვა ი.გ-ის სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ ი.გ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილია და დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ 24.05.1996წ. სკოლის დამთავრებისას, ე.წ. „ბოლო ზარზე“, მასწავლებლებმა – მ. გ-მა და ც. ზ-მა წაიყვანეს მოსარჩელე და მისი კლასელები გარდაცვლილი კლასელის სასაფლაოზე. გზაში მასწავლებლებმა გააჩერეს სატვირთო ავტომანქანა (სახ. ნომ. – ...), პედაგოგები გაესაუბ-

რენ ალკოჰოლური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფ მძღოლს და მოსწავლეები, მათ შორის – მოსარჩელე, დასვეს ავტომანქანის ძარაზე. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული 25.09.1996 წ. განაჩენით დადგენილია, რომ ავტომანქანის მძღოლი – რ. ტ-ი ალკოჰოლური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მართავდა ავტომანქანას, მან დაარღვია საგზაო მოძრაობის წესი, რის შედეგადაც ავტომანქანა გადაბრუნდა, ხოლო მოსარჩელე მოყვა ავტომანქანის ძარის ქვეშ. აღნიშნულის შედეგად მოსარჩელემ მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება და გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი. საქმეში დაცული მტკიცებულებებით ასევე დგინდება, რომ პედაგოგებს მ. გ-სა და ც. ზ-ს აღნიშნული ფაქტის გამო დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა, კერძოდ, გამოუცხადდათ საყვედური. საქმის მასალებში დაცული განათლების ახალგორის რაიონული განყოფილების გამგის ნ. პ-ის მიმართვის მიხედვით ირკვევა, რომ 1996 წლის კურსდამთავრებულთა „ბოლო ზარის“ ზეიმის გეგმაში შეტანილი არ იყო სკოლის გარეთ გასვლა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (სსკ-ის 407.2 მუხ.). კასატორის – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სადავოდ არ გამხდარა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი არც ერთი ფაქტობრივი გარემოება და მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებანი. საკასაციო სასამართლოში კანონით განსაზღვრულ საპრეტენზიო ვადაში წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არასწორად მოახდინა მათი შეფასება – არასწორად გააიგივა მ. გ-ისა და ც. ზ-ის ქმედებები სამინისტროს ქმედებებთან, რადგან პედაგოგები მოქმედებდნენ უფლებამოსილების გადამეტებით, როგორც ფიზიკური პირები, ამასთან არ იკვეთება პედაგოგთა ბრალი ზიანის დადგომაში და ვერ დასტურდება პედაგოგების ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველი კი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით გამოწვეული ზიანის არსებობაა. საკასაციო პალატა არ იზიარებს სამინისტროს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მ. გ-ი და ც. ზ-ი, აჭარბებდნენ რა თავიანთ უფლებამოსილებას, მოქმედებდნენ არა როგორც სამინისტროს სისტემის დასაქმებული პირები, არამედ როგორც ფიზი-

კური პირები. პალატა აღნიშნავს, რომ სამსახურეობრივი მოვალეობების განხორციელების შედეგად დამდგარ ზიანად მიიჩნევა ისეთი ზიანი, რომელიც დადგა პირის მიერ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებისას ან სამსახურეობრივი უფლებამოსილებების გადამეტების შემთხვევაში. როგორც წესი სწორედ უფლებამოსილების გადამეტებისას ხდება ორგანოს თანამშრომლების მიერ ზიანის მიყენება, მათ მიერ კანონის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები იშვიათად წარმოადგენენ ზიანის წარმომშობ ქმედებებს. უფლებამოსილების გადამეტება, გაუფრთხილებლობა ადასტურებს სამსახურეობრივი მოვალეობის დარღვევას და არა იმას, რომ მუშაკი კერძო პირის სახით მოქმედებს. სამინისტრო თავისი საქმიანობის მიზნებს აღწევს მისი სისტემის თანამშრომლების საქმიანობის მეშვეობით, რომელთა მოქმედება სამინისტროს მოქმედებად ითვლება. პედაგოგების ქმედება დაკავშირებული იყო სასწავლო პროცესის დასრულებასთან, სკოლის დამამთავრებელი კლასის მონაფეების სკოლის ტერიტორიის გარეთ პედაგოგებთან ერთად გასვლა თავისთავად გულისხმობდა ამ უკანასკნელთა ვალდებულებას გამოეჩინათ წინდახედულება, სიფრთხილე, ეზრუნათ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. სწორედ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პედაგოგებს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა. პედაგოგების ქმედება არის სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას განხორციელებული მიუხედავად იმისა, რომ ზიანი დადგა სკოლის ტერიტორიის გარეთ, შესაბამისად არსებობს სამინისტროს სკ-ის 997-ე, 1005.1 მუხლებით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების საფუძველი. პედაგოგების მიერ საკუთარი უფლებამოსილებების გადაჭარბებით განხორციელებული ქმედებები სააპელაციო სასამართლომ მართებულად გააიგივა სამინისტროს ქმედებებთან, რადგან პედაგოგები სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ პირებს წარმოადგენენ, სკოლა, სადაც დასაქმებული იყვნენ პედაგოგები, იყო სამინისტროს დაქვემდებარებაში ფუნქციონირებადი განათლების დაწესებულება. ამდენად, სწორედ სამინისტრო წარმოადგენს პედაგოგთა მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების შესრულებისას განხორციელებული ქმედებებით გამოწვეულ ზიანზე პასუხისმგებელი სუბიექტი.

სამინისტრო საკასაციო საჩივარში ასევე უთითებს, რომ პედაგოგთა ბრალეულობა მოცემული ზიანის დადგომაში არ დასტურდება, რადგან 25.09.1996წ. განაჩენით არ არის დადგენილი პედაგოგების – მ. გ-ისა და ც. ზ-ის ბრალი. საკასაციო სასამარ-

თლო კასატორის ამ მოსაზრებას არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ პედაგოგების ბრალი ი.გ.-ისთვის მიყენებულ ზიანში დასტურდება, რადგან მათ დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა – გამოუცხადდათ საყვედური. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა პირს ეკისრება დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას, რაშიც თავის მხრივ მოიაზრება სამსახურეობრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. განსახილველ შემთხვევაში პედაგოგებმა, გადააჭარბეს რა თავიანთ უფლებამოსილებას, არაჯეროვნად შეასრულეს მათზე დაკისრებული ვალდებულებები (აღნიშნულზე ასევე მითითებულია განათლების ახალგორის რაიონული განყოფილების გამგის წერილშიც) და თავიანთი ქმედებებით უხეშად დაარღვიეს აუცილებელი ყურადღებიანობის, წინდახედულობის მოთხოვნები: მათ მოსწავლეები ჩასვეს ისეთ ავტომობილში, რომელიც არ იყო მგზავრთა გადაყვანისთვის განკუთვნილი და ამასთან, ავტომობილის მძღოლი იმყოფებოდა ალკოჰოლური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, რაც მასწავლებლებისთვის შესამჩნევი უნდა ყოფილიყო, რადგან როგორც ახალგორის რაიონის სასამართლოს 25.09.1996წ. განაჩენში ასახულ მონმეთა ჩვენებებშია მითითებული, მძღოლი რ. ტ-ი გადმოვიდა ავტომობილიდან და ისე მიესალმა პედაგოგებს. განაჩენის შინაარსიდან ცხადი ხდება, რომ ახალგორის რაიონის სასამართლოს განხილვის საგანი იყო მძღოლის – რ. ტ-ის დანაშაულებრივი ქმედების დადგენა, შესაბამისად სასამართლო მითითებულ განაჩენში ვერ იმსჯელებდა პედაგოგების ბრალზე, რადგან ისინი არ წარმოადგენდნენ მოცემულ საქმეზე ბრალდებულ სუბიექტებს, მათი ბრალეულობის საკითხი ცალკე განხილვის საგანი უნდა ყოფილიყო, რის შესახებაც აღინიშნა კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში, კერძოდ განაჩენში მიეთითა, რომ პედაგოგებთან დაკავშირებით კერძო განჩინება იყო გამოსატანი, რაც თავისთავად ადასტურებს პედაგოგების ქმედებაში სამართალდარღვევის არსებობას, მათ მიერ მძიმე შედეგის დადგომის ხელშემწყობი პირობის შექმნას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის სავალდებულო არ არის ზიანის მიმყენებლის ბრალის სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენა, რადგან შესაძლოა ზიანის წარმომშობი ქმედება არ შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს. უფრო მეტიც, პირს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინაც კი შეიძლება დაეკისროს, როდესაც ამ პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამართლებელი განაჩენია გამო-

ტანილი, ამასთან ბრალის სამოქალაქო და სისხლის-სამართლებრივი გაგება არაიდენტურია. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სამინისტროს მითითება იმის შესახებ, რომ საქმეზე არ დასტურდება მ. გ-ისა და ც. ზ-ის ბრალის, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობის არსებობა.

საფუძველს არის მოკლებული კასატორის მოსაზრება პედაგოგთა ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობის შესახებ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების განხორციელებასთან ერთად დელიქტური პასუხისმგებლობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ასევე მიზეზობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მიზეზობრივი კავშირი, ტრადიციული გაგებით, პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი აუცილებელი ელემენტია. მიზეზობრივი კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის აუცილებელი კავშირია, რაც გულისხმობს ორი მოვლენის არა უბრალო მუდმივ თანმიმდევრობას, არამედ შედეგის თანმიმდევრობას თავისი მიზეზის მიმართ. მიზეზობრიობის მთავარ მომენტს წარმოადგენს არსებითი კავშირი, სადაც დამოკიდებულება მიზეზსა და შედეგს შორის აქტიურ ხასიათს ატარებს. სკ-ის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს წარმოადგენს. პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს მიყენებული ზიანისთვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან. განსახილველ შემთხვევაში პედაგოგთა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების შედეგად მოსწავლეები წაყვანილ იქნენ სკოლის ტერიტორიის გარეთ, მოსწავლეები აღმოჩნდნენ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლის მართვის ქვეშ მყოფი სატვირთო ავტომობილის ძარაზე, სადაც სავსებით არ იყო უზრუნველყოფილი მათი უსაფრთხოება, მანქანა არ იყო განკუთვნილი მგზავრთა გადასაყვანად, მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას შეექმნა მნიშვნელოვანი საფრთხე, რასაც შედეგად მოჰყვა ი. გ-ისთვის მძიმე მატერიალური და მორალური ზიანის მიყენება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დამდგარი ზიანი პედაგოგთა მიერ წინდაუხედულობის ნორმების დარღვევის რეალურ და მოსალოდნელ შედეგს წარმოადგენდა. მძღოლისა და ავტომობილის მდგომარეობის გათვალისწინებით, აღნიშნული შედეგის განჭვრეტა, შედეგის თავიდან აცილება, – პედაგოგებისთვის ობიექტურად შესაძლებელი იყო, ამდენად სახეზეა სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა პედაგოგების მხრიდან, გაუფრთხილებლობა, რომელმაც მძიმე ზიანი გამოიწვია, რაც სკ-ის

1005-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოსთვის მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სამინისტროს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ არ დასტურდება პედაგოგთა ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, სწორედ პედაგოგთა ქმედებით გამონვეული რისკის რეალიზაციას მოჰყვა ი. გ-ისთვის ზიანის მიყენება. მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას აღნიშნული ზიანი არ მოჰყვებოდა, მასწავლებლებს მოსწავლეები ავტომობილის ძარაზე რომ არ აყვანათ. ამასთანავე, კავშირი პედაგოგების გაუფრთხილებლობასა და დამდგარ შედეგს შორის არ წყდება იმის გამო, რომ ზიანი დადგა სკოლის ტერიტორიის გარეთ.

ამდენად, ხსენებულიდან გამომდინარე დგინდება, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მომუშავე პედაგოგების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილებების ბრალეული გადამეტების შედეგად ი. გ-ს მიადგა მძიმე მატერიალური და მორალური ზიანი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სხეულის დაზიანებამ, ჯანმრთელობის მოშლამ უსათუოდ გამოიწვია არა მხოლოდ მატერიალური, არამედ აგრეთვე არაქონებრივი (მორალური) ზიანის მიყენება. ამასთანავე, მოსარჩელეს შენარჩუნებული აქვს აღქმის და კომუნიკაციის უნარი, მისი ცნობიერება და ინტელექტი ჩვეულებრივი განვითარებისაა, მოსარჩელე რეგულარულად საჭიროებს მზრუნველობას. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, სკ-ის 413.1 მუხლის მიხედვით, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო პალატამ ი. გ-ის მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში ცნო ხანდაზმულად, რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურებას, სასამართლომ მიიჩნია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ხანდაზმული არ არის, ვინაიდან მორალური ზიანის მიყენება არ უკავშირდება უშუალოდ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების მომენტს, მორალური ზიანი შესაძლოა მოგვიანებით, სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად დადგეს. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მო-

რალური ზიანის მიყენების ფაქტი შესაძლოა არ უკავშირდებოდეს კონკრეტულ თარიღს და უშუალოდ ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების მომენტს, მორალური ზიანი შესაძლოა მოგვიანებით, მკურნალობის უშედეგობის, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობის, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობის, ცხოვრების წესის და რიტმის შეცვლის, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითების, ნერვიული დაძაბულობის, არასრულფასოვნების კომპლექსის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით დადგეს (იხ. სუს 08.04.09წ. გადაწყვეტილება საქმე №ბს-972-936(3კ-08)). საქმის მასალებით დასტურდება, რომ ავარიის შემდეგ ი.გ-ს ჩაუტარდა მრავალი ოპერაცია, კერძოდ: 1996 წლის ივნისსა და ნოემბერში ი.გ-ს ჩაუტარდა ორი ოპერაცია ხერხემალზე, 1998 წლის მაისში – ლაპარატომია, 1999 წლის იანვარში – ორთოპედიული ოპერაცია ხერხემალზე, 1999 წლის მარტში – ოპერაცია შარდის ბუშტზე, 2002 წლის აგვისტოში, სექტემბერსა და ნოემბერში – სამი ოპერაცია მარცხენა საჯდომის ძვლის ოსტეომელიტზე, 2003 წლის ნოემბერში – ოპერაცია მარჯვენა თეძოს სახსარზე, 2005 წლის დეკემბერში – ოპერაცია მარჯვენა საჯდომის ძვლის ოსტეომელიტზე, 2008 წლის ივნისში – ოპერაცია ჰემოროიდული კვანძის მოსაშორებლად. ამასთანავე, მოსარჩელე დაავადებულია ქრონიკული „ც“ ჰეპატიტით, აქვს ღვიძლის ფუნქციის დარღვევა. ხსენებული ოპერაციული ჩარევების და მკურნალობის მიუხედავად მოსარჩელემ ჯანმრთელობა ვერ აღიდგინა, ის არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, პირველი ჯგუფის ინვალიდი, მიღებული ტრავმების შედეგად დარღვეული აქვს ორგანიზმის მნიშვნელოვანი ფუნქციები, ვერ ახერხებს თავისი შესაძლებლობების რეალიზაციას, სამსახურის დანყებას, პირადი ცხოვრების მოწყობას. ამდენად, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, საფუძვლიანია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მორალური ზიანის დადგომა მოცემულ შემთხვევაში არ ემთხვევა მატერიალური ზიანის მიყენების მომენტს. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება კანონმდებლობის მიერ დადგენილი ზღვრული ვადები, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება, ხოლო კასატორი საქმეზე დადგენილ არც ერთ ფაქტობრივ გარემოებას სადავოდ არ ხდის, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლად მიაჩნია მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილება. განსახილველ საქმეში ფაქტები სადავო არ არის,

რადგან როგორც სამინისტრო, ასევე ი.გ-ი, სადავოდ არ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, სადავოა მხოლოდ საქმეზე დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასება. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლოში კანონით განსაზღვრულ საპრეტენზიო ვადაში წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში სამინისტროს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობაზე არ მიუთითებია და ამ მხრივ არც სააპელაციო პალატის დასაბუთებას არ შედავებია, ხოლო სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო საჩივრები ეხება მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობას, რასთან დაკავშირებითაც საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონით არ არის განსაზღვრული მორალური ზიანის ოდენობა, მორალური ზიანის ანაზღაურების თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურია და მრავალ სხვადასხვა პირობაზეა დამოკიდებული, მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მოცემულ შემთხვევაში დელიქტით გამოწვეული მძიმე შედეგის გათვალისწინებით, იმის გათვალისწინებით, რომ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება არის ადამიანის აბსოლუტური უფლება და სამართლებრივი დაცვის საგანგებო საგანი, ხოლო მიღებული ტრავმების შედეგად დარღვეულია მოსარჩელის ორგანიზმის მნიშვნელოვანი ფუნქციები, რაც განაპირობებს შრომის უნარის დაკარგვას, ყოფა-ცხოვრების არსებით გაძნელებას, თვითრეალიზებისა და სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობის მკვეთრ შემცირებას, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხოლოდ დარღვევის ფაქტის კონსტატაცია არ არის საკმარისი ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენებით გამოწვეული მორალური ზიანის კომპენსაციისათვის. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის – ი.გ-ის მოსაზრებას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ი.გ-ის სასარგებლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის 25 000 ლარის დაკისრება სამართლიან შესაბამისობაში არ არის მიყენებულ ზიანთან. სკ-ის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ისეთ გარემოებებს, როგორცაა: დამდგარი ზიანის

სიმძიმე, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, შელახული უფლების მნიშვნელობა, მოპასუხეების მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურება, ბრალის ხარისხი, დაზარალებულის ცხოვრებისეული პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ქონებრივი მდგომარეობა, მკურნალობის ხანგრძლივობა, შრომის უნარის დაკარგვა, ზიანის მიყენების შედეგად მოთხოვნილებების და როგორც შედეგი – ხარჯების გაზრდა და სხვ.. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება. ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა გადამწყდეს. კასატორი ი.გ-ი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან ითხოვს მორალური ზიანის ანაზღაურებას 300 000 ლარის ოდენობით, რაც სცილდება გონივრული ანაზღაურების ფარგლებს. კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ პედაგოგებს არ ჰქონდათ მოსარჩელის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების განზრახვა, ამასთანავე, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი.გ-ის მოთხოვნა ამ ნაწილში მხოლოდ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მორალური ზიანის სამართლიანი და გონივრული ანაზღაურება 50 000 ლარის ოდენობით, რაც არ სცილდება მსგავს შემთხვევებში მორალური ზიანის ანაზღაურების სასამართლო პრაქტიკით დადგენილ საზღვრებს (იხ. მაგ. სუს 28.07.06წ. განჩინება, საქმე №ბს-1418-993(კ-05); 08.04.09წ. გადაწყვეტილება, საქმე №ბს-972-936(კ-08)).

ი. გ-ი მოითხოვს აგრეთვე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკის-

რებას, კერძოდ, სპეციალური სამედიცინო მომვლელის ხარჯის, ყოველთვიური სარჩოს, მომავალში გასანევი სარეაბილიტაციო ხარჯის და მოსარჩელის დასახიჩრებასთან დაკავშირებული მომავალში მოსალოდნელი ოპერაციების ხარჯების დაკისრებას. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მოსარჩელეს აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარი უთხრეს ხანდაზმულობის მოტივით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სკ-ის 1008-ე მუხლის მიხედვით დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამი წელია იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სასარჩელო მოთხოვნის ეს ნაწილი უკავშირდება მატერიალური ზიანის მიყენების მომენტს, საკასაციო პალატა თვლის, რომ სამედიცინო მომვლელის ხარჯის, ყოველთვიური სარჩოს, სარეაბილიტაციო მკურნალობის ხარჯის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარი არ არის საკმარისად დასაბუთებული. მოსარჩელის მოთხოვნათა ეს ნაწილი პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებათა რიგს განეკუთვნება, რომელზედაც ვრცელდება სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა, რომლის ათვლაც გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. პერიოდულად შესასრულებელი თითოეული ვალდებულების დარღვევა ცალკე ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ცალკე ქმნის ხანდაზმულობის ვადას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ი. გ-ი ითხოვს მიყენებული ტრავმის შედეგად მომავალში და არა წარსულში განეული ხარჯების ანაზღაურებას, ამასთანავე 1996 წელს მომხდარი ავარიის შედეგად დამდგარი ზიანი განგრძობადი ხასიათისაა, მიყენებული ზიანის შედეგად მოსარჩელეს გაეზარდა მოთხოვნილებები დაკავშირებული ჯანმრთელობის მდგომარეობასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები. მომვლელის, სარჩოს დაკისრების მოთხოვნა შესაძლოა არ წამოიშვას დაზიანებისთანავე, ეს მოთხოვნა შესაძლოა მკურნალობის უშედეგობის გამო დადგეს, რის გამო ამგვარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა დადგენილია არა სკ-ის 1008-ე მუხლის დანაწესით, არამედ სკ-ის 129-ე მუხლით, მოთხოვნის აღნიშნული ნაწილი ეფუძნება სკ-ის 408.2 მუხლის დანაწესს, რის გამო ამ მოთხოვნის ხანდაზმულობის დადგენა ხანდაზმულობის ზოგად წესს უნდა დაემყაროს. სარჩოს დანიშვნის სხვა შემთხვევები (მაგ. მშობლის მიერ არასრულწლოვანი შვილისთვის სარჩოს გადახდა, შვილის მიერ მშობლის რჩენის ვალდებულება), უკავშირდება მხოლოდ სარ-

ჩოს გადახდის საჭიროებას და არ არის დაკავშირებული მოთხოვნის წარმოშობის მომენტის ხანდაზმულობასთან. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე სადავოდ არ ხდის საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებში თვითოეული პერიოდი ცალკე ხანდაზმულობის ვადას ქმნის და მოთხოვნილია არა წარსული პერიოდის, არამედ მხოლოდ სამომავლო ხარჯების ანაზღაურება, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ პერიოდულად შესასრულებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით უარის თქმა არ არის სათანადოდ დასაბუთებული, მით უფრო, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონი სპეციალური სამედიცინო მომვლელის დანიშვნას არ ზღუდავს ინვალიდობის დადგენის მომენტიდან კონკრეტული ვადით. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობით სათანადო საჭიროებისას პირს აქვს შესაძლებლობა მისთვის მისაღებ დროს მოითხოვოს სამედიცინო მომვლელის დანიშვნა. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ სკ-ის 409-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ფულადი ანაზღაურება დარღვეული უფლების აღდგენის უკანასკნელი ღონისძიებაა, აღნიშნული შესაძლებელია მაშინ, როდესაც ერთის მხრივ შეუძლებელია ზიანის ანაზღაურება მისი ნატურით ან მაშინ, როდესაც ნატურით რესტიტუცია არათანაზომიერად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის 3.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ დაცვას და უქმნის მათ საჭირო პირობებს ინდივიდუალური განვითარების, შემოქმედებით და სანარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისთვის, ამავე კანონის 26.1 მუხლის მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც მომვლელი ან დამხმარე სჭირდებათ, სოციალური მომსახურების ორგანოები უნიშნავენ სამედიცინო ან საყოფაცხოვრებო მომსახურებას. ამდენად, კანონი ითვალისწინებს მომვლელის დანიშვნას და არა მისი მომსახურების ხარჯის ანაზღაურებას. შესაბამისად, მოცემული მოთხოვნა საჭიროებს დაზუსტებას, სასკ-ის 28¹ მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული მოთხოვნის მიმართ დაზუსტებას საჭიროებს მოპასუხეთა წრეც, რადგან აღნიშნული ვალდებულების უზ-

რუნველყოფა საქართველოს მთავრობის 31.12.05წ. №249 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების ნორმების გათვალისწინებით, სწორედ აღნიშნული სამინისტროს უფლებამოსილებას განეკუთვნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება სპეციალური სამედიცინო მომვლელის მომსახურების, ყოველთვიური სარჩოს, სარეაბილიტაციო მკურნალობის ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, ამდენად მოთხოვნის ამ ნაწილში სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, რაც სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად საქმის ამ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმებისა და ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების პირობაა.

რაც შეეხება ი.გ-ის მოთხოვნას მოსარჩელის დასახიჩრებასთან დაკავშირებული მომავალში მოსალოდნელი ოპერაციების ხარჯების ანაზღაურების შესახებ, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოთხოვნა ბუნდოვანია, პალატა თვლის, რომ ი.გ-ის ეს მოთხოვნა განსახილველი დავის გარემოებების და საქმეში დაცული მასალების გათვალისწინებით არ არის დასაბუთებული და არ უნდა დაკმაყოფილდეს, არ არსებობს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე, 412-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ი. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:
 - 2.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.04.12წ. გადაწყვეტილება საქართვე-

ლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის 25 000 ლარის გადახდის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება;

2.2. ი. გ-ის სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ი. გ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისროს 50 000 ლარის გადახდა;

2.3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.04.12წ. გადანყვეტილება სპეციალური სამედიცინო მომვლელის მომსახურებისთვის გათვალისწინებული ხარჯის, ყოველთვიური სარჩოს, აგრეთვე წელიწადში ერთხელ სარეაბილიტაციო მკურნალობის ხარჯის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდეს, საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სააპელაციო სასამართლოს 24.04.12წ. გადანყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

4. საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

ბანჩინება

№ბს-551-532(კ-13)

27 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 18 სექტემბერს გ. მ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გარდაბ-

ნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შემდგომი პრივატიზების მიზნით, გარდაბნის რაიონის გამარჯვების საკრებულოს მიერ 2006 წლის 23 ოქტომბერს გამართულ სპეციალურ აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა ზ. ს-ე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღირცხვისა და პრივატიზების გარდაბნის რაიონის ტერიტორიული ორგანოს მიერ 2006 წლის 14 ნოემბერს ზ. ს-ის სახელზე გაიცა მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი №35 ოქმი. აღნიშნული ოქმის საფუძველზე, აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონება – გარდაბნის რაიონში, გამარჯვების საკრებულოს ტერიტორიაზე მდებარე, 324898 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა ზ. ს-ის სახელზე.

2008 წლის 22 ივლისს ზ. ს-ემ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გააფორმა მ. შ-ისთან, ქ. მ-თან და გ. მ-თან. ხელშეკრულების თანახმად, ზ. ს-ემ სამი თვის ვადით მ. შ-ისგან ისესხა 16300 აშშ დოლარი, გ. მ-ისაგან – 17500 აშშ დოლარი, ხოლო ქ. მ-ისაგან – 21700 აშშ დოლარი. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ზ. ს-ის კუთვნილი, გარდაბნის რაიონში, გამარჯვების საკრებულოს ტერიტორიაზე მდებარე, 324898 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

ზ. ს-ის მიერ იპოთეკარების წინაშე ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს 2010 წლის 4 მარტის №05/05-11/10-53 განკარგულებით გარდაბნის რაიონში, გამარჯვების საკრებულოს ტერიტორიაზე მდებარე, 324898 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ნატურით გადაეცათ იპოთეკარებს – მ. შ-ის, ქ. მ-სა და გ. მ-ს. მითითებული უძრავი ქონება აღმასრულებლის მიერ შეფასებული იყო 115340 ლარად. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე 2010 წლის 12 მარტს უძრავი ქონება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მ. შ-ის, ქ. მ-ისა და გ. მ-ის საკუთრებად.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის საფუძველზე, ძალაში შესვლის დღიდან, თანამდევნი შედეგებით ბათილად იქნა ცნობილი გარდაბნის რაიონის გამარჯვების საკრებულოს სპეციალური აუქციონის მომწყობი კომისიის 2006 წლის 24 ოქტომბრის №35 ოქმი; სახელმწიფო ქონების აღირცხვისა და პრივატიზების გარდაბნის ტერიტორიული ორგანოს მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტუ-

რეგული 2006 წლის 14 ნოემბრის №35 ოქმი; საჯარო რეესტრის ჩანაწერი – სარეგისტრაციო გადაწყვეტილება ზ. ს-ის საკუთრებად უძრავი ნივთის რეგისტრაციის შესახებ და გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 12 მარტის №882010507770-03 გადაწყვეტილება უძრავი ქონების მ. შ-ის, ქ. მ-ისა და გ. მ-ის საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ. აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საფუძველად სასამართლომ მიუთითა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევასა და საქმის გარემოებების გამოკვლევის გარეშე აქტების გამოცემაზე.

მოსარჩელის განმარტებით, იგი წარმოადგენდა კეთილსინდისიერ შემძენს, ადმინისტრაციული აქტის მიმართ ჰქონდა კანონიერი ნდობა და მოპასუხეთა ქმედებებით მას მიადგა ზიანი, რის გამოც მოითხოვა მიყენებული მატერიალური ზიანის – 38446,67 ლარის ანაზღაურების მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დაკისრება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამოირიცხა მოპასუხეთა სიიდან.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-6 ნაწილით და განმარტა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველია მმართველობის კანონიერების პრინციპი, რომელიც მოითხოვს კანონიერების აღდგენის მიზნით უკანონო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას. აღნიშნულ პრინციპს უპირისპირდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპი. კანონიერი ნდობა აქტის მიმართ არსებობს, თუ დაინტერესებულმა მხარემ ამ აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და ამ აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილი გარდაბნის რაიონის გამარჯვების საკრებულოს სპეციალური აუქციონის მომწყობი კომისიის სპეციალურ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2006 წლის 24 ოქტომბრის №35 ოქმი და სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და

პრივატიზების გარდაბნის ტერიტორიული ორგანოს მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი 2006 წლის 14 ნოემბრის №35 ოქმი წარმოადგენენ აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომელთა მიმართაც კანონიერი ნდობა ჰქონდა არა მოსარჩელე გ. მ-ს, არამედ ზ. ს-ეს, რომლის მიმართაც იყო გამოცემული მითითებული აქტები. შესაბამისად, აღნიშნული აქტების ბათილად ცნობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც გააჩნია ზ. ს-ეს, როგორც დაინტერესებულ პირს.

გარდა აღნიშნულისა, საქალაქო სასამართლოს მითითებით, დასახელებული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების და ზ. ს-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის მიუხედავად, ძალაშია და არ გაუქმებულა ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2010 წლის 4 მარტის განკარგულება, რომლითაც კრედიტორებს – მ. შ-ის, ქ. მ-სა და გ. მ-ს ნატურით გადაეცათ იპოთეკის საგანი. აღმასრულებლის განკარგულება არ წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილებით გაბათილებული აქტების თანამდევ შედეგს და იგი მათგან დამოუკიდებლად წარმოქმნის საკუთრების მიღების უფლებას ნატურით გადაცემულ უძრავ ქონებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. აღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით სასამართლომ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ის, რომ სახეზე უნდა ყოფილიყო ზიანი, მართლსაწინააღმდეგო მოქმედება და დამდგარ ზიანსა და მოქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთებოდა მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო ქმე-

დება მოსარჩელის მიმართ და ზიანის დაკისრების მითითებული პირობები.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. მ-მა, რომელმაც მოითხოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივნისის განჩინებით გ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნები საქმის ფაქტობრივ საკითხებთან დაკავშირებით, მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სრულად და ყოველმხრივ გამოიკვლია დავასთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც არც აპელანტს გაუხდია სადავოდ.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-208-ე, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ დელიქტით გამოწვეული ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში ანაზღაურდება, თუ პირი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ, პირის მოქმედება იყო განზრახი ან გაუფრთხილებელი (ანუ ბრალეული), უშუალოდ ამ მართლსაწინააღმდეგოდ, განზრახმა ან გაუფრთხილებელმა (ბრალეულმა) მოქმედებამ ზიანი მიაყენა პირს, კერძოდ, შელახა პირის ქონებრივი ან/და არაქონებრივი უფლებები ან/და კანონით დაცული ინტერესები; დელიქტით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად აუცილებელია, რომ მითითებული სამივე პირობა არსებობდეს ერთდროულად, ერთობლიობაში, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების ბრალეული ქმედების შედეგად მიადგა ზიანი აპელანტს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით დადასტურებულია პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებული აქტების უკანონობა, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრებათ უშუალოდ მათ გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოებს, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოები მაინც არ არიან პასუხისმგებელნი იმ მატერიალური ზიანისათვის, რაც განიცა-

და გ. მ-მა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დაკარგვით, რამდენადაც სადავო უძრავ ნივთზე გ. მ-ის საკუთრების უფლების დამდგენი აქტი – არის არა პრივატიზაციის ოქმები, არამედ აღმასრულებლის 2010 წლის 4 მარტის №05/05-11/10-53 განკარგულება, რომელიც ძალაშია და არ გაუქმებულა. შესაბამისად, ყველანაირი წინაპირობა არსებობს იმისათვის, რომ გ. მ-მა მარეგისტრირებელი ორგანოსათვის ხელახალი მიმართვისა და განკარგულების ხელახალი წარდგენის გზით კვლავ ითხოვოს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი ადმინისტრაციული ორგანოების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ ქმედებასა და გ. მ-ის საკუთრების უფლების გაუქმებას (დამდგარ ზიანს) შორის. აღმასრულებლის 2010 წლის 4 მარტის განკარგულება წარმოადგენდა ცალკე, დამოუკიდებლად არსებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც გამოსცა სხვა ადმინისტრაციულმა ორგანომ და რომელსაც გააჩნია გამოცემის დამოუკიდებელი საფუძვლები, შესაბამისად, განკარგულება ვერ განიხილებოდა უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების – 2006 წლის 24 ოქტომბრის №35 და 2006 წლის 14 ნოემბრის №35 ოქმების თანამდევ შედეგად და იგი ვერ ჩაითვლება ბათილ აქტად მხოლოდ იმიტომ, რომ გაბათილდა მისი გამოცემის წინმსწრები აქტები.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვიდრე არსებობს უფლების დამდგენი საბუთი – სასამართლო აღმასრულებლის განკარგულება, აპელანტისათვის არსებობს ასევე ამ საბუთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის განხორციელების შესაძლებლობა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. მ-მა, რომელმაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივნისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ გ. მ-ი კეთილსინდისიერი შემძენია. გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით გ. მ-ის საკუთრების უფლება გაუქმდა, რის გამოც მას მიადგა მატერიალური ზიანი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად არ მიიჩნია მიზეზობრივი კავშირის არსებობა. მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა დაარღვიეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა, რის გამოც აღნიშნული მოთხოვნის უგულებელყოფით ჩადენილი მოქმედება ყოველთვის მართლსაწინააღმდეგოა. იმ პირობებში, თუ ბათილად არ იქნებოდა ცნობილი 2006 წლის 24 ოქტომბრის №35 და 2006 წლის 14 ნოემბრის №35 ოქმები თანამდევნი შედეგებით, გ. მ-ის საკუთრების უფლება არ გაუქმდებოდა. შესაბამისად, სახეზეა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამივე პირობა.

კასატორის მითითებით, გ. მ-მა მიწის ნაკვეთი შეიძინა აუქციონზე და მან, როგორც ქონების ახალმა მესაკუთრემ დაიკავა ძველი მესაკუთრის ადგილი და გახდა შექმნილ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რის გამოც იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

კასატორის მოსაზრებით, მართალია გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად არ იქნა ცნობილი აღმასრულებლის განკარგულება, მაგრამ სასამართლომ ბათილად ცნო ზ. ს-ის საკუთრების რეგისტრაცია თანამდევ შედეგებთან ერთად და აღმასრულებლის განკარგულებაც ერთ-ერთ თანამდევ შედეგს წარმოადგენდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული გ. მ-ის საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის განჩინებით გ. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2006 წლის 24 ოქტომბერს გარდაბნის რაიონის გამარჯვების საკრებულოს მიერ ჩა-

ტარდა სპეციალური აუქციონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, გარდაბნის რაიონის გამარჯვების საკრებულოს ტერიტორიაზე მდებარე, 32,5 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შემდგომი პრივატიზაციის მიზნით. საკრებულოს 2006 წლის 24 ოქტომბრის №35 ოქმის თანახმად, აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა ზ. ს-ე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების გარდაბნის რაიონის ტერიტორიული ორგანოს მიერ 2006 წლის 14 ნოემბერს ზ. ს-ის სახელზე გაიცა მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი №35 ოქმი. აღნიშნულის შესაბამისად, ზ. ს-ემ აუქციონზე შეძენილი მიწის ნაკვეთი 2006 წლის 1 დეკემბერს დაირეგისტრირა საჯარო რეესტრში.

2008 წლის 22 ივლისს ზ. ს-ემ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გააფორმა მ. შ-ისთან, გ. მ-თან და ქ. მ-თან. ხელშეკრულების მიხედვით, ზ. ს-ემ სამი თვის ვადით მ. შ-ისგან ისესხა 16300 აშშ დოლარი, გ. მ-ისაგან – 17500 აშშ დოლარი, ხოლო ქ. მ-ისაგან – 21700 აშშ დოლარი სარგებლით, 2%-ის დარიცხვით. სესხის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა ზ. ს-ის კუთვნილი, გარდაბნის რაიონის გამარჯვების საკრებულოს ტერიტორიაზე მდებარე, 324898 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

ზ. ს-ის მიერ იპოთეკარების წინაშე ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა საარბიტრაჟო მოსარჩევეების – მ. შ-ისა და გ. მ-ის სარჩელი და ზ. ს-ეს მათ სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის, პირგასამტეხლოსა და საარბიტრაჟო მოსაკრებელის გადახდა.

საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მიექცა იძულებით აღსასრულებლად. საქმეში წარმოდგენილი აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს 2010 წლის 4 მარტის №05/05-11/10-53 განკარგულების მიხედვით, ვინაიდან იძულებით საჯარო აუქციონზე არ მოხდა ნივთის რეალიზაცია, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 77¹ მუხლის შესაბამისად (2010 წლისათვის მოქმედი რედაქცია), კრედიტორების წერილობითი განცხადების საფუძველზე, ზ. ს-ის სახელზე რიცხული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება ნატურით გადაეცათ მ. შ-ის, ქ. მ-სა და გ. მ-ს. განკარგულების თანახმად, ზ. ს-ის კუთვნილი უძრავი ქონების საწყისი ფასი შეადგენდა 115340 ლარს.

2010 წლის 12 მარტს გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვე-
ბაში მდებარე, 324898 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლე-
ბით აღირიცხა გ. მ-ის, მ. შ-ისა და ქ. მ-ის სახელზე.

საქმეში წარმოდგენილი გარდაბნის რაიონული სასამართლოს
2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სა-
ქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი; ძალაში შეს-
ვლის დღიდან, თანამდევნი შედეგებით ბათილად იქნა ცნობილი
გარდაბნის რაიონის გამარჯვების საკრებულოს სპეციალური
აუქციონის მომწყობი კომისიის 2006 წლის 24 ოქტომბრის №35
ოქმი; სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების გარ-
დაბნის ტერიტორიული ორგანოს მიწისა და სხვა უძრავი ქონე-
ბის შეძენის დამადასტურებელი 2006 წლის 14 ნოემბრის №35
ოქმი; საჯარო რეესტრის ჩანაწერი – სარეგისტრაციო გადაწ-
ვეტილება ზ. ს-ის საკუთრებად უძრავი ნივთის რეგისტრაცი-
ის შესახებ და გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2010
წლის 12 მარტის №882010507770-03 გადაწყვეტილება უძრავი
ქონების მ. შ-ის, ქ. მ-სა და გ. მ-ის საკუთრებად რეგისტრაციის
შესახებ.

გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს რეს-
პუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 11 ნოემბრის №793 ბრძა-
ნებულებასა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992
წლის 23 აპრილის №446 დადგენილებაზე დაყრდნობით, რომ-
ლებიც კრძალავდნენ სამხედრო ქონების სხვა ორგანოსათვის
გადაცემას თუ გაყიდვას, დადასტურებულად მიიჩნია, რომ გარ-
დაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში მდებარე, 324898 კვ.მ.
მიწის ნაკვეთი პრივატიზაციის შესახებ აქტების გამოცემაზე
ირიცხებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალან-
სზე. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ გარდაბნის რა-
იონის გამარჯვების საკრებულოს საპრივატიზებო კომისიის მი-
ერ აუქციონზე გატანილი ქონება არ უნდა დაქვემდებარებოდა
აუქციონის წესით გასხვისებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიუთითა, რომ
გარდაბნის რაიონის გამარჯვების საკრებულოსა და საქართვე-
ლოს ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიც-
ხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ სპეციალურ აუქ-
ციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმები ეწინააღმდე-
გებოდა კანონის მოთხოვნებს, ადმინისტრაციულ ორგანოებს
ადმინისტრაციული წარმოებისას ზოგადი ადმინისტრაციული
კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, არ გამოუკ-
ვლევიათ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება
და გადაწყვეტილება მიიღეს ამ გარემოებათა შეფასებისა და

ურთიერთშეჯერების გარეშე, რის გამოც მითითებული აქტები ექვემდებარებოდა ბათილად ცნობას.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე, საჯარო რეესტრის მიერ 2012 წლის 22 აგვისტოს გაუქმდა მ. შ-ის, ქ. მ-ისა და გ. მ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება ადმინისტრაციული ორგანოებისათვის.

მოსარჩელე გ. მ-მა მიიჩნია, რომ გარდაბნის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით ბათილად გამოცხადდა რა 2006 წელს განხორციელებული პრივატიზაცია თანამდევი შედეგებით, მას გაუუქმდა საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე, რომელიც გადაეცა საალსრულებო ბიუროს მიერ ჩატარებულ იძულებით აუქციონზე. შესაბამისად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონის მოთხოვნათა დარღვევით გამოცემის შედეგად მას მიადგა ზიანი. იმ ვითარებაში, თუ საპრივატიზაციოდ არ იქნებოდა განიღობი გარდაბნის რაიონის გამარჯვების ტერიტორიაზე მდებარე 32,5 ჰა მიწის ნაკვეთი, რომლის მესაკუთრე სწორედ სპეციალური აუქციონის შედეგების თანახმად გახდა ზ. ს-ე, აღნიშნული ქონება ვერ გახდებოდა იპოთეკის საგანი და მისი რეალიზაცია არ მოხდებოდა სესხის ამოღების მიზნით ჩატარებულ იძულებით აუქციონზე. შესაბამისად, გ. მ-ის საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე არ გაუქმდებოდა როგორც თანამდევი შედეგი უკანონოდ განხორციელებული პრივატიზაციისა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია სახელმწიფო ორგანოებისა და მოსამსახურეების უკანონო ქმედებით დამდგარი ზიანის ანაზღაურების უფლება, კერძოდ, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლების რეალიზაციას ემსახურება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავი, რომელიც უშუალოდ აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოს პა-

სუხისმგებლობის საკითხს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ზიანის ანაზღაურების განსაკუთრებული წესია დადგენილი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლით, რომლის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობა ადგენს საჯარო მოხელის ქმედებით ან გადაწყვეტილებით მიყენებულ ზიანის სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების ვალდებულებას.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: ქმედება, რამაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოშვა, დაკავშირებული უნდა იყოს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან, ამ უფლებამოსილების განხორციელების პროცესში დაშვებული დარღვევა მიმართული უნდა იყოს სხვა პირის უფლებების შელახვისკენ, სახეზე უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის ბრალი და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი.

სასამართლოებმა გ. მ-ისათვის საკუთრების უფლების გაუქმებით დამდგარი მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირებად არ მიიჩნიეს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოები. გარკვეულწილად წინააღმდეგობრივია სასამართლოთა გადაწყვეტილებები, რამდენადაც სასამართლოებმა ერთის მხრივ მიუთითეს, რომ გარდაბნის რაიონის გამარჯვების საკრებულოს სპეციალური აუქციონის მომწყობი კომისიის სპეციალურ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2006 წლის 24 ოქტომბრის №35 ოქმი და სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების გარდაბნის ტერიტორიული ორგანოს მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი 2006 წლის 14 ნოემბრის №35 ოქმი წარმოადგენდა აღმჭურ-

ველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომელთა მიმართაც კანონიერი ნდობა ჰქონდა ზ. ს-ეს, რომლის მიმართაც იყო გამოცემული მითითებული აქტები და აღნიშნული აქტების ბათილად ცნობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გააჩნდა მას, როგორც დაინტერესებულ პირს. ანუ სასამართლოებმა დაადასტურეს ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი ქმედების განხორციელების ფაქტი მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან. მეორეს მხრივ სასამართლოებმა მიუთითეს, რომ უკანონო ქმედებას ადგილი ჰქონდა ზ. ს-ის და არა გ. მ-ის მიმართ, რამდენადაც უძრავ ქონებაზე გ. მ-ის საკუთრების უფლების წარმოშობის უშუალო საფუძველი იყო არა ბათილად გამოცხადებული პრივატიზაციის აქტები, არამედ სასამართლო აღმასრულებლის 2010 წლის 4 მარტის №05/05-11/10-53 განკარგულება, რომელიც სასამართლოების განმარტებით, დავის საგანი არასდროს გამხდარა და ძალაშია. შესაბამისად, გ. მ-ს შესაძლებლობა ჰქონდა მარეგისტრირებული ორგანოსათვის ხელახალი მიმართვისა და განკარგულების ხელახლა წარდგენის გზით კვლავ მოეთხოვა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

ამდენად, დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ადგილი ჰქონდა საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში კანონის მოთხოვნათა დარღვევას. აღნიშნული დადასტურებულია გარდაბნის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით, რომლითაც სწორედ იმის გამო, რომ გარდაბნის რაიონის გამარჯვების საკრებულოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს მხრიდან მიწის პრივატიზაციის შესახებ აქტები გამოიცა უკანონოდ, სასამართლომ ბათილად ცნო ისინი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად (2010 წლისათვის მოქმედი რედაქცია), აუქციონზე გაყიდული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტში არსებულ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, უძრავი ნივთის ახალ მესაკუთრეზე გადასვლის მომენტიდან ძველი მესაკუთრე კარგავს ყოველგვარ უფლებას ამ ნივთზე. იგივე დანაწესს შეიცავს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია. ამდენად,

ზ. ს-ის ქონების გ. მ-ის, მ. შ-ისა და ქ. მ-ისათვის გადაცემის შემდეგ, მათ ჩაანაცვლეს ზ. ს-ე უძრავ ნივთთან დაკავშირებულ უფლებებში და დაიკავეს მისი ადგილი. შესაბამისად, თუ დადასტურებული იქნება ადმინისტრაციული ორგანოების უკანონო ქმედებებით ზიანის მიყენების ფაქტი ზ. ს-ესთან მიმართებაში, ანაზღაურების ვალდებულება უნდა გავრცელდეს გ. მ-თან მიმართებაში, რამდენადაც იძულებით აუქციონზე ქონების გ. მ-ისათვის გადაცემით მასზე გადავიდა უძრავ ნივთთან დაკავშირებული უფლებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებით არ შელახულა გ. მ-ის უფლებები და მათი გაბათილებით მას ზიანი არ მისდგომია.

რაც შეეხება სასამართლოთა მსჯელობას, რომ გ. მ-ს უფლება წარმოიშვა აღმასრულებლის განკარგულებით, რომელიც არ გაუქმებულა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განმსაზღვრელია არა ის გარემოება, რომ აღმასრულებლის განკარგულება ქონების ნატურით გადაცემის შესახებ უშუალოდ პრივატიზაციის შედეგად არ გამოცემულა, არამედ ის, რომ პრივატიზაციის შედეგად ზ. ს-ის მიერ შეძენილი ქონება გახდა სესხის უზრუნველყოფის საშუალება, იპოთეკის საგანი, რომლის რეალიზაციაც მოახდინა აღმასრულებელმა. აღსრულების შედეგად ქონების შემძენი გახდა გ. მ-ი, რომელზეც გადავიდა ქონებასთან დაკავშირებული უფლებები და მან ჩაანაცვლა ნივთის მესაკუთრე. იმ ვითარებაში, თუ ზ. ს-ეს საკუთრების უფლება არ წარმოემობოდა სადავო, სპეციალურ აუქციონზე შეძენილ უძრავ ქონებაზე, ამ ქონებაზე არც გ. მ-ის საკუთრება იარსებებდა, რამდენადაც მინის ნაკვეთი ვერ გახდებოდა ზ. ს-ესთან დადებული ხელშეკრულების საგანი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ვინაიდან გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება არ შეიცავდა პირდაპირ მითითებას აღმასრულებლის განკარგულებაზე, იგი ძალაშია და არ უნდა იქნეს განხილული გაბათილებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების თანმდევ შედეგად. სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად გამოცხადდა როგორც ზ. ს-ის საკუთრების უფლება სპეციალურ აუქციონზე შეძენილ მინის ნაკვეთზე, ასევე მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილება გ. მ-ისა და სხვა იპოთეკარების სახელზე განხორციელებული საკუთრების რეგისტრაციის

შესახებ. შესაბამისად, იმ პირობებში, თუ აღმასრულებლის განკარგულება არ განიხილება ზ. ს-ის უფლების დამდგენი აქტების თანამდევ შედეგად, ასეთად არც იპოთეკარების სახელზე განხორციელებული რეგისტრაცია უნდა ყოფილიყო მიჩნეული. თუმცა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი როგორც ზ. ს-ის, ასევე შემდგომ გ. მ-ის საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტები, როგორც პრივატიზაციის აქტების თანამდევ შედეგები.

შესაბამისად, გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით აღდგა რა სახელმწიფოს უფლება სადავო უძრავ ქონებაზე და მასზე გაუქმდა კერძო პირთა საკუთრება, აღმასრულებლის განკარგულებამ იძულებითი აუქციონის წესით ქონების გასხვისების შესახებ დაკარგა იურიდიული ძალა და უსაფუძვლოა მითითება იმ გარემოებაზე, რომ აღმასრულებლის განკარგულების საფუძველზე გ. მ-ს კვლავ ეძლევა საკუთრების აღდგენის შესაძლებლობა.

გ. მ-ი წარმოდგენილი სარჩელით ითხოვდა მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას 38446,67 ლარის ოდენობით. მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველად მოსარჩელე უთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მოთხოვნის იძულებითი აღსრულების შედეგად მისთვის, მ. შ-ისა და ქ. მ-ისათვის ნატურით გადაცემული უძრავი ქონების – 324898 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს 2010 წლის 4 მარტის №05/05-11/10-53 განკარგულების თანახმად, შეადგენდა 115340 ლარს. შესაბამისად, ვინაიდან ქონება ნატურით გადაეცა სამ იპოთეკარს, მოსარჩელემ ზიანის სახით მოითხოვა გადაცემული ქონების ღირებულების $1/3$ – 38446,67 ლარი. ამასთან, საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე შეამცირა სარჩელის ფასი და ზიანის სახით მოითხოვა 31707 ლარის ანაზღაურება, რაც მოიცავდა გ. მ-ის მიერ რეალურად განეულ ხარჯებს, კერძოდ, ზ. ს-ისათვის სესხის სახით გადაცემული ძირითადი თანხის – 17500 აშშ დოლარის ექვივალენტ თანხას ეროვნულ ვალუტაში, ასევე მის მიერ გადახდილ საარბიტრაჟო მოსაკრებელს – 1041 ლარს და აღსრულების საფასურს – 1791 (1139+652) ლარს.

სააპელაციო სასამართლომ უარი უთხრა რა მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, განჩინება არ შეიცავს მსჯელობას ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით. მოცემული სარჩელის ფარგლებში გ. მ-ი ზიანის სახით ითხოვს ფაქტობრივად

დამდგარი ქონებრივი დანაკლისის კომპენსაციას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს რეალურად დამდგარი დანაკლისის ოდენობაზე სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, უნდა იმსჯელოს მითითებულ გარემოებებზე და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, ასევე უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები მოთხოვნის ოდენობასთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მორალური ზიანის ანაზღაურება

ბანჩინება

№ბს-656-631(2კ-13)

10 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 22 იანვარს ნ. მ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – ახალციხის რაიონული პროკურატურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2008 წლის 12 დეკემბრის ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენით ნ. მ-ი გამართლებული იქნა მისდამი წარდგენილ ბრალდებაში, რაც დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, მესამე ნაწილის „გ“ და მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, უდანაშაულოდ იქნა ცნობილი წარდგენილ ბრალდებაში და მის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა. ნ. მ-ის მიმართ წინასწარ გამოძიებაში შერჩეული აღკვეთი ღონისძიება გირაო გაუქმდა და ყადაღა მოეხსნა გირაოს უზრუნველყოფის მიზნით თ. მ-ის საცხოვრებელ სახლს და მიწის ნაკვეთს, რომელიც მდებარეობდა ბორჯომის რაიონი დაბა ბაკურიანი, ... ქუჩა №...-ში. ნ. მ-ს განემარტა, რომ უფლება ჰქონდა მოეთხოვა მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი რედაქცია) 219-228-ე მუხლებით დადგენილი წესით.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ახალციხის რაიონულმა პროკურატურამ და დაზარალებულმა ნ. მ-ემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა კ. ლ-მა მოხსნა სააპელაციო საჩივარი და ითხოვა მისი განუხილველად დატოვება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 13 იანვრის განაჩენით დაზარალებულ ნ. მ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და

უცვლელი დარჩა ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის განაჩენი.

მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ 2007 წლის 6 სექტემბერს ქ. ქუთაისში (...) ტრასაზე მისი მეუღლის თ. მ-ის მიერ მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად იგი ჯანმრთელობის სხვადასხვა დაზიანებით მიყვანილი იქნა ქ. ქუთაისის სამხარეო კლინიკურ სავადმყოფოში, სადაც ჩაუტარდა მკურნალობა.

მოსარჩელის განმარტებით, ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის განაჩენით მას მიენიჭა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რაც უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით. ავტოკატასტროფის შედეგად ნ. მ-მა მიიღო ტრავმული შოკი, ასევე გართულდა მისი შემდგომი ფსიქიკური მდგომარეობა. ავტოკატასტროფის შედეგად დაშავდა ნ. მ-ის მეუღლე თ. მ-ი და შვილი ნი. მ-ი. თ. მ-ის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა დაიცივრთა გირავნობით; მოხდა თ. მ-ის მიერ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება, ასევე იპოთეკით დაიცივრთა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. ამდენად, მოსარჩელემ მიიღო როგორც მორალური, ისე მატერიალური ზიანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მატერიალური და მორალური ზიანის სახით 165000 ლარის, ასევე ნ. მ-ის მიერ ფსიქო-დიაგნოსტიკისა და ფსიქო-კორექციის ცენტრში განეული მომსახურების ხარჯების – 2000 აშშ დოლარის ექვივალენტი 3300 ლარისა და მკურნალობის ხარჯების – 3000 ლარის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 28 მარტის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა სარჩელის ხანდაზმულობის გამო.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურების შე-

სახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ახალციხის რაიონულ პროკურატურას ნ. მ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით – 3000 ლარის გადახდა დაეკისრა; დანარჩენ ნაწილში ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2008 წლის 12 დეკემბრის ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენით ნ. მ-ი გამართლებული იქნა მისდამი წარდგენილ ბრალდებაში, რაც დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, მესამე ნაწილის „გ“ და მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, უდანაშაულოდ იქნა ცნობილი წარდგენილ ბრალდებაში და მის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა. ნ. მ-ის მიმართ წინასწარ გამოძიებაში შერჩეული აღკვეთი ღონისძიება გირაო გაუქმდა და ყადაღა მოეხსნა გირაოს უზრუნველყოფის მიზნით თ. მ-ის საცხოვრებელ სახლს და მიწის ნაკვეთს, რომელიც მდებარეობდა ბორჯომის რაიონი დაბა ბაკურიანი, ... ქუჩა ...-ში. ნ. მ-ს განემარტა, რომ უფლება ჰქონდა მოეთხოვა მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი რედაქცია) 219-228-ე მუხლებით დადგენილი წესით.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ახალციხის რაიონულმა პროკურატურამ და დაზარალებულმა ნა. მ-ემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა კ. ლ-მა მოხსნა სააპელაციო საჩივარი და ითხოვა მისი განუხილველად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 13 იანვრის განაჩენით დაზარალებულ ნა. მ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის განაჩენი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, ის გარემოება, რომ 2007 წლის 6 სექტემბერს ქ. ქუთაისის სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში ქ. ქუთაისში (...) ტრასაზე ნ. მ-ის მეუღლის თ. მ-ის მიერ მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყვანილ იქნა ჯანმრთელობის სხვადასხვა დაზიანებით ნ. მ-ი, თვით თ. მ-ი და ქალიშვილი ნი. მ-ი, რომელთაც ჩაუტარდათ მკურნალობა.

ამასთან, ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის ნე-რილის თანახმად, ახალციხის რაიონულ სასამართლოში ნ. მ-ის მიერ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელი სასამართლოს 2011 წლის 12 აგვისტოს წარედგინა, ხოლო 2011 წლის 14 დეკემბრის სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ საოქმო განჩინება ნ. მ-ის სარჩელის გამო მოპასუხე ნა. მ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენით მიყენებული (მორალური და მატერიალური) ზიანის ანაზღაურების თაობაზე კანონიერ ძალაში 2012 წლის 12 იანვარს შევიდა.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან ყველასათვის გარანტირებული იყო.

ამასთან, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილი იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. კერძოდ, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამოწვევის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით იყო გათვალისწინებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელნერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის, ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდებოდა სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს მატერიალური და მორალური ზიანის – 165 000 ლარის ანაზღაურება წარმოადგენდა. აქედან მორალური ზიანის სახით, აპელანტმა (მოსარჩელემ) 30 000 აშშ დოლარის ექვივალენტის ლარებში ანაზღაურება მოითხოვა. აპელანტი

ასევე ითხოვდა ფსიქო-დიაგნოსტიკის ცენტრში განეული მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას 3 300 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ თავდაპირველად აღნიშნა, რომ ახალციხის რაიონულმა სასამართლომ არასწორად აითვალა სარჩელის ხანდაზმულობის ვადა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ხანდაზმულობის ვადა იყო ვადა, რომლის განმავლობაშიც პირი, რომლის უფლებაც დაირღვა შეეძლო მოეთხოვა თავისი უფლების იძულებითი განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობდა უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი ეფარდებოდა იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის უფლება კი წარმოიშვებოდა იმ დღიდან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო თავისი უფლების დარღვევის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი ადგენდა ხანდაზმულობის საერთო ვადებს, კერძოდ, დასახელებული მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს. ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებული ყოფილიყო ხანდაზმულობის სხვა ვადებიც. განსახილველ შემთხვევაში კი ვინაიდან სახეზე იყო დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ურთიერთობები, სააპელაციო სასამართლომ, ხანდაზმულობის საკითხთან მიმართებაში მიუთითა 1008-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა სამ წელს იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი კონკრეტულად განსაზღვრავდა იმ მომენტს, თუ საიდან უნდა ათვლილიყო ხანდაზმულობის ვადის დენის სამწლიანი ვადა, როდესაც პირი დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრავდა სარჩელს. კერძოდ, აღნიშნულის ათვლის საწყის ეტაპს წარმოადგენდა ის მომენტი, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის შესახებ და/ან როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით დადგენილი იყო ის გარემოება, რომ ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის განაჩენით ნ. მ-ი გამართლებული იქნა წარდგენილ ბრალდებაში, რაც დაკვალიფიცირებული იყო საქართვე-

ლოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, მესამე ნაწილის „გ“ და მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და შეწყდა მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა. ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ახალციხის რაიონულმა პროკურატურამ და დაზარალებულმა ნა. მ-ემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, ახალციხის რაიონული პროკურატურის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 13 იანვრის განაჩენით დაზარალებულ ნა. მ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის განაჩენი და განაჩენი გამოცხადებისთანავე შევიდა კანონიერ ძალაში. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ნ. მ-ის ზიანის ანაზღაურებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა სწორედ ამ პერიოდიდან უნდა დაწყებულიყო.

საქმის მასალებით ასევე დადგენილი იყო, რომ ნ. მ-მა მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ახალციხის რაიონულ სასამართლოში სარჩელი 2011 წლის 12 აგვისტოს წარადგინა. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 14 დეკემბრის საოქმო განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული ნ. მ-ის სარჩელი. აღნიშნული საოქმო განჩინება კანონიერ ძალაში 2012 წლის 12 იანვარს შევიდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სა-მოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდებოდა, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანდა სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ან/და შეეცდებოდა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორც იყო სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ან/და აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. ამავ კოდექსის 139-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდებოდა მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შევიდოდა კანონიერ ძალაში, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდებოდა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ნ. მ-ის ზიანის ანაზღაურებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა, რომელიც 2010 წლის 13 იანვრიდან დაიწყო, შეწყდა 2011 წლის 12 აგვისტოს, ნ. მ-ის მიერ ახალციხის რაიონულ სასამართლოში სარჩელის შეტანით და გაგრძელდა 2012 წლის 12 იან-

ვრიდან (ახალციხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 14 დეკემბრის საოქმო განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი). საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ მოცემულ დავაზე სარჩელი, ახალციხის რაიონულ სასამართლოში, ნ. მ-მა 2013 წლის 22 იანვარს აღძრა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა ახალციხის რაიონული სასამართლოს დასკვნას სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე და მიიჩნია, რომ ნ. მ-ს სარჩელი სასამართლოში აღძრული ჰქონდა კანონით დადგენილ ხანდაზმულობის სამწლიან ვადაში.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმის თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისი იყო დადგენილიყო ქმედების უკანონობა და სახეზე ყოფილიყო პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. ამასთან, საგულისხმოდ იყო ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული ნორმები ანიჭებდნენ რა პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, არ განსაზღვრავდნენ მარეაბილიტირებელ გარემოებებს. შესაბამისად, კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა თავისუფლება ქმედების უკანონობისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შეფასებისას. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა ყოფილიყო მიჩნეული მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, ვინაიდან, გამამართლებელი განაჩენი ადგენდა პირის უდანაშაულობას, რაც იწვევდა მისი უფლებების აღდგენას ანუ მის რეაბილიტაციას. რაც შეეხებოდა, ზემოაღნიშნული მუხლის მეორე კომპონენტს, ქმედების უკანონობას, სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში არ უნდა განხორციელებულიყო კანონის აღნიშნული მოთხოვნის იმგვარად ინტერპრეტაცია, რომ ქმედების უკანონობა შეფასებულიყო მხოლოდ კონკრეტული საპროცესო თუ მატერიალური ნორმის დარღვევით, ვინაიდან, ნორმა არ შეიძლება განმარტებულიყო ისე, რომ გამართლებულს არ მისცემოდა უფლებების აღდგენის ეფექტური შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში იყო საფუძვლიანი და უნდა დაკმაყოფილებულიყო, თუმცა სააპელაციო სასამართლომ ვერ გაი-

ზიარა მოსარჩელის მოსაზრება ზიანის ოდენობასთან მიმართებაში და განმარტა, რომ არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის სპეციფიკის გათვალისწინებით, მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნდა. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისი იყო არსებულყოფილი არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო. მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავდა სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობდა ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავდა სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილი იყო სარჩელში მიეთითებინა ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვდა მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებას წარმოადგენდა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა გადაწყვეტილიყო. მორალური ზიანი გულისხმობდა ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდიდა ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით. მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლოს მხედველობაში უნდა მიედგინებინა დაზარალებულების სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლება, მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგენილიყო მორალური ზიანის არსებობა და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმები.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმ გარემოებაზე, რომ ახალციხის რაიონული პროკურატურის სხვადასხვა თანამდებობის პირთა მიერ კანონის დარღვევით ჩატარებულმა საგამოძიებო მოქმედებებმა და უკანონო ბრალდებამ გამოიწვია მისი ჯანმრთელობის დაზიანება, რაც გამოიხატა ფსიქიკურ დაავადებასა და შემდგომ ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესებაში. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ ფსიქო – დიაგნოსტიკური ფსიქო – კორექციის ცენტრის 2008 წლის 5 მარტის დასკვნაზე, რომ-

ლის თანახმად, ნ. მ-ი დაავადებული იყო ქრონიკული ფსიქიკური დაავადებით: თავის ტვინის დაზიანებითა და დისფუნქციით გამოწვეული პიროვნული და ქცევითი აშლილობით. მითითებული დასკვნითვე ირკვეოდა, რომ ნ. მ-ი არა ერთხელ იყო კონსულტირებული ექიმ-ფსიქიატრების მიერ და მისი მდგომარეობა შეფასებული იყო როგორც „გახანგრძლივებული ნევროზული მდგომარეობა, ასტენო-დეპრესიული სინდრომი“. ამდენად, სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მისი ფსიქიკური დაავადება გამოწვეული იქნა სწორედ უკანონო ბრალდებით, ვინაიდან, სწორედ აპელანტის მიერ მითითებული ფსიქო – დიაგნოსტიკური ცენტრის დასკვნით დასტურდებოდა ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და გამოძიების ეტაპზე, ნ. მ-ი უკვე დაავადებული იყო ფსიქიკური დაავადებით, ხოლო საქმის მასალებში არ იყო წარდგენილი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა უკანონო მსჯავრდების შედეგად ნ. მ-ის ნეგატიური განცდები და სტრესი. კომპენსაციის მიზანი იყო მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარებოდა დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შეთხვევაში ნ. მ-ისათვის, უკანონო მსჯავრდების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გონივრული თანხა იყო 3 000 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ მის მიერ წარდგენილ იქნა საკმარისი მტკიცებულებები უკანონო მსჯავრდების გამო, მატერიალური ზიანის დადგომის ფაქტზე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტის მიერ წარდგენილი არცერთი მტკიცებულებით (არც ერთი ხელშეკრულებით) არ დასტურდებოდა, რომ ნ. მ-ის მეუღლის მიერ შესაბამისი ხელშეკრულებების დადება და მის მიერ სესხების აღება, გამოწვეული იყო ნ. მ-ის უკანონო მსჯავრდების გამო დამდგარი შედეგით. შესაბამისად, აღნიშნული მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა მატერიალური ზიანის არსებობის ფაქტი. განსახილველ შემთხვევაში, ასევე არ დასტურდებოდა 2007 წლის 6 სექტემბერს, ქ. ქუთაისში (...) ტრასაზე, ნ. მ-ის მეუღლის თ. მ-ის მიერ მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ნ. მ-ის მიერ განეული მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად კანონისმიერი წინაპირობები, ვინაიდან, აუ-

ცილებელი იყო კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა, რაც საქმის მასალებით ასევე არ დასტურდებოდა. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ რეაბილიტირებული პირისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდებოდა თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად, თუმცა სახეზე უნდა ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1005-ე მუხლებით გათვალისწინებული იურიდიული შემადგენლობა. განსახილველ შემთხვევაში კი საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ არ არსებობდა ზემოთ მითითებული მუხლების შესაბამისად, მატერიალური ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ახალციხის რაიონულმა პროკურატურამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, მორალური ზიანის საკითხის განხილვისას სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ევრო-სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებაში დადგენილი პრაქტიკა, კერძოდ, საქმეზე ჯ-ი საქართველოს წინააღმდეგ, ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის დაუსაბუთებლად გამოყენებისათვის, ევრო-სასამართლომ მომჩივანს მიანიჭა კომპენსაცია 600 ევროს ოდენობით. მომჩივანი პატიმრობაში ერთი წელი იმყოფებოდა. ასევე საინტერესო იყო, საქმე კ-ე საქართველოს წინააღმდეგ, სადაც აღიარებულ იქნა კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლების დარღვევა. კონვენციის მე-6 მუხლი ეხებოდა მსჯავრდებულის მიმართ მიღებულ უკანონო განაჩენს, რის საფუძველზეც მსჯავრებულმა პატიმრობაში 7 წელი გაატარა. ამ საქმეზე მომჩივანისათვის კომპენსაციის სახით შეთავაზებულ იქნა – 4 000 ევრო.

ზემოაღნიშნულის გარდა, კასატორმა მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლზე და სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე და განმარტა, რომ ზემოაღნიშნული მუხლების დეფინიცია ნათელს ხდოდა იმ ფაქტს, რომ აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე მოპასუხე მხარეს საქართველოს ფი-

ნანსთა სამინისტრო წარმოადგენდა, რადგან მოთხოვნა მიმართული იყო სახელმწიფოს წინააღმდეგ და დავის საგანს – ზიანის ფულადი ანაზღაურება წარმოადგენდა და იგი მიმართული არ იყო კონკრეტული ორგანოს ან პირის მიმართ.

ამასთან, კასატორის მოსაზრებით ნ. მ-ის სარჩელი იყო ხანდაზმული, რადგან 2011 წლის 12 აგვისტოს სარჩელი წარდგენილ იქნა არა პროკურატურის, არამედ ნა. მ-ის მიმართ, რაც შემდგომ განუხილველად იქნა დატოვებული. ნ. მ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი 2008 წლის 12 დეკემბერს დადგა, რაც ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 13 იანვრის განაჩენით, ამდენად, ნ. მ-ისათვის უკვე ცნობილი იყო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისა და ასევე ამ უფლებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ, თუმცა მან ეს უფლება არ გამოიყენა და მოპასუხე მხარედ სხვა ფიზიკური პირი მიუთითა, პროკურატურის მიმართ კი სარჩელი 2013 წლის 22 იანვარს ანუ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ აღძრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 6 იანვრის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. მ-ისა და ახალციხის რაიონული პროკურატურის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის განჩინებით ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება მატერიალური ზიანისა და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში; ახალციხის რაიონული პროკურატურის საკასაციო საჩივარი მორალური ზიანის – 3000 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ახალციხის რაიონული პროკურატურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2008 წლის 12 დეკემბრის ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენით ნ. მ-ი გამართლებული იქნა მისდამი წარდგენილ ბრალდებაში, რაც დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, მესამე ნაწილის „გ“ და მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, უდანაშაულოდ იქნა ცნობილი წარდგენილ ბრალდებაში და მის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა. ნ. მ-ის მიმართ წინასწარ გამოძიებაში შერჩეული აღკვეთი ღონისძიება გირაო გაუქმდა და ყადაღა მოეხსნა გირაოს უზრუნველყოფის მიზნით თ. მ-ის საცხოვრებელ სახლს და მინის ნაკვეთს, რომელიც მდებარეობდა ბორჯომის რაიონი დაბა ბაკურიანი, ... ქუჩა №...-ში. ნ. მ-ს განემარტა, რომ უფლება ჰქონდა მოეთხოვა მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი რედაქცია) 219-228-ე მუხლებით დადგენილი წესით.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ახალციხის რაიონულმა პროკურატურამ და დაზარალებულმა ნა. მ-ემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა კ. ლ-მა მოხსნა სააპელაციო საჩივარი და ითხოვა მისი განუხილველად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 13 იანვრის განაჩენით დაზარალებულ ნა. მ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის განაჩენი.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის წერილის თანახმად, ახალციხის რაიონულ სასამართლოში ნ. მ-ის მიერ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელი სასამართლოს 2011 წლის 12 აგვისტოს წარედგინა, ხოლო 2011 წლის 14 დეკემბრის სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ საოქმო განჩინება ნ. მ-ის სარჩელის გამო მოპასუხე ნა. მ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენით მიყენებული (მორალური და მატერიალური) ზიანის ანაზღაურების თაობაზე კანონიერ ძალაში 2012 წლის 12 იანვარს შევიდა.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად განმარტავს, რომ ვინაიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის განჩინებით ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცი-

ციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება მატერიალური ზიანისა და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, ხოლო ახალციხის რაიონული პროკურატურის საკასაციო საჩივარი მორალური ზიანის – 3000 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს მხოლოდ მორალური ზიანის – 3 000 ლარის ახალციხის რაიონული პროკურატურისათვის დაკისრების კანონიერების შეფასება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებული არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი განმტკიცებული არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მითითებული მუხლი წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ნორმას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ვალდებულებას უკანონოდ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან მსჯავრდებულ პირისათვის შექმნას იმის სამართლებრივი შესაძლებლობა, რომ ამ უკანასკნელმა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების უფლების განხორციელების ეფექტური და რეალური სამართლებრივი ნორმები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს; ხოლო აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის

უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. ამასთან, ამავე კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით – „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის მიერ ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძ-

ლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისგან დამოუკიდებლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიუთითებს მის უკანონო ბრალდებას და აღნიშნული ბრალდებიდან გამომდინარე, მისი ფსიქიკური მდგომარეობის საგრძნობლად გაუარესებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია პირდაპირი ზიანის არსებობის კონკრეტულ შემდეგასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 08.04.2009წ. ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-972-936(3კ-08) ჩამოყალიბებულ განმარტებას შემდეგზე, რომ „არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“. „სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზ-

ლაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს, მოპასუხეების მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. შეუძლებელია ფულადი ფორმით ჯანმრთელობის შეფასება, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონანსორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის უკანონო ბრალდება წარმოადგენს მორალურ ზიანს, მით უფრო სახეზეა მიზეზობრივი კავშირი, სახელმწიფო ორგანოების ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ამასთან, ზიანის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტავს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ოდენობას, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მორალური ზიანის მოცულობა სასამართლოს მიერ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები, რომ კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას. მართალია მორალური ზიანის ანაზღაურების

მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედვლებით უნდა გადაწყდეს. შელახული სიკეთის ხასიათიდან გამომდინარე და სულიერი ტანჯვის ხარისხის ზუსტად განსაზღვრის შეუძლებლობის გამო, უფრო მართებულია ზიანის კომპენსაცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია საერთოდ. როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრულად აღდგენა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის – ახალციხის რაიონული პროკურატურის მოსაზრებას, ევრო-სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებთან მიმართებაში განსაზღვრული არამატერიალური ზიანის (Non-Pecuniary Damage) თანხის ოდენობასთან მიმართებაში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევრო-სასამართლოს პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი და ევრო-სასამართლოს მიერ არამატერიალური (მორალური) ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მორალური ზიანის მიმართ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულების, ობიექტური გარემოებების (დაზარალებულის საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.) და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (*Patsuria v. Georgia*; *Nikolaishvili v. Georgia*; *Jashi v. Georgia*).

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განსაზღვრა ნ. მ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა – 3000 ლარი. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნ. მ-ის ფსიქიკური აშლილობა ამ ბრალდების შედეგად არ იყო გამოწვეული. საქმეში წარმოდგენილი ფსიქო – დიაგნოსტიკური ფსიქო – კორექციის ცენტრის 2008 წლის 5 მარტის დასკვნის თანახმად, ნ. მ-ი დაავადებული იყო ქრონიკული ფსიქიკური დაავადებით: თავის ტვინის დაზიანებითა და დისფუნქციით გამოწვეული პიროვნული და ქცევითი აშლილობით. მითითებული დასკვნითვე ირკვევა, რომ ნ. მ-ი არაერთხელ იყო კონსულტირებული ექიმ-ფსიქიატრების მიერ და მისი მდგომარეობა შეფასებული იყო

როგორც „გახანგრძლივებული ნევროზული მდგომარეობა, ას-
ტენო-დეპრესიული სინდრომი“. ამდენად, სასამართლო არ იზი-
არებს მოსარჩელის მოსაზრებას, რომ მისი ფსიქიკური დაავა-
დება გამონევეული იქნა სწორედ უკანონო ბრალდებით, ვინაი-
დან, სწორედ მის მიერ მითითებული ფსიქო – დიაგნოსტიკური
ცენტრის დასკვნით დასტურდება ის გარემოება, რომ სისხლის
სამართლის საქმის აღძვრისა და გამოძიების ეტაპზე, ნ. მ-ი უკ-
ვე დაავადებული იყო ფსიქიკური დაავადებით. თუმცა, საკასა-
ციო სასამართლო ითვალისწინებს მოსარჩელის მიმართ განხორ-
ციელებული იძულების ფორმის სიმძიმეს, კერძოდ, მის უკანო-
ნო ბრალდებას, რის გამოც მოსარჩელემ მიიღო ნეგატიურ გან-
ცდები და სტრესი. ამასთან, საგულისხმოა ის გარემოება, რომ
მისი უკვე მძიმე ფსიქიკური მდგომარეობა აღნიშნული ფაქტის
შემდგომ კიდევ უფრო მეტად დამძიმდა, შესაბამისად, საკასა-
ციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მი-
ყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გონივრული
თანხა – 3000 ლარია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო
სასამართლო მიიჩნევს, რომ ახალციხის რაიონული პროკურა-
ტურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და დაშ-
ვებულ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული გა-
დანყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით,
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ახალციხის რაიონული პროკურატურის საკასაციო საჩი-
ვარი არ დაკმაყოფილდეს;
2. დაშვებულ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპე-
ლაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013
წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-
ჩივრდება.

მორალური ზიანის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-648-623(2კ-13)

10 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 25 ივნისს ლ. ა-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს მთავრობის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის განაჩენით ლ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა: სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და ლ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 2 ივნისის განაჩენით ლ. ა-ისთვის დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 2 წლის და 8 თვის ვადით და საბოლოოდ, ლ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის და 8 თვის ვადით.

მოსარჩელის მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 მარტის განაჩენით ლ. ა-ი ცნობილი იქნა

უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში.

მოსარჩელის განმარტებით, უკანონო პატიმრობამ მას მიაყენა უდიდესი მორალური და მატერიალური ზიანი. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საპატიმრო ადგილებში ყოფნამ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ერთად, შელახა მისი პატივი და ღირსება, იგი განიცდიდა სულიერ ტანჯვას, რასაც დამატებით ერთვოდა ფიზიკური ანგარიშსწორება, რის გამოც განიცადა მორალური ზიანი.

ამასთან, მოსარჩელის მითითებით მისი საპრობილეში ყოფნის პერიოდში მისმა ოჯახმა მიიღო საკმაოდ დიდი მატერიალური ზიანი, რაც გამოიხატებოდა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დანესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში დამატებითი კვების პროდუქტების და პირველადი მოხმარების საგნების შეძენის მიზნით, მოსარჩელის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვაში, ადვოკატის მომსახურებისათვის თანხის ანაზღაურებასა და მოსარჩელის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით არაერთი ხარჯის განწვევაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხის – საქართველოს მთავრობისათვის მატერიალური და მორალური ზიანის სახით 500 000 ლარის დაკისრება მოითხოვა.

2013 წლის 17 ივლისს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ მოპასუხე მხარედ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო დაასახელა. ამავე სხდომაზე საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს მთავარი პროკურატურა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ლ. ა-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 10 000 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; ლ. ა-ის მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2013 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ასევე გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 30 ოქტომბრის საოქმო განჩინებით არასათანადო მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შეიცვალა სათანადო მოპასუხით – საქართველოს მთავარი პროკურატურით. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მესამე პირად ჩაება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. ა-ისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს მთავარ პროკურატურას ლ. ა-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 10 000 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; ლ. ა-ის მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის განაჩენით ლ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა: სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. 59-ე მუხლის თანახმად დანიშნული სასჯელები შეიკრება მთლიანად და ლ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 2 ივნისის განაჩენით ლ. ა-ისთვის დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 2 წლის და 8 თვის ვადით და საბოლოოდ,

ლ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის და 8 თვის ვადით.

ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 მარტის განაჩენით ლ. ა-ი ცნობილი იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებული იყო სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი განმტკიცებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს უფლება ჰქონდა, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოეთხოვა და მიეღო უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მითითებული იყო მუხლი წარმოადგენდა ზოგადი ხასიათის ნორმას, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფოს ვალდებულებას უკანონოდ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან მსჯავრდებულ პირისათვის შეექმნა იმის სამართლებრივი შესაძლებლობა, რომ ამ უკანასკნელს საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინა კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების უფლების განხორციელების ეფექტური და რეალური სამართლებრივი ნორმები.

ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის, ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არას-

ნორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდებოდა სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მითითებული ნორმის თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისი იყო დადგენილიყო ქმედების უკანონობა და სახეზე ყოფილიყო პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. ამასთან, საგულისხმო იყო ის გარემოებაც, რომ ზემოაღნიშნული ნორმები ანიჭებდნენ რა პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას არ განსაზღვრავდნენ მარეაბილიტირებელ გარემოებებს. შესაბამისად, კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა თავისუფლება ქმედების უკანონობისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შეფასებისას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა მიჩნეულიყო მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, ვინაიდან გამამართლებელი განაჩენი აღდგენდა პირის უდანაშაულობას, რაც ინვევდა მისი უფლებების აღდგენას ანუ მის რეაბილიტაციას. რაც შეეხებოდა ზემოაღნიშნული მუხლის მეორე კომპონენტს ქმედების უკანონობას, სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო კანონის აღნიშნული მოთხოვნის იმგვარად ინტერპრეტაცია, რომ ქმედების უკანონობა შეფასებულიყო მხოლოდ კონკრეტული საპროცესო თუ მატერიალური ნორმის დარღვევით, ვინაიდან, არ შეიძლებოდა ნორმა განმარტებულიყო ისე, რომ გამართლებულს არ მისცემოდა უფლებების აღდგენის ეფექტური შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში იყო საფუძვლიანი და უნდა დაკმაყოფილებულიყო, თუმცა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება ზიანის ოდენობასთან მიმართებაში და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილი ყოფილიყო მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. პირადი არაქონებრივი (მორალური) ზი-

ანის ანაზღაურებას კი ითვალისწინებდა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რომელიც განსაზღვრავდა იმ საფუძვლებს, რომლის ხელყოფის დროსაც პირს უფლება ჰქონდა მოეთხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება. მითითებული მუხლით დაცულ სიკეთეს მიეკუთვნებოდა პირის სახელი, პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა, საქმიანი რეპუტაცია და გამოსახულება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავდა სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილი იყო სარჩელში მიეთითებინა ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვდა მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებას წარმოადგენდა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა გადაწყვეტილიყო. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს განმარტება და აღნიშნა, რომ მორალური ზიანი გულისხმობდა ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდიდა ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მის ანაზღაურებას ეკისრა სამი ფუნქცია: დაეკმაყოფილებინა დაზარალებული, შემოქმედება მოეხდინა ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აეცილებინა პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მიერ. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო დაზარალებულების სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლებოდა, მისი ამ კუთხით შეფასება.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მორალური ზიანის არსებობის დადგენის და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმის განსაზღვრასთან მიმართებაში მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის №ბს-972-936(3კ-08) გადაწყვეტილებაზე.

სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა მოსარჩელის მიმართ განხორციელებული იძულების ფორმების სიმძიმე, კერძოდ, მას 2012 წლის 25 მარტიდან 2013 წლის 18 მარტამდე თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი, რაც არ იყო ჩვეულებრივი და რიგითი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში. ის დაკავშირებული იყო გარკვეულ ნეგატიურ განცდებთან და სტრესთან, თავის მხრივ, ყოველივე ეს შესაძლოა ასახულიყო დაპატიმრებული პი-

რის ჯანმრთელობაზე, გამოენვია დაავადების წარმოშობა ან უკვე არსებულის გართულება. მართალია, ამა თუ იმ ფორმით თავისუფლების აღკვეთა ყოველთვის ინვევდა დისკომფორტს, მაგრამ დაპატიმრებული დამნაშავედ ცნობილი პირი, გონივრულ ფარგლებში, მაინც ვალდებული იყო ეთმინა ეს, რაც არ ეხებოდა პირს, რომელიც გამართლდა. ის არ იყო ვალდებული, ეთმინა პატიმრობასთან დაკავშირებული დისკომფორტი, რაც გამოიხატებოდა თუნდაც მთელი რიგი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შეუძლებლობაში ან შეზღუდვაში.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მორალური ზიანის უმთავრეს მიზანს არ შეადგენდა ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნდა და შეუძლებელი იყო მისი სრული კომპენსაცია. მორალური ზიანის განსაზღვრისას, ასევე, ვერ იქნებოდა გადამწყვეტი ქმედების კვალიფიკაცია, აქ მთავარი იყო ის ტკივილი, რომელიც ქმედებამ (მოქმედებამ თუ უმოქმედობამ) გამოიწვია მოსარჩელის მიმართ. შედეგების გამოსწორება ძალიან ხშირად შეუქცევადი მოვლენა იყო და როგორი დიდიც არ უნდა ყოფილიყო კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენდა აზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. კომპენსაციის მიზანი იყო მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება. კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა, მას თითქმის ერთი წლის განმავლობაში თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი იმ ქმედებებისთვის რომელიც არ ჩაუდენია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გონივრული თანხა იყო – 10 000 ლარი.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ უსაფუძვლო იყო ლ. ა-ის მოთხოვნა საპყრობილეში ყოფნის პერიოდში მისი ოჯახის მიერ განეული იძულებითი ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან, პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში დამატებითი კვების პროდუქტების და პირველადი მოხმარების საგნების იმ თანხით შექმნა, რომელიც მოსარჩელის პირად ანგარიშზე ჩარიცხეს ახლო ნათესავებმა, წარმოადგენდა მოსარჩელის უფლებას და არ იყო დაკავშირებული აუცილებლობასთან, რადგან „პატიმრობის კოდექსის“ შესაბამისად, ბრალდებული/მსჯავრდებული სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფილი იყო კვებით, რომელიც შეიცავდა ადამიანის სიცოცხლისა

და ჯანმრთელობისათვის აუცილებელ კომპონენტებს. ამასთან, სასამართლოს მოსაზრებით, ასევე უსაფუძვლო იყო ლ. ა-ის მოთხოვნა ადვოკატის მომსახურების თანხის ანაზღაურების შესახებ, რადგან საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ლ. ა-ის მიერ აღნიშნული თანხის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმეზე არ იყო წარდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ლ. ა-ს პატიმრობაში ყოფნის გამო მიადგა მატერიალური ზიანი, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა – საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1005-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ საქმის მასალებით დგინდებოდა ის გარემოება, რომ ლ. ა-ის მიმართ მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება და მის მიმართ გორის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. ამდენად, მოსარჩელის თავისუფლების შეზღუდვა განხორციელდა კანონის სრული დაცვით, შესაბამისად, ლ. ა-ის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის მარეაბილიტირებელი საფუძვლით დასრულების შემთხვევაშიც კი არ არსებობდ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

ამასთან, კასატორის მოსაზრებით მორალური ზიანის საკითხის განხილვისას სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ევრო-სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებაში დადგენილი პრაქტიკა, კერძოდ, საქმეზე ჯ-ი საქართველოს წინააღმდეგ, ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის დაუსაბუთებლად გამოყენებისათვის, ევრო სასამართლომ მომჩივანს მიანიჭა კომპენსაცია 600 ევროს ოდენობით. მომჩივანი პატიმრობაში ერთი წელი იმყოფებოდა. ასევე საინტერესო იყო, საქ-

მე-კ-ე საქართველოს წინააღმდეგ, სადაც აღიარებულ იქნა კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლის დარღვევა. კონვენციის მე-6 მუხლი ეხებოდა მსჯავრდებულის მიმართ მიღებულ უკანონო განაჩენს, რის საფუძველზეც მსჯავრებულმა პატიმრობაში 7 წელი გაატარა. ამ საქმეზე მომჩივანისათვის კომპენსაციის სახით შეთავაზებულ იქნა 4 000 ევრო.

ზემოაღნიშნულის გარდა, კასატორმა – საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლზე და სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე და განმარტა, რომ ზემოაღნიშნული მუხლების დეფინიცია ნათელს ხდიდა იმ ფაქტს, რომ აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე მოპასუხე მხარეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარმოდგენდა, ვინაიდან, მოთხოვნა მიმართული იყო სახელმწიფოს წინააღმდეგ და დავის საგანს – ზიანის ფულადი ანაზღაურება წარმოდგენდა და მოთხოვნა არ იყო დაყენებული კონკრეტული ორგანოს ან პირის მიმართ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 6 იანვრის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ლ. ა-ისა და საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის განჩინებით, ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება მატერიალური ზიანისა და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში; საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივარი მორალური ზიანის – 10 000 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არ-

სებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის განაჩენით ლ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა: სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. 59-ე მუხლის თანახმად დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და ლ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 2 ივნისის განაჩენით ლ. ა-ისთვის დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 2 წლის და 8 თვის ვადით და საბოლოოდ, ლ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის და 8 თვის ვადით.

ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 მარტის განაჩენით ლ. ა-ი ცნობილი იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად განმარტავს, რომ ვინაიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის განჩინებით, ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუმეგობლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება მატერიალური ზიანისა და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, ხოლო საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივარი მორალური ზიანის – 10000 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს მხოლოდ მორალური ზიანის – 10 000 ლარის საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის დაკისრების კანონიერების შეფასება წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებული არის სახელმწიფო, ავ-

ტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი განმტკიცებული არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მითითებული მუხლი წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ნორმას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ვალდებულებას უკანონოდ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან მსჯავრდებულ პირისათვის შეუქმნას იმის სამართლებრივი შესაძლებლობა, რომ ამ უკანასკნელმა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების უფლების განხორციელების ეფექტური და რეალური სამართლებრივი ნორმები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს; ხოლო აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. ამასთან, ამავე კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების მიუხედავად.

ლაურების სახით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით – „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამოთვლით, რომ განსაკუთრებულია გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის მიერ ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამომწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისგან დამოუკიდებლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზ-

ლაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიუთითებს მის ერთ წლიან უკანონო მსჯავრდებას/პატიმრობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია პირდაპირი ზიანის არსებობის კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 08.04.2009წ. ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-972-936(3კ-08) ჩამოყალიბებულ განმარტებას, შემდეგზე, რომ „არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“. „სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს, მოპასუხეების მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუ-

ცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. შეუძლებელია ფულადი ფორმით ჯანმრთელობის შეფასება, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის უკანონოდ დაკავება და პატიმრობა წარმოადგენს მორალურ ზიანს, მით უფრო სახეზეა მიზეზობრივი კავშირი, სახელმწიფო ორგანოების ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ამასთან, ზიანის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტავს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ოდენობას, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მორალური ზიანის მოცულობა სასამართლოს მიერ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები, რომ კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას. მართალია მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულებით უნდა გადაწყდეს. შელახული სიკეთის ხასიათიდან გამომდინარე და სულიერი ტანჯვის ხარისხის ზუსტად განსაზღვრის შეუძლებლობის გამო, უფრო მართებულია ზიანის კომპენსაცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია საერთოდ. როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ

გააჩნია და შეუძლებელია მისი სრულად აღდგენა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასაციორის – საქართველოს მთავარი პროკურატურის მოსაზრებას, ევრო-სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებთან მიმართებაში განსაზღვრული არამატერიალური ზიანის (Non-Pecuniary Damage) თანხის ოდენობასთან მიმართებაში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევრო-სასამართლოს პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი და ევრო-სასამართლოს მიერ არამატერიალური (მორალური) ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მორალური ზიანის მიმართ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულების, ობიექტური გარემოებების (დაზარალებულის საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.) და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (Patsuria v. Georgia; Nikolaishvili v. Georgia; Jashi v. Georgia).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ ლ. ა-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად განსაზღვრული თანხის ოდენობა მაღალია. საგულისხმოა ის გარემოება, რომ მოსარჩელის უკანონო პატიმრობას მისი ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება, კერძოდ, რაიმე დაავადების წარმოშობა ან უკვე არსებულის გართულება არ გამოუწვევია.

საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს მოსარჩელის მიმართ განხორციელებული იძულების ფორმების სიმძიმეს, კერძოდ, მას 2012 წლის 25 მარტიდან 2013 წლის 18 მარტამდე თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი, რაც არ არის ჩვეულებრივი და რიგითი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში. ის დაკავშირებული არის გარკვეულ ნეგატიურ განცდებთან და სტრესთან. მოსარჩელე არ იყო ვალდებული, ეთმინა პატიმრობასთან დაკავშირებული დისკომფორტი, რაც გამოიხატებოდა თუნდაც მთელი რიგი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შეუძლებლობაში ან შეზღუდვაში. ამდენად, საკასაციო სასამართლო ევრო-სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ განსახილველ შეთხვევაში მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გონივრული თანხა – 7500 ლარია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობ-

რივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაშვებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ლ. ა-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქართველოს მთავარ პროკურატურას ლ. ა-ის სასარგებლოდ, მორალური ზიანის სახით – 7500 ლარის ანაზღაურება უნდა დაეკისროს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. დაშვებულ ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ლ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. საქართველოს მთავარ პროკურატურას ლ. ა-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით – 7500 ლარის ანაზღაურება დაეკისროს;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიბეჯელი

1. ვალდებულების ჯეროვნად შესრულება

სადაზღვევო მომსახურებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს აქტის კანონიერების შემოწმება	3
ხელშეკრულების პირობების დარღვევისას პასუხისმგებლობის სახის და ზომის კანონიერება	76
სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება	95
კორპორატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი სახელმწიფო შიდა ვალის დაფარვა	102
შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება	118; 132; 149; 159

2. მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობა	165
დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება	181
მორალური ზიანის ანაზღაურება	196; 214